ცისკარი

1863

№ V ქალი

ფილიალი პირველი

ტფილისი

გამოცემული მჭლოქუმიანების ს ამბარცუმ ენთიაჯიანცის ხელშეწყობით

I. კაცია, ადამიანი. (მოთხრობა) მ. ჯიმშერიძისა.

II. სოფრიდონისა და თადეოზის ბასსი. სოფრიდონ ჩიტაიშვილისა

III. ლექსები.

IV. ცისკარს რა აკაკუნებდა? გ.—თელი.

V. საქართველოს ისტორია . . . . თ. სულ. ბერთაშვილისა.

VI სხვა ტ სხვა ამბავი: დ. ა . . . ი.

VII. საბრალონი. რომანი ვიკტორ ჰუგოსი, თარგმ. გიორგ. ჩიქოსნისა.

ხელოვნებისა

ქართველი

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ჟ უ რ ნ ა ლ ი

18365
F 10796

გამოცემის

ი. ჯავჯავაძისაგან

Тбилисский Филиал
Библиотека
ИМЭЛ при ЦК КПСС

«ხოლო ლეღვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან ს̆ გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოჰ არს ზაფხული».

(თავი 13, მუხ: 23. სახ: მარკოზისა).

ტომი II.

ტფილისი

გ. შელქუმიანცისა და ა. ენფიანჯიანცის ტიპოგრაფიაში.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ДОЗВОЛЕНО ЦЕНЗУРОЮ

30-го Апрѣля. 1863 года. Г. Тифлисъ.

კაცია, ადამიანი

(უმეტესი)

VII.

ოცი წელიწადია თურმე რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთს უ-ლელში შებმულან და ერთის ბედის კალთის ქვეშ ამოფარებულან. სოფლარი ამბავია ამათი ჯვარის წერა. ჯერ ლუარსაბი თავის ძმასთან—დავითთან გაუყრელი იყო, როცა ოცის წლისა შესრულდა ჯ მოინდომა ცოლის შერთვა. ძალიან მოინდომა, მაგრამ არიცოდა ვისი ქალი შაერთო; მდიდარიც უნდოდა, კაი გვარიშვილიც და მზეთ უნახავიცა. ამაების მექონი ქალი ჩვენში ძვირია. ლუარსაბს ჯერ ჯი თვალი ეჭირა იქნება შემხვდესო და, რომ ვერსად ვერა ჭეროვა, გაიძრახა გულში შაიგერინს პტუელის ბუზმენტებით ჩოხა, ბუზმენტებითვე განიერი მაუდის შალვარი, ერთი ოციოდ თუმანსაც თავი თავს მოუყარეს და ჩასულიყო ქალაქში იმ თვიქრით, რომ ერთი ორიოდჯერ ქუჩა ქუჩა გავაქანებ დროშკასაო, იქნება ერთი მდიდარი კაი გვარის და ოჯახის შვილის ქალი ბადეს მოხვდესო, თუ არა და სოფლის ქალები ხომ იქ არიან, ათასს თუმანს წამოვიღებო. ბოლოს შეიტყო რომ შორს წასვლა საჭირო არ არის: თავად გძელაძეს, დიახ პატიოსან გვარის და კაი ოჯახის შვილს ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი და ზედ ზურგზედ ორასი თუმანი თეთრი ნაღდად აკერია. აუოფორთხალდა ლუარსაბს გული, გაუჯდა გვერდებში და დღე მუდამ საამურად ულიტინებდა, მაგრამ არ იცოდა როგორ მოეხდინა საქმე. უშველა ღმერთმა და ერთს დღეს მაჯანკალიც გაუტეხა.

მაჯანკალი, გძელაძესგან მოგზავნილი, გახლდათ ერთი მოხუ-

ცებული, დარბაისელი, ლარიბი და ქვრივი დედა-კაცი, რომელიც მას აქეთ, რაც ქმარი მოჭკდომოდა, ამ პატიოსანის ხელობით თავს ირჩენდა. ამას სუტ-კნეინას ეძახოდნენ იმიტომ, რომ ამისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა ჯ ვერ დაიმტკიცა ჩვენც ეგრე დავუძახოთ.

დიდი ენა მეტყველობის სახელი ჭქონდა გავარდნილი თავადი შვილებში ამ სუტკნეინასა, ამისთანა გამოცდილი შუამავალი თურმე ორიც არ დადიოდა ჯედამიწის ზურგზედ. ამიტომაც ბლომად ილებდა, თვეის ქირასა, მაგრამ ეს იყო კარგი, რომ რაკი იკისრებდა საქმეს ბოლოსაც მოუღებდა. აი გძელაძესაც ეს ამოერჩია, ხუთი თუმანი ბეი მიეცა და ხუთმეტსაც დაჭირებოდა, რომ საქმეს გაარიგებს. თუმცა გძელაძემ გამოგზავნა ლუარსაბთან, მაგრამ გამოცდილმა სუტ-კნეინამ ისე აჩვენა თავი, რომ მითამ ჩემ თავად მოვედიო, რომ ლუარსაბსაც დაავალოს და დაჭსტინცლოს რამე.

ეს მოხდა ერთის აზნაურ შვილის სახლში, რომელმაც ჯვარი დაიწერა და ქორწილში სსვათა შორის ლუარსაბიც დაჭპატიჟა. ის სუტ-კნეინა ამ აზნაურ შვილის მამიდა იყო. ქორწილის მეორე დღეს საღილს უკან, ჩვენი ლუარსაბი შექეიფიანებული წავიდა და თვანჩატურში დაწვა. მზე დაწურგაზედ იყო, როცა ვილაცამ ხელი ჭკრა და გაალვიძა. ლუარსაბმა გაჭყიტა თვალები და დაინახა ერთი პატიოსანი ხნიერი დედა-კაცი. წამოხტა მაშინვე თვეზედ.

—დაბძანდით, შენი ჭირიმე, მოისვენეთ, უთხრა სუტ-კნეინამა: უკაცრავოთ კარ მოსვენება დაგიფეთხეთ, მაგრამ დედი თქვენის მეგობრობა და ხათრიჯამი, რომ მაგონდება, ის პატივი და სიყვარული თქვენზედაც გული შემტკივა. აი ამოდენა (დაბლა ხელით აჩვენა) ხელში მჭერიხართ, მითამაშებიხართ. დედა თქვენი და მე დიდი მეგობრები ვიყავით, უერთი ერთმანეთოდ ვერ გაგვეძლო, დიდი სიყვარული ვგქონდა ერთმანეთისა: დები რად იქნებიან ისე, როგორც ჩვენ ვიყავით. დედა თქვენი ხომ არ გახსოვთ?

— არა მე მაშინ ორის წლისა ძლივ ვყოფილვარ, მიუგო ლუარსაბმა, რომელმაც არ იცოდა ჯერ რა ამბავია და ეს რა უნდა ამ ქნეინასა.

—რასაკვირველია, არ გეხსომებათ. ის უბედური ღმერთს რომ თავის უმანკო სულს აბარებდა—იმის დამკარგავი მე ცოცხალი ვა-ღათავარ, ეჰ, მადლობა ღმერთს, იმის ნებას ვინ წაუვა—რომ უ-მანკო სულს აბარებდა, მე მაშინ ფეხთით ვეჯექი. ყველანი დაით-ხოვა ჩემ გარდა. მამა თქვენი, მგონია მაშინ მიცვალებული იყო.

—არა, ჯერ მასუკან თუნდ ექვსი წელიწადი იცოცხლა, მიუგო ისევ ლუარსაბამ.

—მართლა, მართლა, რამ დამაგიწყა?—თქვა სუტკნეინამ, მითამ ღ მართლა დაავიწყდა; აი სიბერე რა არის, ხსოვნამ მიღალატა. დიახ, ცოცხალი ბძანდებოდა. დახე ჩემს გონებას! თავის პირით არ მიბ-ძანა: «დალ ხორეშან! ვიცი რა სიყვარული გაქვთ შენ და ჩემ ცოდ-ა, წადი ფეხთით დაუჯეგ, იამება, შენ რომ გნახავს. ისე ჩემი ნახვაც არ იამება.» დიახ, ეს მამითქვენის სიტყვებია. მამათქვენი დარ-ბაისელი კაცი იყო, დიდი პატიოსანი, სახელოვანი და ყველასაგან პატივცემული. დიდი შიში-კრძალვა ჰქონდათ იმისი გინა მარტო ქრისტიანოში, სალეკოშიაც; დაღისტანამდინ იმისი სახელი გა-ვარდნილი იყო, რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონდა. ბა თქვენ რა გეხსომებათ, პატარა იყავით. ჰო, რას მოგახსენებდით? . . . ჩვეითხა ლუარსაბსა.

—რომ მამი ჩემის სახელი დაღისტანამდინ გავარდნილი იყო, რომ რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონია, უპასუხა ლუარსაბმა.

—არა, ეგ ხომ ვიცი. რაზედ დავიწყე ის დამავიწყდა, ველარ მომიგონია აი ბატონო, სიბერე ეს გახლავთ: წუთის წინად რას ვლაპარაკობდი არ მახსოვს, მამი თქვენის სიკვდილი- -ოცის წლის ამბავი, რომ არ მახსოვდეს, რასაკვირველია.

—თორმეტის წლის ამბავი გახლავთ. გაუსწორა ლუარსაბმა.

—თუნდ თორმეტისა, მაინც საკვირველი არ არის. რაზედ და-ვიწყე ლაპარაკი? ... ჩაფიქრდა სუტ-კნეინა, მითამ და არ იცოდა რა-ზედ დაიწყო. იცოდა, ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ ფიქრობდა ისე როგორ მაახერხოს, რომ ლუარსაბმა ტყუილში ველარ და-ეჭირა, რიგორც მამის სიკვდილში დაიჭირა. ლუარსაბი გაშტე-

რებული იდგა და სულ არ ესმოდა რა განძრახვით მოსულა ამასთან ენეინა და რა განძრახვით ლაპარაკობს.

— ჰო, მართლა! წამოიძახა სუტ-ენეინამ თქვენ შემდეგ: იმას მოგახსენებდით: ცხონებული დედა თქვენი, რომ უმანკო სულს უფალს აბარებდა, ყველანი დაითხოვა ჩემ გარდა, და როცა მარტოკანი დავჩით, მიბძანა თავის სირბილოზის ხმითა: «მე, ჩემო გულითადო მეგობარო ხორეშან, დიდი ხნის სიცოცხლე ალარა მაქვს. ვიცი, რომ ჩემი სიყვარული დიდი გაქვს, აი ეს შენ და ეს ჩემი ობლები, შენ იყავ ამათი დედა.» ეს რომ ბძანა, ვუი უბედურების მნახველს—გული ამოუჯდა. მეც ლაპალუპით წამომიგიდა ცრემლი, ბევრი ვიტირეთ. მერმე ხომ განუტევა კიდეც ის ანგელოზის სული. მე როგორც თავზარდაცემული ისე გიყსავით დავრბოდი, თურმე ეგონათ ვერ ავიტან მწუხარებას და ჭკვიდამ შევჭსცდები. დიდი სიყვარული გვქონდა, ესე ვიყავით თითქო ერთი ხორცი გვაქვსო და ერთი სული. დედა თქვენიც ასეთი დედა-კაცი ბძანდებოდა, — დაუმკვიდრობს ღმერთმა სასუფეველი—ასეთი დედა-კაცი ბძანდებოდა, რომ ყველას ხატსავით უნდა ელოცნა. ასეთი რამიყო! სადა არიან ეხლა იმისთანები! ჩვენც ვიტყვით, დედა-კაცები ვართო!... მესამეს დღეს ქრისტიანულის წესით მივაბარეთ მიწასა იმისი სათელი გვამი. დიდი სამლვდელო იყო მოპატიჟებული, მოგახსენებენ მამათქვენს გვამის გასაპატიოსნებლად არქიელიც უნდოდა მოეწვევა, მაგრამ დრეშკის ცხენები ვერ იშოვეს, რომ გაეგზავნათ. თქვენ ერთი ბეწო ობლები დარჩით, თქვენ და დავითი პატარები იყავით. თქვენ მაშინვე შამიყვარდით, თქვენკენ მაშინვე გული უფრო შამიწევდა, არ ვიცი რად. დათიკოც ხომ იმისი ნაშობი შვილი იყო, მაგრამ თქვენ ჩემთვის სხვა იყავით. მე ხომ თქვენ არ გეხსომები?

— არა, რა მახსოვხარ.

— აბა, რასაკვირველია, არ გეხსომები, შენ სამის წლისა იქნებოდი, როცა მე ქმარი მამიკვდა—ვაი იმის დამკარგავს—მას აქეთ შინიდამ ფეხი არ გამოიდგამს.— ვარ ესე უნუგეშო, უპატრონო ქვრივ-ოხერი; სიხარული ჩემთვის სიხარული ალარ არი, ქვეყანა ჩემ-

თვის სულ შავებშია ჩაცმული. მაპატიეთ კადნიერება, იქნება თავი მოგაწყინეთ. რა ვქნა? ბედისაგან დამწვარ-დადაგული ვარ, დარდები მეშლება ხოლმე. რაღა გავაგძელო, მოკლე სიტყვა ჭსჯობია. თქვენ სამის წლისა იქნებოდით, რომ მე ქმარი დავკარგე. მოგშორდით და მასაქედ ალარ მინახვიხართ, მაგრამ გულით ისევ თქვენთან ვიყავი, ვისაც კი თქვენებურს შავხვდებოდი, თქვენს ამბავს ვკითხამდი. ერთ ღამეს, აი ეს სამი თვეც არ იქნება—დამეძინა. ვნახოთ—ღრმა ძილში რომ ვარ—ერთი სასწაული მომეკლინა. ერთი მშვენიერი ანგელოზი, შუქმოფენილი, განწმენდილი და გასუფთავებული თვალწინ გამომეცხადა. სიზმარს მოგახსენებთ, მაგრამ ასეთი სიზმარი იყო, რომ აქამდინ ცხადი მგონია—«ხორეშან! მიბძანა სულმა ცხოველმა: მე შენი გულითადი მეგობრის სული ვარ, განწმენდილი და გასუფთავებული.» მაშინვე მუხლზედ მოვეხვიე დედი თქვენის სულსა, დედა თქვენი ბძანდებოდა.—«მუხლზედ ნუ მეხვევი, მიბძანა ხელახლად: მე შენგან გული მტკივა: რად დაანებე თავი ჩემს დავითს და ლუარსაბსა? დავითი ჯიდევ არა ფერი, იმან ცოლი იშოვა და დაბინავდა, ლუარსაბს რატომ არ ეუტრფობ?» სამი ღამე ერთი ერთმანეთზედ მომეკლინებოდა და სულ ამას მეტყოდა ხოლმე. ეგრე გახლდათ, თქვენი დაუტირებელი არ მოგვდე! თუნდ ეგ არ ყოფილიყო, მე როგორც მოგახსენეთ—უფლისა წინაშე ალთქმა მივეც, რომ დედობა გაგიწევო. და აი დღეს მოვიდა ის დღე. თქვენ უმაწვილი კაცი ბძანდებით. მე რა წამსაც დაგინახეთ მაშინვე მივხვდი, რასაც გაუგიყებია ის საწყალი ქალი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან ყარამანის მხარბეჭი და სიტურფე ტარიელისა, გონიერება გარდახმეშისა. თვალი მოგვარით, თუ არა, მაშინვე მივხდი რასაც აუნთია ცეცხლი იმ უბედურ ქალის გულშია. უბედურს ვამბობ, იმიტომ-რომ იქნება თქვენ იმაზედ არც კი ფიქრობთ, ის კი იქა დნება.

ლუარსაბს ამა, ისე უნებლიედ ქუდი უფრო ჩაიტეხა, კისერი ეოიღერა, წვრილ, ახალ აშლილ უღვაშებს ხელი გადუსო, წელში გასწორდა და მხარ ბეჭი მოიმარჯვა. ისე ამა, რომ პირველ

ხანში, ვერ მოახერხა სიტყვის თქმაცა. ჯერ არ იცოდა, რასაკვირველია, ის ქალი ვინ იყო, მაგრამ მაინც ეამა.

—არც კი ქალია ურიგო, დაიწყო ისევ სუტ-კნეინამ: როგორი ყარამანიც შენა ხარ, იმისთანა საბბისუერამან ის არის; სწორედ ტარიელ და ნესტანდარეჯანი იქნებით, ორივ ერთად რომ შეგეყაროთ. არც გვარი და შთამომავლობა აქვს ცუდი. მუხრან ბატონთან ერთ ფეურცელზედ არის იმათი გვარიც ჩაწერილი. კაი ქალი, კაი გვარიშვილი, კაი ოჯახი, სახელგათქმული ნათესავობა,—ბიძა ერთი მაიორი ჭყავს, მეორე დიანბეგია თათრებში, ფულიც აქვს ნაღდად მეტი რა გინდა? მერე დედი შენის სურვილიც არის. ის ანგელოზი წუხელაც მოგვეკლინა და მითხრა: «ეგ უთუოდ მოახდინეო!»

—ფული რა ერთი აქვს? ჰკითხა ლუარსაბმა.

—ორასი თუმანი ექნება.

—ნაღდად?

—სულ ბაჯაღლო ოქრო; შინა აქვს ბარგში შეკრული.

—გძელაძიანთ ქალი ხომ არ არის?

—თქვენ კინ გითხრათ?

—მე ვიცი.

—მაინც?

—ვიცი ის არის, განა მე კი გულში არა მქონდა იმ ქალის სახე, მორცხვსავით ჩაიღიმილა ამ სიტყვებზედ ლუარსაბმა.

—საიდამ, გინახამს თუ?

—თვალითაც არ მინახამს; მაგრამ ისე ვიცი.

—მაშ ნებას დამრთამთ თქვენ მაგიერ ვილაპარაკო? რა რიგად გაუხარდება ქალსა!

—თორემ მამას კი არა, თქვა სუტ-კნეინის ქებით გაზვიადებულმა ლუარსაბმა.

—არ გაუხარდება, თქვენმა მზემ! გაუძნელა ძალად საქმე სუტ-კნეინამ.

—მაშ იმისაგან არა ხართ მოგზავნილი?

—რას ბძანებთ? იმისაგან რომ ვიყო, საქმე გათავებული იქ-

ნებოდა, რაკი თქვენი ნებაც არის. ისა არის, რომ თითონ მაშა დიდს უარზედ დგას.

—უარზედ დგასო ! . . წამოიძახა გულნაკვეთმა ლუარსაბმა: რაში მიწუნებს მითამ ? გვარი იმაზედ ცუდი არა მაქვს და ოჯახი. მითამ რაო ?

—ეხლა-ხომ მოგეხსენებათ-რიხიანი კაცია.

—როგორ არა იქს, მაგრამ დიდი ცდა და ხერხიანობა კი უნდა.

—მაშა შეიძლება დავიყოლიოთ?

—ვინ იცის? ეგ ხერხზედ ჭკვიანია, მაგრამ მაინც კიდევ ღმერთმა იცის: ჯიუტი კაცია.

—ხერხი კიდევ თქვენი საქმეა.

—მართალია, მაგრამ მარტო ჩემი ხერხი რასა იქს?

—სხვა რა უნდა ? რაც შემეძლება ჩემ კისერზედ იყოს. მადლის გადახდა ჩვენც ვიცით.

—უი, შენ გეთაყვა, შენი! მაგას ვინ მოგახსენებს ? გულუხვობაში თქვენი გვარი დიდი ხანია გათქმულია, განა არ ვიცი; თუნდ ეგ არიყოს, დედიშენის შვილს, მე უნდა გამოგართოო რამე, მაშინ შემერგება ლუკმა? არა, გეთაყვა, მე მაგას არა ვიქ-ეგ შენ იცი. მაგრამ ...მაგარი ეს არის, რომ «ქრთამი ჯოჯოხეთს ასათებსო» ერთი ოცი თუმანი მოგინდება, რომ იმისი მახლობლები შემოვისყიდოთ. ერთი კაცია იქ, იმისი სიტყვა გძელაძიანთ მოსესათვის ბეჭედია, თვირმანია სწორედ. იმას უნდა ხახა დაუღბოთ.

—ეხლა სად ვიშოვო მე ოცი თუმანი—უთხრა ცხვირშირ ჩამოშვებულმა და დაღონებულმა ლუარსაბმა.

—მაგაზედ ნუ შეჭსწუხდები: შენ თამასუქი მამეც და თუღს მე გიშოვი.

—ბატონი ხარ. აი თუნდ ეხლავე, —წაჩტანა სიტყვა გახარებულმა ლუარსაბმა.

სუტ-ჯნეინამ, რომ ნახა ეს-ე ადვილად ლუარსაბის დაყოლება, ითვიჭრა, სულელი ყოთვილა, რატომ ბლომად არ უთხარიო და რომ გაასწოროს შეცდომა, ეს მოიგონა:

—ეს კი უნდა იცოდე, ჩემო შვილო, რომ დიდს სარგებელს გამოგართმევენ.

—დიდსა? მაინც რამტოენს?

—თუმანზე შვიდ შაურს.

—რა ვუყოთ, მივცემ. «როგორც გიჯირდეს, ისე გიღირდესო» ნათქვამია.

—მაშ ყური დამიგდე: შენ ჯერ უარზედ დადეგ, ვინც რამ უნდა გითხრას, თვეხი მაგრა დაიჭირე, იქნება იმ ქოთვაკს როცა დაეაბუღდება ჭკეხრაკი მოუჭირეთ მეტი დავჭსტეუვოთ, გესმის? მე სულ შენთვის ვამბობ, თორემ მე რა მერგება. ხომ გესმის?

—მესმის, როგორ არ მესმის! თვეხი უნდა დავაჭირო.

—მაშ ეხლა მე ვიცი. ხვალ დილაზე თამასუქს მოვამზადებინებ შენ ხელი მოაწერე და მერე მე ვიცი.

—თამასუქი წინ მოგცე?

—მაშ თუღს ისე ვინ განდობს. მე რომ მქონდეს არ დაგიჭერ—ხომ იცი. დედი შენის შვილს, როგორ დაგიჭერ, მაგრამ მე ქვრივ-ოხერს ვინ მამაბადა, სოფეხს უნდა გამოვართვო. აბა სოფეხი ხომ იცი რა ურიაა.

—ვიცი, ვიცი.

—მერე როცა გავარიგებ, მეც ერთი ქვრივ-ოხერი ვარ . . . ერთი ორჯელ ბურს მაინც მაჯმევ—შეაბრალა თავი სუტ-ენეინამ: შენი გვარი დარდიმანდობაში ჯ ბურმარილობაში გათქმულია.

ლუარსაბს იამებოდა ხოლმე, როცა ეგრე იხსენიებდნენ ამის გვარსა. ოღონდ ეს გეთქვა და ჩოხას გაიხდიდა და შენ ჩაგაცმევდა.

—ერთი ეს მითხარ, ქალი როგორია? ყველა ყველა და ეს კი დაგვავიწყდა, მოიგონა ბოლოს ლუარსაბმა.

—წიგნში და ხელ საქმეში კარგად გაწურთვნილი, მეტი რა გინდა, უპასუხა იმანაც.

—წიგნი რად მინდა? რა ბრძნად ხომ არ დავსომ! . . შენ ერთი ეს მითხარ, მადლიანი სახე აქვს? თვერზედ როგორ არის?

—მაგას ნულარა მკითხავ, კალმით ნახატია.

—მაშ რალა, თვეი დაკაჭირო? ჰკითხა ლუარსაბმა, რომელსაც სუტ-კნეინის უკანსკნელ სიტყვებზედ სიხარულმა და წადილმა ლან ში მეტად საამურად გაურბინა.

—დიახ, თვეი დააჭირე. ამას შენთვის კამბობ, რადგანაც ჩემს დაზედ უკეთესის შვილი ხარ, თორემ—თითონ შენ იც—იმე გამორჩომა არა მაქვს რა. ჩემის სულის საცხონებლად მინდა მოკახდინო ეს საქმე, თორემ მოსე გძელაძე მე არას მამცემს. ნეტავი დავიყოლიო და დედიშენის შვილის ბედნიერება მოკახდინო და გამორჩენას, ვინ იკითხავს!

—ჩემ კისერზედ იყოს ეგა. ლამაზია? ჰკითხა ლიმილით კიდ ეგ ლუარსაბმა.

—კითხარ, კალმით ნახატია, მეთქი.

—ორასი თუმანიცა აქვს?

—იქნება მეტიც,—ეგ მე და შენზედ ჰკიდია.

—იქნება მეტიცო! . . ჰა, თქვენ რას იტყვით,—ცუდი არ იქნება, ისე თქვა ლუარსაბმა თითქო რჩევას ეხლა აპირობსო.

—შენ როგორლაც გულში ჯერ არ გადაგიწყვეტია, როგორც ვხედავ,—დაასტანა ცბიერმა სუტ-კნეინამ, რომ გამოათქმევინოს, გულში კარგად გაუკდა თუ არა; თუ გაუკდა, კიდევ დაჰსტყუოს რამე.

—ეჰ, რას ბძანებ?

—როგორ რას ვბძანებ? თუ გულში არა გაქვს, ნუ შემარცხვენ, ეხლავ თავი დამანებებინე.

—თავი როგორ დაგანებებინო, რომ იმ ქალის სიყვარული! გულში ნალვერდალსავით ჩამიგდე. აბა როგორ დავანებო თავი? მითამ რაში დავიწუნებ?

—მაშ გავათავეთ?

—გავათავეთ.

—აი შენ გენაცვალოს ჩემი თავი! ძლივს დედი შენის მოვალეობას და უფლისა წინაშე აღთქმას არ შევასრულებ, თუ მოსე გძელაძე ძალიან არ გაგვიჯიუტდა.

—ის კაცი, რომ თქვი, მოისყიდე, მეც აქ ფეხს დავაჭერ.

—ნეტავი იმის მეტი ქრთამი არ დაგვეხარჯოს! იქნება სხვასაც მოუნდეს.

—შუაზედ გაუკეთ ოცი თუმანი.

—აი ჩემ თავლებს! ეს, როგორ იქნება? აბრალო კაცის შვილები ხომ არ არიან ათ ათ თუმანში ხელი გაისვარონ, თავადი შვილები არიან, სახელ გათქმულები. იმათი მოსყიდვა ადვილი არ არი. ეი როგორ გეტყობა რომ ჯერ ყმაწვილი ხარ.

—ოცის წლისა ჯერ სრული არა ვარ, იტყუვა დუარსაბმა, სრული იყო.

—ისიც ჩვიდმეტის წლისა იქნება. სწორედ გვრიტები იქნებით. აი ნეტავი კი იმ ბედნიერ დღეს შეგვესწრა, რომ თქვენ ერთად მხარი მხარ მხხდომნი გნახოთ და! ბევრი არ შემოგნატრებენ!

—მაშ ერთი აუჩქარე, თუ მართლა ეგრეა, თუ ღმერთი გწამს, შეეხვეწა მოუთმენელი დუარსაბი,

—ნეტავი ეგ ჩემ აჩქარებაზედ იყოს დამოკიდებული და მაღე მტერი მოგიკვდეს, მაღე მაგას ბოლო მე მოუღო, მაგრამ ის წყეული მამაა—საქმე. ღმერთი მოწყალეა, ნუ გეშინიან.

ეგრე გათავდა პირველი მოტიქულობა სახელოვანის მოტიქულისა. დუარსაბს ამ დღის აქეთ ცხადივ თუ სიზმრად სულ ის კალმით ნახატი ქალი აგონდებოდა და ორას თუმნიანი პარკი. სალერწელი მეტად აეშალა, სურვილმა მეტად აადუღა, ასე რომ როცა მოიგონებდა ერთ ლაზათიანად გაიზმორებდა და ამას იტყოდა მსუნაგსავით ტუჩის ლოკვითა: «კალმით ნახატი ქალი, ორასი თუმანი ბაჯაღლო ოქრო და იქნება მეტიცო . . . ჭა! რას იტყვი, დუარსაბ, ურიგო არ იქნება, განა? ამაზედ არის ნათქვამი: «ბედი მოგეცი და თუნდ სანახვეზედ გადამაგდეო!»

VIII.

თუმცა სუტ-კნეინამ თავის ანგარიშების გამო საქმე ცოტად გააგძელა, მაგრამ მაინც უნდა გათავებულიყო. რადგანაც ორივეს მხრივ ნების დართვა იყო. სუტ-კნეინის ანგარიშების გარდა, ერთი სხვა ხიფათიც მოსდევდა ამ საქმეს: ქალი პირველი, რომ ოცის წლისა იყო და ამბობდნენ ოცდა ერთისაცა — ეგ არა თვერი, ამაში შეიძლებოდა კიდევ ხერხიანად მოეტყუებინათ, ცხენი ხომ არ იყო კბილებზედ შეეტყოთ, მაგრამ ჭირი ის იყო, რომ მეტად მახინჯი გახლდათ. აბა აქ როგორ მოატყუებ? თვალებს ხომ არ აუბამ? მართალია, შეიძლებოდა პირველში სხვა ეჩვენებინათ, მერე რაკი ჯვარის საწერად მოვიდოდა ძალად გადაჭსწერდნენ ჯვარსა, მაგრამ სუტ-კნეინას ეშინოდა: მერე ხომ თმით მათრევენო. თმით თრევა კიდევ არათვერი, რომ კარგად გამორჩომა შეიძლებოდეს, ოცი თუმანი აბა რა თვლია! მართალია, ლუარსაბსაც ჩამოართო ბარათი, მაგრამ რაკი ამისთანა მახეში გაბამდა საწყალსა, მერე როგორღა მივიდოდა თვლის გამოსართმევად? ხომ უზიარებლად დაახჩობდა. ეჩიკლა და ბარათი დიამბეგთან წარედგინა რა გამოვიდოდა? ლუარსაბი გაბათილებინებდა, თუ არა და ნახევარს დიამბეგი წაილებდა. მაგ ნახევარს ჯანი გავარდეს, ოღონდ საქმე არ გამოაშკარონ გულზედ მოსულმა ლუარსაბმა. რომ გამოაშკარონ, მაშინ რა ეშველებოდა სუტ-კნეინასა? ხომ ციხეში დაიჯერდნენ.—«არა, ითქვა კნეინამ: ეს ბარათი კიდევ აქა მქონდეს; როცა დრო მოვა შევუთოვლი, თუ მამცა ხომ რა კარგი, თუ არა და ჯანი იმასაც გავარდნია—ერთი სიტყვით—ეს ბარათი ან ჭო არის, ან არა. საჭოარად საქმე რად გავიხადო. სითოხილეს თავი არ ასტკივა: ისევ ისა ჭსჯობია, მოსე გძელაძეს ათიოდ თუმანი ნაღდი—აი ეგ მიეკარეს!—მოვამატებინო და გავბედო ლუარსაბის მოტყუება. თორემ იქ ჩავიდი, ერთი დავი დარაბა ასტეხდება, იქნება საქმეც გამოაშკარავდეს, ამას იქნება კიდევ სხვა საქმეებიც ზედ შემიკეცონ—ერთი ხათაბალა რამ გამოვა რათა? არა, ეგ ჩემი საქმე არ არის: მე მიეკარეს «ჩისტად» საქმის დაჭერა.

ეგრე მოამართული იყო სუტ-კნეინა, როცა გძელაძიანთ სოფელში შევიდა ამისი ურემი, მითამ და ერთ რაღაც ძველ საყდარში ლამის სათევად მოვიდა. მეორეს დილას თითონ მოსე გძელაძე მოიკრა და სუტ-კნეინა თავის სახლში შეიპატიჟა. დაიწყეს ლაპარაკი.

—აბა, ჩემო ღვიძლ დაზედ უფრო უკეთესო დაო! ქალია, თუ, კაჟი? ჰკითხა მოსე გძელაძემ.

—კაი, რომ ქალია, უპასუხა შეწუხებულსავით სუტ-კნეინამ.

—როგორ? არ ირთამს?

—არა.

—მაინც რას ამბობს?

—ქალი არ მოჭსწონს—ნუ გეწყინებათვი—მახინჯი არისო.

—კაი შენს მოსეს! კანა უნახამს სადმე?

—არა, არსად არ უნახამს, მაგრამ შეუტყვია.

—თუ არ უნახამს, მაშ კიდევ შეიძლება საქმე დავატრიალოთ.

—აბა როგორ?

—თუ შენ შემეწევი, ჩემო დაო, და ჩემ პურ-მარილს არ დაივიწყებ, საქმეს დამში მოვიყვანთ.

—აბა გეთაყვა, მე რაღა თხოვნა მინდა, ხომ იცი ჩემს თავს შენის სამსახურისათვის არ დავზოგავ.

—მაშ თუ ეგრეა, დამაცა.

ადგა მოსე გავიდა გარეგ და პატარა ხანს შემდეგ შემოიყვანა ერთი ჭშვენიერი, მოხდენილი ახალგაზდა გოგო. დაუყენა სუტ-კნეინის წინ, ხან აქეთ შემოატრიალა, ხან იქით, მერე უბძანა, რომ გარეგ გავიდეს.

გამოცდილი სუტ-კნეინა მიხვდა რასაც მოასწავებდა ეს ამბავი, მაგრამ თავი მოიკატუნა, მითამ და არაფერი იცის. მოსე გძელაძე მოვიდა და მოუჯდა ისევ გვერდით.

—როგორ მოგეწონა? დაიწყო გძელაძემ.

—ერთი ტურფა რამ არის, უმანკოებით მიუგო მანკიერმა სუტ-კნეინამ.

—უფრო კარგი იქნება, რომ ჩემის ქალის ტანისამოსით მოგრთოთ.

—რასაკვირველია: ერთი ორად მოემატება სიკეკლუცე.

—ახლა შენ რას იტყვი, რომ ნიშანის მომტანს ეს გოგოლამაზად მორთული ჩემი ქალის მაგიერად ვაჩვენოთ? ჭკითხა მოსემ და თვალი თვალში გაუყარა, რომ პასუხი იქ ამოეკითხა.

—მერე სასიძო ხომ მოვა ნიშანის მერედ, იმას რალას უზამ?

—იქამდინ ვინ დაიცლის? მესამე დღესვე ჯვარის-წერა დავუნიშნოთ. სადღა მოიცლის, რომ ქალის საჩახვათაც მოვიდეს?

—მერე ხომ მაინც ჯვარის საწერად მოვა?

—მერე მე ვიცი. შენ ოღონდ მანამდინ დამეხმარე, მერე ჩემ კისერზედ იყოს: ძალად ჯვარს გადავწერ.

—არა, გეთაყვა მე მაგ საქმეში ხელი დამიბანია, მე მაგას არა ვიქ, ეხლავ გეუბნები.

—რატომ?

—აბა იმას გაუგია, რომ მახინჯია . . .

—მაგის თქვენი ნუ გაქვს, გაწყვეტინა სიტყვა მოსემ: ნიშანის მომტანი, რომ ამ გოგოსა ნახავს, მიკა და ეტყვის: რას მიჭქარავო, იმისთანა ქალი ჩემს თვალებს ჯერ არ უნახავსო. თუნდ ეგ არ იყოს, ერთი ხუთიოდე თუმანი და იმისი ჯანი. ასეთს აკვლავენ, რომ . . .

—ძმას გამოგზავნის.

—უფრო კარგი. რასაც თავის თვალით ნახავს, თუნდ ქრთამი არ იყოს, ის არ უნდა უთხრას? თორემ თუ ლიც ხომ არა მშურს.

—არა, გეთაყვანე, მე მაგ ცოდვაში არ ჩავდგები. აი შენი ბეთ მოცემული ხუთი თუმანი, მე კი ხელი დამიბანია.

ამოიღო ორი ოცდა ხუთ მანეთიანი ასსიგნაცია და მიჭსცა მოსეს გამოქნილმა მოტიქულმა.

—მაშ მღალატობ? . . უთხრა გულის სატკენად მოსემ: მაშ ჩემი ოჯახის დალუპვა გინდა? მაშ ჩემი საწყალი ქალი არ გებრა

ლება? ეჰ! მუხანათო წუთის სოფელო!.. სულ ტყუილი ყოფილა: ბურ-მარილიც, ბატივის ცემაც, სიყვარულიც, მეგობრობაც!... ეჰ, შენი ნებაა!... ეს კი იცოდე, რომ გულში შხამ წასმული ისარი გამიყარე, სპილენძის ტყვია მომარტყი, ურჯულო ლეკსავით ქრისტიანი სული წამწყმინდე.

მოსეს ეგონა, რომ ამ სიტყვებით მოულბობ გულსაო, ის კი არ იცოდა სუტ-კნეინა, რა კნეინა იყო! სუტ-კნეინა კი იქნებოდა რომ სიტყვით მოტყუებულიყო!.. სუტ-კნეინას თუმცა გულში ეცინებოდა, მაგრამ სახე შეიკმუხნა, მითამ ჭსწუხს კიდეც და ვერა უშველია რა.

—შენ ნუ მომიკვდები მოსე, უთხრა მწუხარეს ხმით კნეინამ: და იმ შენი სახის ჩემ უბედურს ქმარს ბირშავად არ შეგეურები საიქიოს, რომ შენის ოჯახის სამსახურისათვის მე თავს არ დავიზოგავდი, მაგრამ სამსახურიც არის და სამსახურიც.

—რა ვუყოთ რომ არის?—მიუგო ეხლა კი ცოტად იმედ მოცემულმა მოსემ, რადგანაც შეატყო, რომ სუტ-კნეინა დაყოლეას აპირობს: რა ვუყოთ, რომ არის? განა ჩვენი არ ვიცით სამსახურის გადახდა? რა უმადური მე მიპოვე? ოცი თუმანი არ დაგპირდი, ოცდა ხუთი იყოს, შე დალოცვილო!

—არა, გეთაყვა ფულზედ ხომ არ არის საქმე: თმით მათრევენ სიბერის დროს, სულს წავიწყმენდ.

—ოცდა შვიდი იყოს.

—არა, გეთაყვა, ფული რა სახსენებელია: საქმე დიდი გასაბედავია.

—ხომ მოხერხება შეიძლება? ოცდა რვა იყოს.

—არა, შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ თავს ვინ გამოიმეტებს?

—ოცდა ცხრა იყოს, უმატებს ნელნელად მოსე და ყოველ მომატებაზედ ხედავს, რომ სუტ-კნეინა რბილდება,

—ძალიან თავის გამომეტება კი უნდა, თორემ შეძლებით რა არ შეიძლება.

სუტ-კნეინამ, ხელოვანმა სუტ-კნეინამ ძალიან ცბიერობითა ჭსთქვა ეს უკანასკნელი სიტყვა: თითქო, მოსე რომ ფულს უმატებს იმას ყურ-

საც არ ათხოვებსო, და მარტო იმასა ფიქრობს: შეიძლება, თუ არაო. დიდი ხანია იცის სუტ კნეინამ, რომ შეიძლება, მაგრამ კარგა მსუქანი ლუკმის ამოგლება უყვარდა, რაკი ქვაბში ხელს ჩაჭყოფდა ხოლმე. მოსეს რომ არ დაესწრო, თითონ სუტ-კნეინა ეტყოდა მაგას, ესე მოვიქცეთო. კალმით ნახატიაო, უთხრა და ამისთანა მახინჯს ხომ არ დაანახვებდა? სწორედ მაგისთვისაც მოვიდა, რომ მოსესთან არჩიოს ისე კი რომ ფულიც მეტი გამოერჩეს. რაკი მოსემ დაასწრო გამორჩომის საქმე ნახევრად გარიგდა სუტ-კნეინას კი — დეც გაუხარდა, ეხლა მე უარზედ უნდა დავდგეო, თქვა გულში: ჯ თუ გამორჩომაა, აქ გამოგრჩებიო.

—ოცდა ათი იყოს, დაუმატა კიდევ სწორე გზაზედ დამდგარმა მოსემ: მეტი კი ალარ შემიძლიან.

—რატომ? დაიწყო ისევ თავისებურად კნეინამ, რაკი ოცდა ათამდინ აიყვანა: რატომ? შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ ნიშნობაში მეც უნდა ვიყო, რომ თუ მოხერხდეს, კარგად მოხერხდეს. ეს არის ჭირი, რომ ამ კაბით ხომ ვერ მოვალ?

—კაბაც შენი ჭირის სანაცვლო იყოს, დაასწრო გახარებულმა მოსემ, რაკი ნახა, რომ სრულიად დაიყოლია: კაბა ჩემ კისერზე იყოს.

—მაშ ყური მათხოვე, რას გეტყვი: მე იმას ნიშნის მოსატანად ძმას გამოვაგზავნინებ; შენ გოგო ლამაზად მორთე--ეცადე არავინ გაგვცეს---სამ დღეს უკან კი უთუოდ ქორწილი უნდა მოახდინო. მოიგონე რამე, რომ ყმაწვილმა ქალის ნახვა არ მოასწროს. მერე ხომ შენ იცი, ჩემი საქმე მაშინ გათავებული იქნება.

—ნიშნობის ღამეს თვალს სრულად ჩაგაბარებ, ეხლა თუნდა ეს ხუთი თუმანი ბე ისევ წაიღე.

—არა, ათი თუმანი მიბოძე, რა ვიცი იქნება, როგორ დამჭირდეს, აქ ხომ არ გამოვიქცევი.

—შვიდ თუმან ნახევარი იყოს ჯერა.

—ათი მიბოძე. ისევ შენის საქმისთვის მინდა, შენს საქმეს

Тбилисский Филиал Библиотека
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
F10736
103650

მოვახმარებ თუ გამიჭირდა. ჩემთვის ხომ არა გთხოვ.

—რა? ეს ათი თუმანი იმ ოცდაათ თუმნის ანგარიშში არ გინდა წაიღო თუ?

სუტ-კნეინამ გაიცინა.

—მაშ, ქა?

—ჰო, ეგრე თქვი, მე მეგონა მართლა ეს ცალკე გინდა, რომ ჩემ საქმეს მოახმარო.

—არა, გეთაყვანე, იმის ანგარიშში მიმაქვს. საკაბე კი მალე მიბრძე, რომ შაკერა მოვასწრო.

—აი ათს თუმანს მოგართმევ იქიდამ შეიკერე და მერე გაგ-ვასწორდებით.

სუტ-კნეინა დაჩუაბულდა, მაგრამ მოტყუვდა კი.

რალა გავაგძელო, მოსემ და კნეინამ ესე დაიწყეს საქმე და სწორედ ეგრეთაც ბოლო მოუღეს. კაი ბადე დაუგეს ლუარსაბსა, და კარგადაც გაბეს.

ორი კვირა, რომ გავიდა, ლუარსაბმა აღტაცებულმა,რომ საქმე გარიგდა, კარგის ნიშანით თავისი უფროსი ძმა დავითი გამოის-ტუმრა. დიდის ყოფით მიიღეს დავითი. ხალხი მოსემ არ მოი-წვევა, სრულიად არავინ, რომ ეშმაკობა არ შეუტყონ, ლუარსაბ-საც მიჭსწერა, ნურავის შეატყობინებო. აი ის წიგნი ნამდვილი, თავის ლირსებით და შეცდომებით:

«ჩემო ბედნიერო აღმატებულო გვაროვანო სიძეო:.

«თუმცა დიდათ ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღავსე ნეტარითა სიძოობითა თქვენითა და თვალი ჩემი ანახილე რომე-ლიცა რომა დაინახა ისევ გაზათვხული მუხთალისა სოფლისა ამისა ფერიად სიხარულში ვარ რომელიცა ეხლა ვარ ჩემო აღმატებულო გვაროვანო სიძეო რომელიცა გთხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავადა ვარ სნეული და პატიები და მას-

�და ქეიფი რომელიცა არ მე ალარ ძალმიძს რომელიცა თორად შეარუხებენ ქორწილში რომელიც თქვენ იქნებით ჩემ სახლში მასპინძელი დიახ დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატიოსანი ნათესავობა გუპვთ რომელიცა არც მე კარ უნათესავო და ბლომად შევუაროთ ისე როგორათაც რომ შეეფერის დიდებულს გვაროვნობასა თქვენსა და ჩემსა ოჯახ სახლ კარიანობასა ჩემსა :· »

«სხვებრ ბძანდებოდეთ ბედნიერებით იესო ძე ღვთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას, რომელიცა რომა მსურს წახვა თქვენი თქვენი სიმამრი ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანის ძე გძელაძით გვარისა :· »

რასაკვირველია, თავაზიანი ლუარსაბი ამ წიგნის შემდეგ ალარ გაგზავნიდა ბევრს ხალხსა. მარტო ერთი დავითი და ერთი კიდევ ვილაცა გამოისტუმრა, რომ ახალი სიმამრი, რადგანაც ავად არის, არ შეარუხონ. დავითს კი დაუბარა რომ თუალზედ კარგად მოიალვარაკოს, როდის ჩაუბარებენ და მერე ქალი კარგად გაშინჯოს.

დიდის პატივით მიიღო მოსემ დავითი. ქალის მაგიერად ის მშვენიერი გოგო მორთეს და დავითს ისე აჩვენეს. დავით გაგიჟდა რომ დაინახა და გულში არ იყო, რომ შურმაც არ გაუარა' ნამეტნავად თავისი მწლე ცოლი რომ მოაგონდა ამასთანა. გახშამზედ რომ ისხდნენ—მარტო ოთხნი იყვნენ—დავითი და ამასთან მოყოლილი ის ვილაცა, თითონ მოსე და ამისი მოზდილი შვილი. კნეინაც თუმცა მოსესთან იყო, მაგრამ ქალთან იგახშმა. მოსემ ბოდიში მოიხადა, რომ ხალხი არ დაუპატიჟა ამისთანა ბრწყინვალე გვარი შვილებსა.

—რა ვქნა, შენი ჭირიმე, უთხრა დავითს მოსემა, ჩემო ახალო მოყვარეო! ავათავარ, თესლიბს ვერ გავუწევდი, სიძუნწეში არ ჩამოგართოო, შენი ჭირიმე! აბა ჯერ ავათმყოფი კაცი რა არის, მერე მასპინძელი რა უნდა იყოს. თორემ იმდენი სიკეთე ღმერთმა შენ მოგცეს, რამდენი ნათესავობა და მახლობლობა მე მყვანდეს. მაგრამ ჩემი მაყურებლები რა ქეიფს გასწევდნენ. ისევ ის ვამჯო-

ბინე ნუ დავუტოვებ, მეთქი. ამ ნიშნობამ ისე შინაურულად ჩაიარა, ქორწილი კი ჩემ კისერზედ იყოს. ქორწილისა რა ბძანა ჩემმა სიძემა?

— რაც ჩქარა იქნება, ისა ჯობია, უპასუხა დავითმა: ბირ ფერობაში კი ნუ ჩამოამართმევთ და ეს ქალი რომ ნახოს იმან, იმ წამსვე ჯვარს დაიწერს, თავი არ მამიკვდება!

—მზეთუნახავი ყოფილა, დაუმატა სტუმარმაც.

— რაკქნა? მადლობა ღმერთსა, ღმერთმა ეგ მოგცა და,-ყველა ფერი ღვთის ნებაზედ ჯაიდა -თქვა მოსემ: მიხარიან, თქვენმა მზემ, რომ ქალი მოგეწონათ.

— ღმერთმა აცოცხლოს პატარძალი! წამოავლო ჯამს ხელი დავითმა: ღმერთმა ტკბილად შეაბეროსთ ერთმანეთი!

—მადლობელი ვარ, თქვენი ჭირიმეთ! დაუკრა ყველას თავი მოსემ: მაშ რაც მალე იქნება, ისა ჯობია!

—იმან ისე მოგახსენათ -უპასუხა დავითმა: მეც, სწორედ მოგახსენოთ--მაგას ვურჩევ ჩემს ძმასა. რალა გავაგძელოთ საქმე.

—ჩემი თიქრითაც ეგრე ჯობია,—თქვა მოსემ: ქალი აქა დნება მამისაგან კი არ უნდა ითქვას ესა,-მაგრამ შორეული ხომ არა ხართ, თქვენთან რა დავმალო—ქალი აქა დნება . . .

—ის კიდევ იქ თქვენმა სიცოცხლემ! წაართო სიტყვა დავითმა.

—მაშ როცა მიბძანებთ, მაშინ იყოს ქორწილი, ჯობია რჩევა მოსემ.

ერთის სიტყვით — გადაწყვიტეს, რომ სამშაბათს საღამოზედ სიძე უნდა მოვიდეს და იმ ღამესვე ჯვარი დაიწეროს. მეორე დღეს დავითმა თუღზედ ჩამოუგდო ლაპარაკი. მოსემ დაუჯერა, რომ ქორწილის მეორე დღეს ორასს თუმანს სულ ბავალლო ოქროვებს თავის ხელით მიართმევს. ხელი ხელს დაჭერეს, დავით მეორე დღეს — პატარძალი ალარ აჩვენეს— შინ წამოვიდა და მოსე თავის სახლში დარჩა. როცა მოსემ ცხენზედ შესო და გამოისტუმრა დავითი, როცა მარტო დარჩა, ხელები დაიფშვნიტა მეტის სიხარულისაგან და

თქვა ლიმილითა: ეოჩალათ წავიყვანე საქმე. ეხლა ჩემი წუხილი მარტო ის არის, რომ სუტ-კნეინას ხრიკი მოუგდო, ერთი მიზეზი რამ მოვუგონო, რომ თვული ალარ მიკცე იმაზედ მეტი რაც მიმიცია, თორემ იმისაგან რომ მოეტყუვდე, სირცხვილია.

ამ ფიქრში იყო, რომ სუტ-კნეინა—მოსეს ცოლი არა ჭყვანდა და ჯალაბობას კნეინა თამაშობდა—რომ სუტ-კნეინა წინ მოეგება გახარებული.

—ჭა, რა რიგად მოვიდა საქმე!-უთხრა სუტ-კნეინამ: მომილოცავს შვილის ბედნიერება. დიდი ჯათა კი გავჭსწიე. სულ ვიწურებოდი-შენზედ მიწა არ მენახოს — სულ ვიწურებოდი, რომ ან აი ეხლა შეიტყობენ მეთქი, ან აი ეხლა და დავიღუპები, მაგრამ მიშველა ღმერთმა და ვერ შეიტყეს.

—ეჭ, შე დალოცვილო!-უპასუხა მოსემ: იწურებოდი, ასე გონია, პირველად ჩაგედინოს ამისთანა საქმე. იწურებოდა! . . თქვენი ხელობა მეტი რა არის? იწურებოდა! . . .

სუტ-კნეინა შეკრთა.

—არა, ხუმრობ, თუ მართლა მეუბნები? ჭკითხა შემკრთალმა სუტ-კნეინამ.

—მაშ არა და გეხუმრები.

—ეხლა განა?

—ეხლაცა და უწინაცა.

—ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, თუ ეგრეა, მეკი გამისტუმრე და მერე შენ იცი.

—საცა გინდა წაბძანდი, ხელს ვინ გიჭერს.

—რასაკვირველია, ხელს არავინ დამიჭერს, მაგრამ დაპირებული მიბოძე და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, რაც გინდა ილაპარაკე ჩემზედ: გული არ მეტკინება.

—დაპირებულია! . . რაც მოგეცი იმასაცა ვნანობ და გგონიან კიდევ მოგცე რამა.

—ახლა აგ ნამუსია! მოხუცებული დედა-კაცი ფოშტის ცხენისაგით მაოინე, ქვეყანაში თავი შევირცხვინე, საქმე საქმეზედ მო-

ვიეკანე და ეხლა მაგას მეუბნები?! ნამუსია!

—დაჩუმდი, თორეს . . .

—არა, ნამუსია! . . შენა გკითხავ, ნამუსია!

— ისეი ნამუსია, რომ აგიღია თვეხი სოფლად-სოფლად დადიხარ და მაჯანგლობ, ნამუსია! შარშან რომ ათ თუმნათ შენი დისწული გასთხოვარი ქალი დიამბეგს მიგვგვარე, ნამუსია! რაცა დარჩენულდა, შენ რომ წამალი მიეცი და მუცელი წაუხდინე, ნამუსია! . . .

სუტ-კნეინას გული ყელში მოებჯინა. თავისი სიფთხილე, გამოცდილობა ამ გვარებში და გულის სიგრილე დაჭკარგა.

—მაშ თუ აგრეა—დაიყვირა გაკაპასებულმა სუტ-კნეინამ—შენი თვეხი დამკარ თავში, შენი თვეხი, თუ ეგ საქმე არ დაგიხლართო!

—შენი ლეჩაქი დამხურე თავზედ—ამ მუქარაზედ მშვიდობიანად უპასუხა მოსემა: შენი ლეჩაქი, თუ ეხლავ გომურში არ დაგამწყვდიო, მინამ ქორწილი არ გათავდება. რას მიზამ! მიჩივლებ თუ? არა, მგონია, შენი თავი სადიამბეგოდ გახადო: ცოდვა ბევრი გაწევს კისერზედ, სულ ერთი ერთმანეთს ზედ-მიეკვეცება, და მაშინ ციმბირშიც ალაგი არ გექნება, შე ტყუილო კნეინავ. შენა! ეს ის დიამბეგი კი არ არის, რომელსაც გოგოს გაურიგებდი ხოლმე და ბურთსავით ხელში ათამაშებდი! ის დრო წავიდა.

ვერც ამ სიტყვებმა მოიყვანეს თავის გონზედ გამწარებული სუტ-კნეინა. ის ისევ ისე სიმწარისაგან გონება მიხდილი იყო. თორემ გაჯავრების და მუქარის მაგიერ ისეთ ნაირად მოიკატუნებდა თავს, ისეთ ნაირად მოუკვდებოდა ხელში, რომ ყველა თვერს გაიქარწყლებდა. ეხლა კი ჯავრისაგან-როგორცა ვჭსთქვი-გონება დაბნეული ჭქონდა, იმიტომაც მაინც კიდევ შეჭყვირა:

—დამამწყვდევ! . , ეი, მეხიკი დაგეცა მაგ უხეირო თავზედ! დამამწყვდეგ რა შენი მოახლე გოგო ვარ, ან შენი გომბიო ქალი! . .

— რატა? აი თუ გოგოზედაც უარესი არა ხარ. მე ეხლავ გაჩვენებ, რაგორც გაგისტუმრებ გომურში—უთხრა ხუმრობა გაშვებით მოსემა: შენ რომ ჩამოგახჩო კიდეც, ხმას არავინ გამცემს.

მაგრამ სიფთხილეს თავი არ ასტკივარო, მერე რომ არა დამაბრალონ რა, ეხლავ მიჩვენე ჯიბეში რა გაქვს.

მიკარდა სუტ-კნეინას ჩვენი მართალი კნიაზი. სუტ-კნეინა ჯერ გაუძალიანდა, ბოლოს კი — ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ — იკადრა ერთის ლურჯის ხელცახოცის ამოღება, რომელშიაც რაღაცები ეხვივა. სუტ-კნეინა გაფითრდა და პირი გაუშრა. ველარა უთხრა რა. მოსემ გაშალა ხელცახოცი და თავისი ათი თუმანი იქ გამოკრეული ისევ ხელუხლებელად ნახა, მაშინვე ჯიბეში იკრა. ერთი რაღაც ქაღალდიც მოხვდა ხელში. გაშალა, თამასუქი იყო, ის თამასუქი, რომელიც სუტ-კნეინამ ლუარსაბს დაჭსტუუვა. მინამ მოსე ამ საქმეში იყო გართული, სუტ-კნეინას თავისი ხერხი, ეშმაკობა, გამოცდილება დაუბრნდა. ითვიქრა სუტ-კნეინამ: «ამ ყვირილს და მუქარას თავი უნდა დავანებოთ, თორემ დამწყევდევს გამიმართლებსო. თუნდ დამამწყევდიოს, არაფერი, ხუთი ექვსი დღე სიზმარსავით გაირბენს; მინ მიჭსწერ, რომ მზითებს უმზადებ მეთქი და ქორწილამდინ ველარ გადმოვალ. ვინ რას შეიტყობს, ოღონდ ეგ ათი თუმანი მაინც დავიბრუნო! ეგ მაინც არ დამეკარგოს!..» ამ ფიქრებმა თვალის დახამხამების უმალ გაურბინეს გონებაში სუტს, მაგრამ კი მოხერხებულს კნეინასა.

—ეს ვინ მოგცა შენ? ჭკითხა მოსემ და აჩვენა თამასუქი. სუტ-კნეინას მზათა ჭქონდა პასუხი.

—ახლა, შენ არ დაიჯერებ, რასაკვირველია, რომ ეგ თამასუქი თუ ჩამოვართვი ისევ შენ საქმისათვის ჩამოვართვი. თუ ვინიცობაა, რომ მოვტყუეთ, ქალი ის არ ვაჩვენეთ—ეს შეეტყო და უარზედ დამდგარ იყო, ამ თამასუქს ვაჩვენებდით და ვეტყოდით: დაიწერე, თორემ დიამბეგს წარუდგენთ და სულ ნაღდს დაგათვლევინებთ. ამ რისთვის გამოვართვი, შენ ხომ არ დაიჯერებ, გაჯავრებული ხარ, მაგრამ მეკი გული ძალიან შემტკივა შენთვისა.

—თუ ეგრეა, რატომ აქამდინ არ მაჩვენე?

—რომ ვაჩვენო-მეთქი, ვითვიქრე, ვაი თუ ამის იმედით საქ-

მესედ მუყაითობა იმისთანა ალარ გაჭსწიოს-მეოქი. რაკიცი? ხორ-ციელები ვართ.

—ახლა მაგითი გინდა მამატუუვო განა ?

—აკი გითხარ: არ დაიჯერებ მეოქი. კაცს რაკი ერთხელ და ერთხელ ესტიბარი წაუხდება, ალარ დაუჯერებენ. მეც ისე მამდის. შენა გგონია, გატუუებ? თუნდ რომ გატუუებდე, ეგ ბარათი შენ მიირთვი, ორასს თუმანში გაუბარე და მე ეგ ათი თუმანიც მეყოფა, ჩემო კარგო !

—შენ მაგითი მე ვერ მამატუებ. ეს ბარათიც მე დამჩება, ეს ათი თუმანიცა და შენ კი გომურის მაგიერად ხულაში დაგამწყვდევ, რომ ჯვარის წერამდინ არ გამცე. მერე რაც გინდა ქენი. ბიჭო ! დაიყვირა მოსემ.

ბიჭი მოვიდა.

—ეს ტუიალი კნეინა წაიბძანე ხულაში, ხალიჩაც მიირთვი, მუთაქაც, ქვეშაგებიც. ზური და ღვინო არ მოაკლოთ, ეს კი უნდა ქნათ, რომ გარედამ კლიტით უნდა გადაკეტო და გასაღები აქ მოამართო. თუ ეს ამბავი შაუტყვია ვისმე, ვაი თქვენი ბრალი !

ბიჭი არ გაიძრა, ჯერ ტუიალი ეგონა.

—არ გეუურება შე . . . . შვილო ! დაუჭყივლა მოსემ.

ახლა კი იკადრა ბძანების დაჯერება. მივიდა, წაავლო ხელი ჯ გამოჭსწია საწყალ სუტ-კნეინასა, რომელიც ახლა კი ისე მაიკუნტა, ისე მაიკუნტა, რომ მუშტის ოდენა გახდა, მაგრამ მაინც კი იმედი არ დაჭკარგა, რომ გააქარწყლებს ამ ამბავსა და მშვიდობით გადარჩება. კიდევ სიტყვა მოიხერხა ეშმაკურად და უთხრა მოსესა ისე ვითამ აქ არა ფერი ამბავია:

—უი, შენი გენაცვალოს ჩემი თავი! ტუიალი გაჯავრება რა რიგად გიხდება ! ამ სულელ ბიჭმაც დაიჯერა, ასე გონია, მარილა უბძანე. გლეხ-კაცია, ვერ მიხვდა, ნუ გაუწყრები, შენ გენაცვალოს ჩემი თავი !

ამისთანა ოსტატობამ კინალამ მოსე არ გააცინა. ბიჭიც გაშტერებული შედგა. ბევრი კიდევ სხვა ოსტატა სუტ-კნეინამ, მა-

კრავმ კერა თვერმა კელარ უშველა: ხულაში დაამწყვიდიეს შინ კი წიგნი მიჭსწერა—ჯერ კი მოსემ გადიკითხა—რომ აქ მზითებს და საკერაკებს უმზადებო და ოთხშაბათამდინ ნუ მომელოდებითო. ეს მიჭსწერა, შეკიდა ხულაში, დაჯდა ხალიჩაზედ და დაიწყო ტარის დართვა, რომელსაც საცა წავიდოდა, თან წაიღებდა ხოლმე. ესე იყო მითამ და აქ არა თვერია.

IX.

როცა დავითი შინ მიკიდა სალამო ხანი იყო. ამისი ცოლი ელისაბედი და ლუარსაბი ეზოში ლობის ჩრდილში ისხდნენ. თვალი შესწორო თუ არა, ლუარსაბი წამოხტა, მიეგება ძმას, ვერაფერიკი ვერა ჭკითხა, იმიტომ-რომ ჭსცხვენოდა. დავითი ცხენიდამ ჩამოხტა, გაისწორა მოშვებული ჩალსაკრავი, მოკიდა, ცოლს არც კი მიემშვიდობა და წამოწვა ხალიჩაზედ.

—როგორ მოგეწონა სასძლო? ჭკითხა ცოლმა ლუარსაბმა უურები აიცქვიტა.

—მზეთ უნახავს რომ იტყვიან, ის არის, მიუგო დავითმა: მე იმისთანა ლამაზი ქალი ჯერ არ მინახავს.

ლუარსაბს გაუხარდა, ელისაბედს ეწყინა: ჩემზედ უკეთესი იქნებაო.

—მართლა, გეთაყვანე? ჭკითხა ლუარსაბმა.

—შე ნუ მამიკვდები, იმისთანა ქალის მნახველი არა ვარ. ამის მერე ცოლს შეხედა და შურით დაუმატა: მე რომ ბატარა კიდევ მომეცადნა, სხვა რიგად წავიდოდა ჩემი საქმე.

—რა? შენ შეირთამდი, თუ? წაუყვედრა ელ ლვარძლიანმა ცოლმა: უი შენ თვალებს! შენთვის მეც არ ვემეტებოდი ჩემს ბედს. მამა ჩემი განა რომ უარზედ იდგა, შენისთანები მთხოულობდნენ!

—უარზედ იდგა, მე ვიცი, რუსთ ხელმწიფის შვილს მიგცემდა, იმისიც მადლობელი იყავ, რომ მე გავბრიყვდი 4

ესე სიტყვა სიტყვაზედ შეჰყვნენ და ერთი კაი ლაზათიანი ჩხუბი მოუვიდათ ასე რომ მოგეწონებოდათ ელისაბედს იმ დღითვე შურით აევსო გული და შეიძულა ჯერ თვალით არ სახული რძალი.

—«მალე ჩემი მტერი დაჯჯნეს, მალე მე ის დავაჯჯნო, ამბობდა გულში ელისაბედი: ამ სახლში ჩემზედ უკეთესი და ჩემზედ უფრო სი არა ვინ არ უნდა იყოს. ჩემი ქმარი უნდა მაყვედრიდეს იმის სილამაზეს?! ეი უწინამც დღე გაჰქრობია. ასეთ ეკალს გაუერი თვალში რომ დღესი ვაწყეკლინო !»

ელისაბედი ქორწილში არ წავიდა.

ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა. მოვიდა სიმე დიდის მაყრიონით, ძმაც თანა ჰყვანდა, სწორედ სამშაბათს დღეს, იმ დღეს სატოლო არ აჩვენებს, რასაკვირველია. მოსესაც შეეყარა დიდი ხალხი. უგანძრახვო არ იყო ეს ხალხის შეყრა მოსეს მხრით. ჯერ ახლაკი მართალი ქალი გაისტუმრეს საყდარში. როცა ყველა ფერი მოამზადეს, მერე მიიპატიჟეს საქორწილოცა. როცა შევიდა ღუარსაბი საყდარში და თვალი მოჰკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მოუბრუნდა თავის ძმას დავითს, თავაზასაც და ზდილობასაც თავი დაანება და უთხრა: დავით. აკი მზეთუნახავია?

ხალხს სიცილი წაჰსქდა პატარ ძალი საწყალი ცეცხლსავით ანთო ტ ტირილი დაიწყო დავითი წინ წადგა. რომ დაინახა ერთი უმგზავსო პატარძალი, ღვდელს მიუბრუნდა:

—მამაო ! ჯერ სხვა იწერს ჯკარს, თუ ეს რა ამბავია !

—კნიაზი ღუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს, მიუგო ღვდელმა.

პატარძალი რად არის ?

—აი ეგა ბძანდება.

—ღუარსაბ ! დაუძახა ძმას დავითმა: მოგვატყუეს. ეგ ის ბ. რის ჯვარი არ დაიწერო.

მთელი ხალხი გაოცდა. ღუარსაბი დაღონებული და უფრო გაფითრებული გამოვიდა საყდრიდგან, მთელი მაყრიონი გამოჰყვა. ცხენები მოიკითხეს უნდა წამოსულიყვნ. ცხენები დაემალათ.

შეტეობინეს მოსეს, რომ საქრმო ჯვარს არ იწერსო. მოვიდა მოსე და თან მოიყვანა მრავალი ხალხი.

—კნიაზო დავით! ეს რა ამბავია! უთხრა გაჯავრებულსავით მოსემ: ქალი საუდარშია და საქრმო ახლა დადგა უარზედ? აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი? ვინ გეხვეწებოდათ? თქვენისთანა ოჯახის შვილები მეხვეწებოდნენ, რომ არ მიგეცი!

—აი, ბატონო, ქალი მანდ არის და ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემა ძმა კი მაგის შემრთველი არ არის, მიუგო თავ-გამოდებით დავითმა.

—ახლა განა? როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომა ჩემ ქალს ირთავს შენი ძმა, როცა შენმა ძმამ საუდარშიაც შეიყვანა ჩემი ქალი? არა, თავზედ ლაფს არავის არ დამასხმეკინებ! ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არა და აქედამ ცოცხლები ველარ წახვალთ, გაგონილა? სიძე სახლში ჩამიდგეს, ქალი საუდარში შეიყვანოს და ჯვარი ალარ დაიწეროს! . .

—ის კი გაგონილა, რომ პატარძალი შეცვალონ! ეს შენი ქალი არ არის,

—ხალხო და ჯამაათო! დახე, რომ ველარა მოუგონიათ რა იმას ამბობენ, შენი ქალი არ არისო, დაუძახა ხალხს მოსესა.

—მაშ ვისია, თუ მაგისი არ არის, გაიხმაურა მოსეს ხალხმა: ჩვენ ფიცს მოგცემთ.

—არა, ბატონებო, ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს. თუ ძალაზედ დადგებით. არც ჩვენა ვართ ლაჩრები, წამოჭსთქვა დავითმა და ხანჯალი მოიმართა.

ქალები ვინც კი იყვნენ საუდარში სულ აქეთ იქით მიიფანტნენ. ნახეს, რომ იმათი ალაგი არ არის პატარძალიკი და ორი ვიღაც ბებერი მოსემ საუდრიდან არ გამოაყვანინა. იმედი ჭქონდა, რომ რაგორმე მოჭხდენდა ჯვარისწერას.

—მაშ მოსე თავადი შვილი ალარ ყოფილა, წამოიძახა მოსემ: თუ თქვენ ჩემი ოჯახი შეგარცხვენინოთ, ჩემი ცოცხალის თვალი

მაგას არ გაგაგდებ ჩემს გვარს, რომ თათქარიძეებმა საუდარში ქალი გამიუპატიურონ, ჯვარი უნდა დაიწეროს.

—არ დაიწერს.

—უკანასკნელი სიტყვაა

—უკანასკნელია.

დავით!-უეცრად გადასძახა ფერა სიტყა მოსემ და ხმაც მოურბილა: აქედ მობძანდი.

დავითი გაჰყვა. იქითორნიკ გაშორებით გადგნენ. მოსემ ამოიღო ხუთი თუმანი და უთხრა ხმადაბლა დავითს:

—ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი შენ რა გინდა ? შენ ხომ არირთამ?

დავითი დარბილდა.

ხ—უთ თუმანზედ ძმა როგორ გაგიყიდო? უპასუხა დავითმა.

—შვილი იყოს.

—ან შვილად.

—რკა იყოს!

—კერც რკა თუმნად

—მაშ რამდენი გინდა?

—ათი მაინც იყოს.

—ცხრაზედ, რას იტყვი ?

—არა, ათი.

—ეჰ, ჯანი გაგარდეს: ათი იყოს.

ამოიღო ათი თუმანი და მიჰსცა. დავითმა ჯიბეში ჩაიდო.

— მე კი დაჩუმდები და ჩემი ძმისა შენ იცი. უთხრა ღიმილით დავითმა

—ოღონდ შენ დაჩუმდი, და ერთი ორიოდე კაცი თქვენი მაურიონიდამაც დაიყოლიე და ლუარსაბს მე მოუხერხებ.

—ბატონი ხარ. მაგის პირობას გაძლევ.

—მაშ ხელი დაჰკარ.

დაჰკრეს ხელი ზალს ტ საწყალს ლუარსაბს ძალად გადასწერეს ჯვარი იმ ღამესა. მოსემ არც დაპირებული ორასითუმანი მიჰსცა იმისა

მაგიერ ის თამასუქი დაუბრუნა სუტ-კნეინას რომ შაართო ლუარსაბს არ მიჰყვანდა ცოლი მინამ არ გამისწორდებაო, ბოლოს ესეც—რომ ვერა გახდა რა—გარემოებას დაემორჩილა და წამოიყვანა შინ თავისი დარეკანი.

ელისაბედი სიხარულით ალარ იყო, რომ ლუარსაბმა მზედ უნახავის მაგიერ გორჯი ცოლი მოიყვანა.«—ჰი, ვენაცვალე ღმერთსა! ეტყოდა ხოლმე ქმარსა ელისაბედი: ჰი, ვენაცვალე! ჯერ ჩემზედ უკეთესი უნდა შეერთო და მერე ჩემთვის ნიშანი მოგეგო! ჰი, ვენაცვალე ღმერთსა!» ბოლოს ხომ—როგორც მოგეხსენებათ—ცოლების მოწყალებით ძმებს ჩხუბი მოუკიდათ და გაიყარნენ.

X.

ჩვენმა ლუარსაბმა ესე დაიწერა ჯვარი. თუმცა ძალადობით მოხდა ესა, თუმცა მზითევშიაც მოატყუეს და მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეკანი შერთეს, მაგრამ—ალბად შუბლზედ ეგ მეწერა—ითვიქრა და დაემორჩილა ბედის-წერასა. ბოლოს ხომ—შენც იცი მკითხველო, რომ ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ამათ კი ისე ეგონათ, რომ უყვართ ერთმანეთი და სხვისა კი არ ვიცი. «ფერი ფერსაო მადლი ღმერთსაო» ნათქვამია, ფერი ფერს შეხვდა და ერთმანეთი შეიფერეს. ეს შეფერება ჩვენში ცოტასა აქვს მიღებული სიყვარულად? კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე; არც ერთისთვის გაიხეთქს თავს და არც მეორისათვის დაიწყობს ბრძოლასა,-და არის ისე ყველგან ერთსაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულ ვრილობას და შეუპოვრობას კმაყოფილებად ადიდებენ; კმაყოფილება კიდევ—ვილაცამ ჰსთქვა—ბედნიერება არისო. ბევრჯელ უოქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემთვის, რომ ახალ თავობას იმითი მაინც ვჯობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიცა ვართო. მე კი დავჩუმებულვარ და გამიფიქრია: «კმაყოფილება კაცის მამაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თავობა, თუ მართლა

ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოსო. უმადლონი ჭსჯერდებიან მას, რაც არის, იმიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი მადლიანი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფრო კარგი მოსდევს თანა, «მსჯობს მჯობი არ დაელევაო» ნათქვამია.

ჩვენი ცოლქმარნი კი ამისთანანი არ იყვნენ: ამათ თავიანთ ცხოვრებაზედ «მჯობი» ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზედა. ესენი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ არ ემართათ და ვახში, დავა არავისთანა ჭქონდათ და დარაბა მხოლოდ ერთი ჯავრი ედოთ გულშია: შვილი არა ჭყვანდათ. აი ლუარსაბი ორმოცის წლისა და დარეჯანი ორმოცდა ერთისა შესრულდა, რომ ღმერთმა მემკვიდრე არ უბოძათ. ბევრჯელ გადაფურცლა კნეინამ კარაბადინი, ბევრი რაღაც ბალახ-ბულახი მიირთო და ლუარსაბსაც დაალევინა, მაგრამ ვერა ეშველათ რა. «ტყუილად თავს რად იხეთქენ—ამბობდა ხოლმე ამათზე ღვარძლიანი ელისაბედი: ტყუილად რად იხეთქენ? სოლომონ ბრძნის წიგნს რომ ჩაბულბულებდა ხოლმე და გუდიასობდა—ეგ იმან ჩაჭსცხო თავშია. ღმერთმა მაგათზედ გული აიყარა, ეხლა აღარა ეშველებათ რა.»

ჩვენი ცოლქმარნი კი იმას არა ჭკარგავდნენ. შეიტყეს რომ ქალაქში ერთი მკითხავია, ის შეიტყობს უშვილობის მიზეზსა. თუმცა შვილოსნობის დრო გადასულოდათ, მაგრამ მაინც კიდევ ქალაქისაკენ კაცი ავიგზავნეს, თან გაატანეს ერთი კარგი ბალდადი, რომელზედაც როგორც მოგეხსენებათ — უკითხავს მკითხავი იმას, ვინც თითონ ვერ მივა და რომელიც, რასაკვირველია, მკითხავს დარჩება ხოლმე. სამს დღეს უკან ბიჭმა პასუხი მოუტანათ, რომ «თქვენზედ ხატია გამწყრალიო. მერე რომელი ხატი? თელეთისაო. ასე თქვა მკითხავმავო» ეს რომგაიგეს ცოლქმართ ერთ დროს და ერთხმად პირჯვარის წერით წამოიძახეს:

—საიდან სად მოგვიკითხა! დიდება სახელსა უფლისასა!

თქვეს და ისევ პირჯვარი გადიწერეს.

—დალახვრა ღმერთმა! საიდან სად მოგვიკითხა! ისევ გაიმეორა ლუარსაბმა.

—ხატზედ დალალვრას, როგორ ამბობ?

—ღმერთო ნუ მიწყენ, ღმერთო ნუ მიწყენ! რაშდენჯერმე პირჯვარი გადიწერა სხაპასხუპით: აი დალალვრა ღმერთმა, დაჩვეულიო, რომ კარ. ისე თავის თავად ითქმის ხოლმე ღმერთო ნუ მიწყენ!

—ახლა რას იტყვი, ლუარსაბ, წავიდეთ?

—შორს რომ არის?

—რა კუეოთ? ალბად ნება ღვთისა ეგ არის.

—მოდი, აქვე ნეკრესის ღვთის შობელი ვილოცოთ.

—თელეთის ხატს ეწყინება, მე დავიბარეთ, აქ კი არ მოვიდნენ ჯ იქ კი წავიდნენო, იტყვის.

—მართალია, ეწყინება. გული მოუვა, აი მე ხომ კაი კარ, მეც გული მამიგიდოდა და ის ხომ ხატი ბძანდება—ვენაცვალე იმის მადლს!—უფრო გული არ უნდა მოუვიდეს?

—ეგ არის და.

—მაშ რა ვქნათ?

—უნდა წავიდეთ.

—შორს კი არის, თუ შენც იტყვი

—ახლა თუ მიგდიკართ, ნულარ ამადლებ—გვიწყენს.

—მართლა, მართლა! ნუ მიწყენ აგრეთვე დიდება შენსა სახელსა, ხატო თელეთისაო! გიახლები, გიახლები და თავვასსა ვცემ სახელსა შენსა.

დაიჯერეს მკითხავის სიტყვა. თედოს შეაბმევინეს ურემი, გადააკარეს ფარდაგი, ერთი კარგი ცხვარი დააკრეს ურმის ბოლოს, ასხენეს ღმერთი და ერთს მშვენიერ ზათხულის დილას შეუდგნენ ქალაქის არა გზასა. ურემში ისხდნენ კნეინა დარეჯანი და მისი მოახლე ლამაზისსეული. ერთი ბიჭი და ლუარსაბი თავის წითელს ულაუ ცხენზედ მჯდომი ნელნელა ეედევნენ უკან ფეხ-მძიმე ურემსა. მეომარის თვალადობა ჭქონდა ამ ყამად ჩვენს ეამ.ისოთაც საყვარელს ლუარსაბსა, თუმცა კი, როგორც ბამბის ტომარა, ისე იდო ცხენზედა. წელზედ ერტყა ქართული ხმალი და გძელი ლეკური ხანჯალი, უკან ჭქონდა სეკვდიანი დამბაჩა. შავი შალის ჩოხა

ეცვა, იმისი კალთები ვაუკაცურად ამოტარებული ჰქონდა ჩოხის ჯიბეებშია. შარვალში იჯდა, შარვლის ტოტები ჩაეკეცნა მაღალ ყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში, წვიკბზედ ბტეული ჩალსაკრავი გაქელ ფოჩებიანი სირაჯსავით შემოეკრა. თავზედ ეხურა ლურჯი ყალმუხის ქუდი კახურად ჩატეხილი და შუბლთან შიგ შეკეცილი, რადგანაც ცხელოდა—ერთის სიტყვით — ხლმის ბირი ზედ წამოცმულ ვაშლით, რომ ამოლებული სჯეროდა, თავიდამ ფეხამდინ ორშაბათის ყეინი იქნებოდა .

ამ ფოფით ავიდნენ თელეთში მეხუთე დღეს, ოლოცეს და მეორე დღესვე დაბრუნდნენ. ქალაქს რომ ჩამოუარეს და შეუდგნენ კახეთის გზასა, კნეინა დარეჯანმა შეაქცია ზურგი ფოფასა, წამოჩოქა ტ გამოხედა ქალაქსა. ლუარსაბს ურემში ეძინა. ისიც გაალვიძა .

—ლუარსაბ, ერთი შეხედე რა ამბავია. ამოდენა ქვეყანა გაგონილა, რომ აქ არის! დიდება შენდა ღმერთო! სულ ქვითკირის შენობა უნდა იყოს.

კნეინას ქალაქი ჯერ არ ესახა.

—მაშ არა და წნული იქნება.

—ერთი შეხედე და, რამდენი საყდრებია!..

—ვიცი. განა არ ვყოფილვარ?

—პირველად, რომ ჩაგიყვანეს კენჭები არ ჩაგაყლაპეს? (*)

—როგორ არა? სამი ასეთი კენჭი ჩავყლაპე, რომ ძლივს მოვინელე.

—ალარ დაგცადა ქალაქმა?

—არა, რალას დამცდიდა, რომ კენჭებ ჩაყლაპული ვიყავ? რომ არ ჩამეყლაპა მაშინ სხვა იქნებოდა.

—ეგ ხომ აგრეა. კაი სანახავი კი უნდა იყოს!

—კარგი რაგორ არ არის, მთელი მილეთის ხალხი სულ მანდ დაწანწანებს: თათარი, ყიზილბაში, ურია, ოსი, სომეხი, რუსები ხომ რალა, ბუზსავით ირევიან.

(*) ჩვენში ბევრსა ჰსწამს, რომ თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭს არ ჩაყლაპავს, ქალაქი დაჰსცდისო. მეც ამის დამწერს გადამაყლაპეს ერთს დროს.

—მართალია, რომ აქ კაცს თავს მოჭსჭრიანო და მერე ისევ გაცოცხლებენო ?

—მართალია, მაშ ? ეგ კიდევ რა! რაღაც მოუგონიათო, ფიცრებს თავისთავად ხერხავსო.

—ახლა ეგა თქვი.

—თავი არ მამიგვდება.

—როგორ? ისე თავის თავად ?

—თავის თავად.

—არც კაცია, არც ადამიანი ?

—არა.

—მაშ ხერხი ვის უჭირავს ?

—ეშმაკს და ქაჯს, ღმერთმა ნუ იცის რუსების თავი !

—რუსების მოგონილია განა ეგა ?

—მაშ არა და შენი მაზლის დავითისაა !

—დიდება შენდა, ღმერთო ! თვალთ მაქციობას რომ თამაშობენ ისიც გინახავს ?

—აბა რომელი ?

—აი გაჭენებულ ცხენზედ რომ კაცი დადგება, იმ კაცზედ კიდევ კაცი, იმაზედ კიდევ კაცი და კიდევ და კიდევ.

—ეგ რა არის? მე კი არ დავდგებოდი ხოლმე გაჭენებულ ცხენზედ ჩემ ბატარა ბიჭობაში ! . . დაიგვეხა ღუარსაბმა.

—აი შენმა მზემ ! შენ კი იქნებოდი, რომ დამდგარიყავ.

—ღმერთმანიცის! ახლა ჯანი ალარ მამდევს და სიმარდე, თორემ ახლავ გიჩვენებდი.

—ნუ იგვეხ, ხომ ვიცი, ჩემო კარგო, რაცა ხარ.

—განა გვეხნისთვის ვამბობ ? მე იმისთვისა ვჭსთქვი, რომ ეგ რა თვალთმაქციობაა მეთქი. მაგაზედ უფრო ბევრი ასეთია, რომ...

—მაინც ?

—რა ვიცი რამდენი რამ არის.

—თქვი რაღა, მეც ვიცოდე.

—ბევრია.

—მაინც?

—რა ვიცი, რაშდენი რალაცეებია . . .

—მაინც?

—ეჰ, ვინ მოჰსთვლის? ბევრია. ნეტაჯი შენ! რა რიგად ჩამოცხა! უჰ!

რომ არ იცოდა რა ეთქვა ჩვენ უბოროტო ლუარსაბსა, სიტყვა გადასხვავთვერა, მოიხადა ყალმუხის ქუდი, შუბლიდან და სახიდან იმითი ჩამოიწმინდა ოფლი. მერე გააკეთებინა ჩიბუხი და ჩიბუხის წევაში ისევ ხვრინა ამოუშვა, მერე ასეთი რომ რამდენიმე დღის უძილო ეგონებოდა კაცსა.

(დანარჩენიც სხვა ნომერში იქნება)

მ. ჯიმშერაძე

თანამემგზაური.

(მიბაძვა პაკლოვისა.)

გამომეცხადა მე პირველად, მახსოვს იმ ჟამსა
ხეს ქვეშ ვიწექი, გმაყოფილი განვისვენებდი,
კარე ხვეული ყვავილთაგან; ბულბულის ხმასა
ყურსა ვუგდებდი მდუმარებით, მოვილხინებდი!
ხეს ფურცელთ ქვეშე მზისა სხივნი გამოსჭვირვიდნენ,
მერცხალნი ცელქად ნავარდობდნენ და დაჭფორინვიდნენ,
ბრწყინვალნი წვეთნი ყვავილთაგან ჩამოსცვიოდნენ,
ყველა ხარობდნენ, მოძრაობდნენ, ყველა ჭყვაოდნენ!
ჭქონდა მეკლიში გაზაფხულსა გვირგვინ ბურვილსა,
ყველას აძლევდა სიხარულის გულის სურვილსა!
ჯაბუკნი ჩემნი, ახალ შლილნი გულის გრძნობანი,
უპასუხებდენ, უგალობდენ დღესასწაულსა!
თვრამეტის წლისას მაქვნდა გული ტკბილი, ცხოველი.
ახალ გაშლილად ბალად მიჩნდა ესე სოფელი!
მზე და მთოვარე, მთა და ველი, უცხო ქმნილება,
მეჩვენებოდა, იყო ჩემი მთლად კუთვნილება.
შორს მზადდებოდა გასათხოვნად ჩემი სურვილი,
თვით არ იცოდა, რისა ჭქონდა გულის წყურვილი.
მაშინ უცრად წარმოიდგა მლიმარებითა
სტეტა მოსილი, ვითა თოკული ქალწულებითა;

გვირგვინიანი ყვავილთაგან დამადგა თავსა,
ნარნარებით და სიყვარულით მიმზერდა თვალსა.
ამა სამოთხის მოციქულმა თავი დახარა,
ბედნიერება, ნეტარება ჩუმათ მახარა.
ამ დროს ნიავი ფურცელთ რხევით აშრიალებდა,
და შორს ბულბული ტკბილსა ხმასა განაგრძელებდა;
მაშინ მითხრა მე ტკბილის ხმითა: «ჭაბუკო ერმალ,
მე აწ კარ შენი, ამა სოფელს ყოველით გახარო.
მე კარ მეუღლე და სიცოცხლის თან მეგზაური.
შენც შემინახე, გამითბილდი, დამიგდე ყური!
მე შენ აღგივსო ეგე გული მკაცრ ძლიერებით,
ბედნიერებით, მღიმარებით, ტკბილ მღელვარებით.
ჭსწავლის სურვილით მე მოვიცვავ შენსა გონებას,
კარე აღგიგზნებ აღტაცებას, ცეცხლებრივ გრძნობას;
მე აღგისრულებ ყოველს სურვილს, ყოველს ნებასა,
გემსახურები და ვიკადრებ შენს მონებასა.
მოშეცი ხელი და წავიდეთ ვინემ გვაქს ხანი,
ამა სოფელში მოგველის ჩვენ დიდი საგანი.»
განცვიფრებული ვუმზერდი მე და ვუსმენდი მას,
გული მიძგერდა სიხარულით და ვერ ვცემდი ხმას
განვიდენ წელნი . . . კვლავ მეჩვენა, ოდეს სევდითა
იყო მოცული სული ჩემი მჭუნვარებითა,
დროცა ზამთრობდა და გულიცა უშარსუხებდა,
ხესა განცრცვნილსა, შემუსრვილსა ემგზავსებოდა.
იყო დუმილი ბუნებაში, ვითა სათვალავში,
უფერულად ჭსჩანდა მთა და კელი, ეგრეთვე ცაში,
იყო ცვლილება და მსოფლიო როგორც რომ მკვდარი,
თითქო ქვეყნისა ძარღვის ცემა იყო შემდგარი.
მჭუნვარებითა და კვნესითა მოზუზუნებდა
ხანდისხან ქარი; ვითა კაცსა სული ხდებოდა!
გახუნებულსა ცასა შინა შავი ღრუბელი

იწვა სამშობლად მოგრაგნული, როგორც რომ გველი,
მიჭქონდა ქარსა ხის თეურცელნი, შორს განთვარტვიდა
ჯმუნვის გრიგალით მეც გონება სულ გამითრინდა:
რაცალა მქონდა სიხარული, კეთილ ზმანება
დაჯკნა ყოველი და წამერთო, სურვილი, ნება!
ვნახოთ უეცრათ თითქო ჯმუნვა გადამეყარა
ვიხილე იგი, მაგრამ გულ კი შემამეყარა!
იდგა ჩემს წინა მჯუნვარებით იო თაკ ხრილი
და შემკულისა სამოსითა თითქმის განცრცვნილი.
შემზარდა, შეკვრთი, რა ვიხილე გვირგვინ ახდილი,
იდგა ველურად გაშტერებით, ვითა შეშლილი!
ისევ ის იო ისევ მხარე და ისევ არე,
ისევ ისიგ მთა, იგი ველი და ბალის გარე
ოცდა ათის წლით, წინათ სადაც გამოშეცხადა,
ვინ ამა სოფელს სიხარული გულით მიქადა!
«აქ რისთვის მოხველ? დაუძახე მე მას ყვედრებით:
«რა გინდა ჩემგან განმშორდი მე, გთხოვ აწ ვედრებით.
«ეგ იო შენი დაბირება, შენი ქადილი?
«რა ალმისრულე, აბა მითხარ, გულის წადილი?
«აბა სად არის სიყვარული, ბედნიერება?
«შენგნითა ჭვეზე მხოლოდ ერთი უბედურება.
«შენ არ იყავი მბირდებოდი გამხადო კაცი
«და უსირცხვილოდ მიღალატე ვით დედა-კაცი.
«შე უბედურო, უგუნურო, მითხრა მან მწარად:
«აბა იხსენე როცა გნახე ვიდექ ამ გვარად?!
«შენ მოიგონე რა გვარ გზაზედ თან წამათრევდი,
«ვითა ველური, უგზო უკლოდ სად მიმათრევდი,
«ებრძოდი ცასა, ქვეყანასა, მოიძულებდი.
«გახსოვს შენ ისა უზრომობით ვით დამღალავდი?
«დალალვისაგან მცირე ხანსა რომ გშორდებოდი,
«გახსოვს წყრომითა ალშფოთებით მომაბრუნებდი?

«სად მიისწრაფოდი, ვის ეძებდი, რას მოელოდი?
«ალარ იგონებ, რამდენჯერმე რჩევას გეტყოდი:
«შესდექი, ყრმაო, ეი შენი, ნავთ საყუდარი,
«ეი ეს არის ცხოვრებისა შენი საზღვარი!
«არ დამიჯერე, მირბოდი შენ ვითა გრიგალი,
«დამაუძლურე, შემომხედე მხოლოდ ვარ ჩრდილი.»
ამას მეტყოდა და ხმა ნელ ნელ უსუსტდებოდა
ბაგე უთრთოდა და თვერიცა აეხდებოდა!
ერთი შევხედე: გამახსენდა მისი შვენება
განმიცხოველდა, განმინათლდა მისგან გონება!
«მომეცი ხელი, ვუთხარი მე: ჯ დრო წარსული,
«ჩვენ დავივიწყოთ, მოგიძღვნა შენ გული და სული.
«შემინანია ვით ცოდვილსა, მომეც შენდობა!
«უკვ-მომიქცევე სიყვარული, იხილ ის გრძნობა.»
მწარის ღიმილით მას შეერხა ბაგე და ტუჩი,
არ შეისმინა თხოვნა ჩემი, შეიქმნა ურჩი!
მაშ შენ ვინა ხარ! დაუყვირე: რად მეწუხება,
მე გაურა შენი, გულსა ჩემსა რათ ეძნელება?
მითხარ, რა გქვიან ერთხელ გვქონდა ხომ მეგობრობა!
მან მიპასუხა: «მე ვარ შენი ყმაწვილ კაცობა.» —

თ. გ. ერისთავი.

1860 წ. დეკემბ. 12.

«ცისკარს» რა აკაკანებდა?

«ცისკარი» ისინკარს აქეთ რაღაც ერთობ დაკბა. ანჩ-ხლობის მაგიერად თითქო ეკვლას ის და კარდს ათვენსო... მე-ტად გაგულკეთილდა!.. წარმოიდგენდით, მკითხველო, თუ რო-დესმე «ცისკარი» იმ გაბსრებულ ჩხუბის შემდგომ ასე დამშვიდ-დებოდა? ახლა შეხედეთ! თითქო ბულალსაც ვერ გაალვიძებსო'.-ასე გაშინჯეთ: საზოგადოებასაც თავს აბრალებს ვითომც ვისმე შეევი-წროებინოს. რას თათბურებ «ცისკაროო»? ან ვის კალთაში ლამი თავის დადებას? ვინ შეგავიწროვა?..რომ შენთვის ჯერ კაცს ხმა არ გაუცია? ჯ მართლა რომ კიდევაც ვინმემ ხმა გაგცეს, განა უნდა საჩივლელად წახ-ვიდე? შენ შენი აზრები გაქეს, რომლების დაცვაც ყოველ წინააღმდეგ აზრისგან უკანასკნელ სისხლის ცვარამდინ გმართებს, მაგრამ მხოლოდ შენის გონებით და მსჯელობის ძალით და არა სხვის მოხმარებით. მსჯელობა ყოველთვის თავისუფლებას ეძებს და ყოველი გვარი მიკარ-გელობა მას სიკვდილივით სძაგს. ან იქნება მართლა შენ გინდო-დეს გუგულსა და მამალსავით მოიქცე?.. «გუგულო, რისთვის ა-ქებ მამლის ყივილსაო»?-«მიტომ რომ მამალი ჩემს ხმას აქებსო» ვინ არ მიხვდება, ჩემო «ცისკაროო», რომ «ცისკრის» აგრეთი ქცე-ვა უფრო სულ მოკლე სიმხდალის ნიშანია, რომ როგორმე დამოკლესის მახვილს აიცდინოს ჯ არა იმ სულგრძელ მოქმედე-ბის შედეგი, რომელიც აღიძვრის ყოველ კეთილშობილ გულში, როდესაც მას შეაგონებენ მისს შეცდომაებს.-მით უფრო მაგი-თი ბირს ვერ აგვახვევინებ, რომ მაინც დაწვლილებით არ განვიხილოთ საზოგადოების წინ შენი ექსვი წლის ნაღვაწი, რომლითაც ეურებს გვი-ურუებ. ვერც იმას მოგვაშლევინებ არა ვთქვათ, რომ ყოველი ფაქტი, საზოგადო გონიერების წინ წაწევის დასამტკიცებლად აღმოჩენილი, რაგინდ რომ თავისთავად სასარგებლო იყოს, მაინც გაიგლის უსა-ოფოდ ცხოვრებისათვინ, როდესაც ეს ფაქტი დაფუძნდება ბრუნ-

ნე დასაწყისებზედ,— თავად ის საშუალობა, რომლითაც მიუცია-ლებლად საზოგადოების გონებითი ხსნა ყველაზედ. მსწრაფლად წინ-უნდა წაწეულიყო, რადესაც მას არ უჭირავს თავისი ადგილი ცხოვ-რებაში, წავა სრულად უნაყოფოდ, რადესაც ხალხის სიტყვა, რომ-ლის გამომთქმელთაც უნდა იყოს ყოველი ყურნალი, არ უბნობს იმას, რაც რომ სტანჯავს ხალხის ცხოვრებას, არ მუსრავს იმ ნა-კლულევანებებს, რაც რომ წინ უდგება ცხოვრების კეთილ მდგო-მარეობას და არ აჩვენებს საზოგადოებას სწავლისაგან გამოსაკვ-ლევს ჯეშმარიტებებს და კანონებს, რომლების ძალითაც ისპობა ეს ნაკლულევანებები მაშინ ყოველი თვერი უნაყოფოა.

ამ უკანასკნელ დროში, ნამეტურ ორის წლის წინიდამ დაწ-ყებული იანგრამდინ მაინც, «ცისკარი» თითქო სამუდამოდ გამოეთხოვა მოსვენებას. ლანდით დათვრთხალ კაცივით არა ეშ-კელა რა, შეფოთვაში და ლელვაში ატარებდა თავის წუთის სოფ-ელს. რა მიზეზი იყო, ან რისგან შეეშინა ასე უეცრად აგრეთი ცვლილება, კვალისა ამღები ახლაც არ არის. გრძნობდა მხოლოდ ერთს საუბედურო სიმპტომებს, (უსათუოთ ახლაც გრძნობს, თუმცა რომ გვგონია პირზედ კარდი გადმოდისო) დრო გამოშვებით ტანში ურუანტელი უვლიდა, მაგრამ ნიშნის ცოდნიდან მიზეზის გამოკვლე-კამდინ ყოველთვის დიდი ბიჯია, «ცისკრისათვის» ხომ სულ მიუწვ-დომელი ეოფილა. ხან იმას მივარდებოდა აშფოთებული ხან ამას ჯ-ამ გვარ ვითარებაში ერთვოდნენ მისი უფერადლები საუ-კუნესა. მის ამ გვარმა ქცევამ ისე მოგვიხუთა სული, რომ ბოლოს გამოჩნდა ერთი ლვიანი კაცი, რომელმაც მიიღო თავის თავზედ მის მაშფოთებელ მიზეზების გულ წრფელად ჩვენების მო-კალეობა, ვითომც ეგონა იმ კეთილ პირს, თუ ერთის მხრით «ცის-კარსაც» სარგებლობას მოუტანდა, რადგანაც თავად ცისკარმა იმ მი-ზეზების კვალიც არ იცოდა და მეორეს მხრით ჩვენც გაგვთა-ვისიუფლებდა მის ფუჭ ქადაგებისაგან; მაგრამ ღმერთი არ გაუ-წყრა !.. ფხიკიანი აკი გამოდგა «ცისკარი» !.. ექიმთან წამალზე კათვრენის მაგივრად, მიზეზების ჩვენება თავის თავზედ აკი უკალ-

რისად ჩიოდა! . . ამაზედ მახსენდება ერთი ყმაწვილი, რომელსაც თვალზედ გამოუვიდა მუწუკი. «ყმაწვილო თვალზედ შემწვარი ხა-ხვი დაიდე, დაგიმწიფდება, ჩირქი გამოვა და მუწუკისაგან მალე განთავისუფლდები.»-ვინც შეხვდებოდა, ამას ეტყოდა. ყმაწვილს ეგონა თუ მუწუკიანს მეძახიანო და ვინც კი მის წინ მუწუკის სახელს ახსენებდა, სულ კუდით ქვას ასროლინებდა ხოლმე! . . რა სამწუხაროც არ უნდა ეოფილიყო ყველასთვის «ცისკარის» აგრეთი ზნეობითი სიჩვილე, მაგრამ საუბედურად ეს მართალა მოხდა. იწყო გაბასრებული ჩხვლეტა; ცოტა რომ მჭრელი ეკალი ჭქონოდა, თქვენი მტერია, რომ ბრალიანს და უბრალოს სულ ერთიანად დაჭჩხვლეტდა! რაღაც ბედით, არ ვიცი, დღე მოსწრებით მოსტეხია ეკალი, თუ დასაბამიდანვე მისთვის უზენაესს ის ერთი ეკლის სიბასრეც დაშურებია, მოჭეკა უებილო ღრძილებით ლოდვასა . . . ბა ერთი მითხარით ღრძილებით ლოდვა ვის რას ავნებდა?. აქედან აშკარათა ჩანს, რომ მისი ბასუხის გება არავისთვის არ ღირ. და თავის შესაწყენად. ამიტომ, რომ ამ შემთხვევაში წინაღმდეგმოქმედებას ალძრავს მხოლოდ ერთი ტკივილის გრძნობა; თუ რომ ნაგბენი არსაით შეიმჩნევა, უსათუოდ იქ არც ტკივილის გრძნობას ექნება ადგი, მაშ ყოველი წინააღმდეგი მოქმედებაც სრულებით წავიდოდა ამაოდ, ⁄ თუ რომ ეხლა ვსცებთ ბასუხს, ამის მიზეზი არის უსათუოდ ერთი საგანი, რომელიც ქვემოთ ცხადდება. «ცისკარმა» რომ ამ ბოლოს დროს დაიწყო ჩხვლეტა და წივილი-ეს თვალია და ყველამაც იცის. რა იყო მისი წივილის მიზეზი? უსათუოთ ერთი იმ ელემენტოვანი, რომ ლის მოგლებითაც ყოველს სხეულში შეირყევა სიმრთელე. «ცისკარმა» დაიწყო ცოტა ხელის მომწერების რიცხვზედ ჩივილი: აშკარაა, რომ ზემოხსენებული ელემენტი არ ყოფნიდა, ესე იგი არ იყო იმდენი, რამდენსაც მოითხოვდა მისი სიმრთელით ყოფნა; რასაკვირველია, რომ ამის შემდგომ ის მიუცილებლად უნდა ჩავარდნილ იყო არა ჩვეულებრივ მდგომარეობაში, რომელსაც მუდამ ახვრა და წივილი მოსდევს. იმერეთში ვიცოდი ერთი ოჯახი, სადაც იმყოფე-

ბოდა ერთი საწყალი მუნჯი, ეს ბუნჯი იყო მეტად წითელ ნუნუ-ის და ნამეტურ მისი კულითა რაკრაკის მუსუსი. გაჩნდა იმერეთში წყეული ნაცარი, რომელმაც სულ ერთიანად კვირტებში დაახმო ყურძნის ტევნები; გაჭირვებულმა მუნჯმა არამც თუ კულითა, სტაქნითაც ველარ დაიტანა ნუნუით გული; მას აქეთ იმას ბირზედ საუკუნოდ დაეკარგა ღიმილი. «ცისკრის» ჩიგილი ედარება ამ შემთხვევის შედეგს, მაგრამ ელემენტის სიტოტავეს მიზეზიკი იმყოფება თავად «ცისკარში» და არ მიეწერება გარეშე უეცარ შემთხვევას, როგორც ყურძნის ნაცარი. მოდავებე კვიმტკიცებს, ვითომც თერგ დალეული და სხვა მის გვარი ბირები ცისკარს არ იწერენ და მით იყოს ცუდიო. მე მგონია ეს «ცისკრის» უკარგობის მიზეზი კი არ არის, მისი უკარგობის მიზეზის შედეგია: ალბათ რომ მისი გამოწერა სასარგებლო არ არის რომ არიწერენ.

რა გინდ რომ გაუხსნელი იყოს საზოგადოება, ეს მაინც ცხადია, რომ ის ცხოვრებს, მაშა-სადამე მის მოთხოვნილებაში უნდა სუფევდეს ცხოველი აზრი, მარგები ელემენტი, რომელზედაც დამოკიდებულია მისი სიცოცხლე. ტკუილი არ არის მე რომ მშიოდეს და შენ ცარიელი სიტყვებით მიყოლიებდე, ჩემ შეგოთვაზედ მუდამ მიმეორებდე: «მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო», სწორეთ ვითვიქრებ: «ეს კაცი ან გაგიჟებულა და ან ჩემი შიმშილით მოკვლა ნდომია მეთქი» თავად იესო ქრისტეს ღვთიურ ქადაგებასაც არ ექნებოდა ერთ უდაბურ ადგილ ხალხზედ იმდენი გავლენა, თუ ისინი ქადაგების შემდგომ პურით და თევზით არ დაეძღო. აგერ ერთი საუკუნეა სპარსელების და ოსმალებისაგან განვთავისუფლდით; ცისკრის რედაქტორს კი, როგორც პოეტს, თითქო ერთ საუკუნის განმავლობაში სულ აძინიაო და როდესაც ძილისაგან თვალი გამოუჭყეტია, მოჩვენებია ვითომც ჩვენ ისევ იმათ ხელში ვართო და ჩვენ ემაწვილებს გულში «ნანით» აკვნიდგან სისხლის ღვრის გრძნობის ალძვრას უპირებს?-მოუვიდა პოეტიკური ფანტაზია და ალტაცებაში გამოხატაო თავისი გრძნობა—ოტყის ზოგი. ჩვენის ფიქრით გრძნობა ალიძვრის, როდესაც კა-

ცის გონებაზედ მოქმედებს გარემო მდგომარეობა, როდესაც კაცის გულში აღძრავს რომელიმე აზრს თავად ცხოვრება და გარეგანი ქვეყნის ზედმოქმედება. პოეტი ხომ კაცზედ სხვა რიგი არსება არ არის? თქვენი რისხვა მქონდეს თუ «ცისკრის» რედაქტორს თავის დღეში ენახოს ხანჯლით მოკლული კაცი.-მაგითი კიდეკ ხომ არ მტკიცდება, რომ ჩვენ შინაური მტერი სრულიადაც მოგვსპობოდეს-იტყვით, მკითხველო. დიახ მართალია, მტერი ცოცხალ არსებას არაოდეს არ ესპობა, მაგრამ ახლანდელი მტრები ძველ მტრებს ხომ არა გვანან. მის თვარშ. ჩვენი ხანჯლის წვერი ვერ გაატანს. «დეკვაქის მოსაკლავად დეკვაქისკე ხმალი უნდა მოიპოვოო»-არის ნათქვამი. აი ჩვენს ვითომც პოეტს რედაქტორს ხანჯლის ხმარების მაკიერად ყმაწვილებისთვინ ესწავლებინა, თუ როგორის საშუალებით მოიპოვება დეკვაქის ხმალი—ეს სხვა იყო, თორემ ამ სარი საზრდოთი ჩვენი ყმაწვილები აკვანში ვერარ გაიზრდებიან; მაგ გვარი საზრდო ერთობ დაობდა, რომ მათ სხეულისთვის იქნეს მარგები და შეძლევაზედაც ითავად მათ პირი არ გაიბრუნონ.- მაშ სიდან აღიძრა ეგ გეთილგრძნობა პოეტის გულში?-სიდანაც ის საკიცხავი ვაჟი მილიციონერი და სულ მთელი «დიასამიძის» სახლობაც, რომლების მსგავსი იქნება რამ ჭაერში სუფევდეს და არა ჩვენ საზოგადოებაში.-სულ ერთ გვარ წყაროდან, რომელიც ერთ ცრუ გრძნობით მოდის აღტაცებაში. და თავის ვიწრო შეხედულობით ვერ სწვდება რეალურს, მართალ ცხოვრების სიმრავალგვარეს; სულ იმ დამსხვრეულ თვინტაზიიდან, რომელიც ვერ ხედავს ულეველ ქვეყნის მშვენიერებას და თავის «ანგელოზის» მხრებზედ მჯდარი, მიიგლეჯება ჭაერში, უნდა ცხოვრებაც თან გაიტაცოს. ჭაერში თვრეინ ჩვენ არას გვარგია!.. როგორც დედამიწის შვილები ჩვენ მხოლოდ დედა მიწაზედა ვართ წელმაგარია, — მიუგო საზოგადოებამ ინსტიკტურად ხელის მოუწერლობით.— შენ ჩვენ გულ მტკივნეულებას ვერა გრძნობო, წადი, როგორც გეთრინოს ჭაერში, ისე იფრინეო! აი, სად არის «ცისკრის» მარგებ ელემენტის სიტოტავეს მიზეზი და მასთან მისი ჩივილისაც. აშკარაა, რომ «ცისკრის» უკარგობა და

მის ჩიგილი სულ თავის მიმართულების ბრალია, რომელიც, მართლა რომ გსთქვათ, სრულებით არა დროს მასში არ ყოფილა რაგორც ეხლა არ არის, ამიტომ რომ ყოველი გვარი მიმართულობა არის დამუშავებული რომელიმე აზრზედ და წადილზედ, რომელიც მუდამ უნდა გაჭეავდეს მას საზოგადოებაში; მაგრამ თუ რომ აზრი არ სუფევს, ალბათ აქ არც მიმართულებას ექნება ალაგი.

რა იქნება იმაზედ უკეთესი ყოველ მემამულესთვის, რადესაც ის ფაქტით იგრძნობს თავის საზოგადოების გონების კეთილ—წარმატებას. ამ გვარ ფაქტით რასაკვირველია დამტკიცდა, რაგორც ეს, ისე ცხოველ ელემენტების დაძვრა ჩვენ საზოგადოებაში. ყურნალის გამოცემით ყველამ ვიგრძნეთ, რომ მრავალ ხნის ძილის შემდგომ, ბოლოს ჩვენ ცხოვრებასაც ეშველა თვალის გამოწყურა, თუმც რომ «ცისკრის» რედაკტორს კი გონია, ვითომ მხოლოდ იმას და მის თანამშრომელებს მოეხდინოს ან ალეძრას ეს მომენტი ჩვენ ცხოვრებაში. იმას ხომ ვერ დაავიწყებ, რომ რამოდენიმე გულ-წრფელი სიტყვა, რომელიც მის გამოცემაზედ წარმოითქვა, იყო საზოგადოების გამოხმობა, რომლის თანაგრძნობითაც «ცისკარმა» მოატანა აქამდინ ძალა უნებურათ. —

ყოველი მომენტი, ხალხის ცხოვრების კეთილ წარმატების გამასაზღვრელი, არის მრავალ ხნის მის ისტორიულ ცხოვრების ნამყოი,—და არა კაცის ძალას აგეთი ბიჯი არ შეუძლიან საზოგადოებაში რომ მოახდინოს. თითოული პირის ცხოვრება იმ გვარად არის შეკავშირებული მთელ საზოგადოების ცხოვრებასთან, რომ არც შეუძლიან მის ზედ-მოქმედებისგან თავი იხსნას, არც მისგან გაცალკდეს და არც მაზედ ამაღლდეს; ამისგამო ყოველ ცხოვრების მოქმედების ფაქტის წინ, თითოულის პირის მოქმედება დარჩება ყოველად უძლური; მაგრამ ამ შემთხვევაში მისი გამჭრიახობა და ნალვაწი, რაგორც საზოგადოების წინ, აგრეთვე შთამომავლობის წინ ითვსება, თუ რამდენად უცვნია იმას ეს ფაქტი, რადესაც შემთხვევით გამხდარა მისი მმართველი, ან თუ რა მხრით წარუმართავს ის, რომ რაგორმე ამ ფაქტს შესძლებოდა ცხოვრებისათვის მოეტანა იმდენი კეთილი, რამდენიც მისგან იყო შე-

საძლო. რომ ვრცლად გავზომოთ ამ ზომით «ცისკრისაგან» მოტანილი საზოგადოებისთვის გეთიდი ექვსის წლის განმავლობაში და მისი მმართველის დგაწყი შთამომავლობის წინ, საჭიროა არის ცოტა მოვილაპარაკოთ იმ კანონებზედ, რომლების წესითაც გადასულა განათლება ერთის ხალხიდან მეორეში; მით უფრო, რომ ჩვენ ცხოვრებაში აღმოჩენილი მომენტი არის ამ წრისა და არა ჩვენი საკუთარი ისტორიულ ცხოვრების ნამეოფი.

როგორც ისტორია მოგვითხრობს საზოგადო კაცობრიობითი განათლების გზა მუდამ ყოფილა ავი საკვლევი. ვინ წარმოიდგენს, თუ რავდენ ადამის შთამომავლობას თავი ქვაზედ უმსხვრევია და ხალხს ხალხად დაუყვია თავის წუთის სოფელი, სანამ შემზადდებოდა ახლანდელი ევროპიის ცივილიზაცია და რა? ზოგიერთს სწავლულს, რომელსაც სუნითა და გემოთი დაწვლილებით გაუცვნია ეს განათლება, რომ ჰკითხოთ, ეტყვის, «ჯერ კიდევ სწ ვლის კარშიაც თუ ვართ შესულიო». მართლა, რომ კიდევაც კარგად მოვიფიქროთ, არც გასაკვირველია ასე ნელა ბოდიალი ხსნის გზაზედ. თუ რომ წარმოვიდგენთ იმ მჯმუნვარე კარე მომდებარეობას, იმ სულ მომხუთველს, წრიალს კლდეებს თავის დახშულის, უდაბურის მღვიმეებით, იმ ცამდინ მწკრომს მთის წვერებს თავის უძირო ნაპრალებით, თვალ მოუწვდომელ მინდვრებს და მუდამ მღელვარე სტიქიონს, რომლებსაც უნდა ქონოდა მისთანა მჯიდრო ზედ მოქმედება ჯერ კიდევ ნორჩს კაცის გამოხატულებაზედ; კიდევ მადლი მის სიუურმახვილეს, თუ რომ ბოლოს მას უშველა მაინც ამ გვარ ზედმოქმედებისგან განთავისუფლება. ხევთა ჩხრიალი, ქართა ქრიალი, კლდეთა ღუილი, ზვავი ძგრიალი, მეხის ჭექა, ზღვის ქოთვა, კოხთა ცქრიალი და ათასი სხვა ბუნების ძალების სასაშაშრო მოქმედებანი და გამოხატულებისთვის მკაცრი სურათები განა არ იქნებოდნენ საკმაოდ, რომ პირველადვე დაეფრთხოთ გაუხსნელი კაცის გონიერება, რომ კაცს ეგლო მართლა «წყუდიად ბნელში» ქვეყანაზედ, სანამ რომელიმე გარემოების გამო, შესძლებოდა ხელი გაეშვირა თავად მის მჩაგვრელის ბუნებისთვის და მასშიგე ეძებნა წეა-

როები თავისი ცხოვრების კეთილ-მდგომარეობაში მოსაყვანად? განა ახლაც კი არ არის რწმენება ჩვენ ხალხში, ვითომც ტყეში, ნამეტურ ლამე, ყოველ ფოთლის ქვეშ იმალვებოდეს თვთერაკი სული, რომელიც თითქო ყოველს გამვლელს ეკვახებოდეს შესანთქავად. თუნდ თვითონ «ცისკარიც» ავიღოთ. ასე გაშინჯეთ ამ გვარ რწმენებაებზედ ერთობ გულ გრილი არც ის ყოფილა. თორემ ეს კარგად ვიცი, რომ ერთ მის ნომერთაგანში—ნომერი დამავიწყდა საუბედურად—იყო გრძელი მოთხრობა, თუ ბრუტ-საბძელზედ რა რიგი შექცევა ქონიათ თავის ტარტაროსით გუდიანებს. ამას იქით თუ კი ახლანდელ კაცის გონიერებას ვხედავთ ამ გვარ მდგომარეობაში, როგორსაც წარმოგვიდგენს ევროპიის ცივილიზაცია, სადაც კაცს გაუტეხია ბუნებისგან შებმული მონების ბორკილი, ე. ი. განთავისუფლებულა ამ გვარ რწმენებაებისაგან, და გამხდარა თითქმის მისი ბატონი, კიდევ მადლი მის გონიერებას. ეს არის რომ, როგორც ზეკეთა ვსთქვეთ ერთობ ბევრი ხალხის ოფლი დაწურულა და ჩაუვლია მრავალ საუკუნეებს, სანამ კაცობრიობა მოვიდოდა ამ გვარ მდგომარეობაში. ეს განაოლება არის მრავალის ისტორიულის ხალხების ნაშრომი, რომლებიც მოქმედებდნენ ერთი მეორის შემდგომ. მრთელი კაცობრიობის ცხოვრება, როგორც დასაბამიდგან ისე აქამომდე მომდინარეობს, (რომ მომავალ დროზედ სჯას დავეხსნათ, რადგანაც მომავალი ჩვენს გულთ-მხილველობისგან დაფარულია), თავის თავად არც ძველდება და არც წარმავალია; ძველდება მხოლოდ მისგან გამოსაკვლევი ფორმა, მისგან შეშუშავებული საზოგადო წყობილება, რომელიც იმ დროში ამ ცხოვრების მოთხოვნილებას მხოლოდ აკმაყოფილებდა. თან და თან ხალხის განათლებით რასაკვირველია თავად ცხოვრების მოთხოვნილებაც, მის კეთილ მდგომარეობისამებრ, უფრო და უფრო ვრცელდება ⁄ მრავლდება სხვა და სხვაობით; მაშასადამე რამოდენიმე საუკუნეს წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მოსაზოვარი საშუალებაც ველარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებასა. ამკარაა რომ საზოგადო ფორმამ განელო თავის საუკუნე, დაძველ-

და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ. ცხოვრებას მხოლოდ თავის ნიჭნი სისრულეში მოჰყავს. მაგალითად: თუნდ ავიღოთ კაცი ივანე. ივანე ისეთი ივანეა აკვანში, როგორც წვერ-ულვაშიანი, ისეთი კაცის არსება არის აკვანში, როგორც წვერ-ულვაშიანი, ისეთი კაცური უფლება აქვს აკვანში, როგორც წვერ-ულვაშიანს: მხოლოდ რომ ივანე აკვანში იყო ჩვილი ყრმა და ეხლაკი წვერ-ულვაშიანი ვაჟკაცია; მაშინ იმას დედა არჩენდა, ეხლა კი თავს თითონ ირჩენს. მაშინ ის იყო ჭკუით უგუნური, ეხლა კი გონიერი, ისე ცხოვრებაც. მხოლოდ რომ, შეიძლება წისეთ დაარსებული ზოგადწყობილების ფორმა იყოს დამყარებული იმ გვარ სასტიკს კანონებზედ, რომელიც ჩააგდებს საზოგადო გონიერებას და მის გამჭრიახობას უძლურებაში, როგორც საწყალ ივანეს დაუჭერავებს მუდამ დედის ცემა; მაგრამ რადგანაც კაცის გონიერებას მოსდგამს მუდამ სისრულეში მომავლობა, არაოდეს არც ხალხის ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთ და იგივე მდგომარეობაში; აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ საშუალების მოსაპოვნელად და ძველი ფორმის გასასგებათ, იმავ წამს ცხოვრების წინ მსვლელობაც დაიძვრის და აღუდება გამწარებული ბრძოლა ძველ წყობილების და ახალ მოთხოვნილების შუა. ამ შემთხვევაში შეიძლება ზოგიერთ მკვლრის გარეგან შემოხვეულებების გამო თავად ხალხის ცხოვრებაც უდრეოდ დაიღუპოს, როგორც დაიღუპება საწყალი ივანეს სიმრთელე და გონიერება, თუ რომ რომელიმე გარემოებისგამო არ წაერთვა მისი თავი დედის სიმტკიცვალესა. აი ამ გვარად დაიქცა რომიც. რაგინდ რომ მკვლრი ზოგად წყობილებაც არ ყოფილიყო რომში, რაგინდ რომ გასრესილი არ ყოფილიყო მისი შინაგანი ცხოვრება ზოგად წყობილებით სიმტკიცვალისაგან, რაგინდ რომ შეეწროებულიც ყოფილიყო მის ცხოვრების კეთილ-წარმატების საშუალობაც, მაინც მიუცილებლად ხალხში აღმოჩნდებოდა იმდენი ცხოველი ძალა, რომ შესძლებოდა გაეწია ბრძოლა მის მარჩომელ გარემოებასთან და მოესპო

ის, თუ რომ შინაგან ბრძოლის და უთანხმოებას არ მიმატებოდა მრთელის ქვეყნების ხალხების ძალა, რომლის სიმძლავრის ქვეშაც გაისრისა სრულებით რომის არსება. აი ამ გვარ უეცარ შემთხვეულებების გამო დაიყოფებოდა სხვა და სხვა დროში თითქმის ყოველის ისტორიულის ხალხის ცხოვრება,—და იმავ მიზეზებსაც უნდა მივაწეროთ თითო შემგვიდრეობით ჯეუითის საუნჯის გავრცელება სხვა და სხვა ნაციებისგან. განსაკუთრებით შესანიშნავია ის კანონი ამ შემთხვევაში, რომლის წესითაც ერთს ხალხს გადუცია მეორე ხალხისთვის თავის ჯეუით შეძენილი ქონება, მით უფრო რომ ზოგი ცუდი მხარე, რომელიც თან მოსდევს ამ გვარ წესს არა ხალხის ცხოვრებას, სადაც კი განათლება გადაღებით გადასულა, არ ასცილებია. ასე გაშინჯეთ ჩვენც ვერ ავშორებივართ იმ ქვას, რომელზედაც წამოუგრავს თვეხი თითქმის ყოველის ისტორიულის ხალხის ცხოვრებასა. ამის მიზეზი უნდა იმყოფებოდეს უსათუოთ ჯერ კიდევ ნორჩს ხალხის გონიერებაში, რადგანაც მის სუფე ჯეუასა არ შეუძლიან იმ მაღლად გახსნილის ცხოვრების საფუძვლიანად გახილვა, რომელშიაც მას ექნება ნიადაგი მიმოსვლა. ავიღოთ თუნდ მაგალითი: გსთქვათ რომ ერთმა ღარიბის კაცის შვილმა დაინახა ვინმე მდიდრად ჩაცმული უმაწვილი. მას მიიზიდავს იმავ წამს ამ უმაწვილში მისი მდიდარი სამკაული. «ნეტავი შენ, უმაწვილო, მაგ ნაირი ტანსაცმელი გაცვია . . . რა არის ახლა ჩემი სიცოცხლე ? . . ამ ტიალ კონკაში მაინც! რატომ მეც არ მაცვია აგრეთი ტანისამოსი ? . . ჩემ ტანსაც ხომ აგრე შეამკობს, კარგი არ არის, რომ მეც აგრე ვუყვარდე ჩემ დედ მამას, როგორც თავის დედ მამას ეს უმაწვილი, ხომ მეც აგრე ჩამაცმევენ»—ფიქრობს თავისთვის ღარიბი კაცის შვილი; ის კი არა თუ იმ უმაწვილის მამას თავის შვილის ტანსაცმელი ეგოდენათ არ ეღირს, რამდენათაც მის გაჭირვებულს მშობელს ერთი შილის ბერანგი; და თუ მართლა თავის შვილის უგუნურებას აჭყვა, უკანასკნელ ბერის ქერქსაც უნდა გამოეხოვოს. რასაც ვხედავთ ნორჩს ყრმის გონიერებაში სრულებით მას ვხედავთ გონიერებით ჩვილის ხალხის ცხოვრებაში. შეიძლება

მკაფრი ეჩვენოს ბევრს ამ გვარი შედარება. ავიღოთ მეორე: გსთქვათ, ერთი ჩვენ თავადის შვილთაგანი გავიდა სამზღვარს გარეთ და შეხვდა მას ერთ ევროპიელს საცალტო ქალაქში ყოფნა, გსთქვათ ის მოხვდა პარიზსა. სადაც თავს არ მიაპყრობს ყოველის მხრით ჭხედავს მხოლოდ ერთ დიდებას და სამოთხის გვარ მშვენიერებას: დიდებულს სასახლეებს, დიდებულს ქუჩებს, კაცის ენიდგან გამოუთქმელს სიმრავლ გვარით და გემოვნებით საჭმელებს, წალკოტს, კაცის თვალისგან უნახავის შადრევანებით, ძეგლებით, აუზებით, სხვა და სხვა ქვეყნის ხეხილებით, მდინარით, ზღვით, სხვა და სხვა ქვეყნის მხეცებით; ერთი სიტყვით ის იქ ნახავს დიდებას და მშვენიერებას, რომელიც თვით მაჭმადსაც არ მოზმანებია თავის სამოთხეში. დასვით ეხლა ეს პირი ჩვენში. პირველი მისი წადილი ის იქნება, რომ როგორმე ბრილის კოშკი დაიდგას და იმ გვარი წალკოტი გაიმართოს, რაგორიც იმ ქვეყანაში იმას თვალს უბრმავებდა. ოღონდ კი გამართოს, თორემ მრთელი ხალხიც რომ ჭყვდეს ხელში, მისს ღონის ძიებას უკანასკნელ წვეთამდინაც შესწირავს ამ წადილს. განა ამას აქვს იმდენი გონი, რომ მოიფიქროს, თუ ამ გვარ წადილით, უიმისოთაც საშუალობით ღარიბის სიცოცხლის ცეცხლზედ სულ წყალს დაასხამს? განა ის იმის სჯას შეუდგება, თუ ეს გარეგანი სიმდიდრე და ბრკიალება მხოლოდ დიდის ხნიდან ცხოვრების გეთილ-წარმატების გზაზედ მომდინარეობის შედეგია? — თუ ეს სიმდიდრე მხოლოდ ამ გვარად გახსნილს ცხოვრებას შეეფერის და ყოველის საშუალობით ღარიბის ცხოვრებისთვინ დიდი მავნებელია, რადგანაც მისი გადაღება უდრეოდ ლევს ამ ცხოვრების ძალს? ის არის უბედურება, რომ გონებით გაუხსნელის ხალხის თვალთ-მხედველობას იტაცებს მხოლოდ ერთი გარეგანი ელვარება და არ შეუძლიან მას ჩაღრმავდეს იმდენათ, რომ გამოიგვლიოს მისგან მიზეზი და ან აზრი. აქედამ, რასაკვირველია ვხედავთ იმ უწესო მოძუნტებს ყოველს ისტორიულს ცხოვრებაში, რომლებიც არიან შედეგი ამ გვარ გადაღებისა. თუნდ ეხლა ავიღოთ

ჩვენი ცხოვრება: ვინ არ იცის, რომ ჩვენს საზოგადოებაში ელვარე მუნდირს დიდი ფასი აქვს: ვინც . . . . . ეპოლეტებით არის შემკული, ვინ არ იცის, რომ ჩვენ საზოგადოების თვიქრით, მხოლოდ ის არის კაცური კაცი ბრძენი და ფილოსოფოსი. ჩვენში კაცის ღვაწლი საზოგადოების წინ და მისი გონიერება ითვასვის გარეგან ელვარობითა. არ შეძიძლიან აქ არ მოვიხსენიო ერთი იმერელი თავადი შვილთაგანი, რომელმაც ერთ დიდ კაცის წინ იმდენი იმაიმუნა, როგორც გავიგეთ, სანამ ჩინი არ იშოვნა. მაგრამ განსაკუთრებით იმის მაგალითს, რომელზედაც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი, წარმოგვიდგენს ფრანციის შინაგანი ისტორიული ცხოვრება. როდესაც საზოგადოებამ მიაწია იმდენ განათლებაზედ, რომ შემოვიდა ცხოვრებაში ძველის კლასიკურის მეცნიერების გადაღების მოთხოვილება, მისი გონება მხოლოდ ერთმა ბრეიანმა სამოსმა შეიპყრო: მან სტაცა ხელი მხოლოდ ერთს ფორმას; მისი ყურადღება მიიქცია მხოლოდ ერთ ტურფამ და მეტად ტკბილის ენით გამოთქმაზედ და არა თვით მასში მყოფს აზრზედ. მისი პოეტები იწყებდნენ იმ საირად ყეფას, როგორც სოფოკლი, ესხილი, არისტოფანი და სხვა გამოჩენილი საბერძნეთის მწერლები; აღწერდნენ იმ გვარ გრძნობაებს, როგორებსაც თავის საზოგადოების ნაკლულევანებაები აღძრავდა არისტოფანის და ევრიპიდის გულში. რასაკვირველია, რომ ამ გვარ გზაზედ დამდგარი ლიტერატურა ჯ პოეზია სრულიად უნდა ეანშორებოდა ხალხის ცხოვრებას; შინაგანის ცხოვრების ელემენტით გაცხოველებული პოეტის სიტყვა უნდა შეცვლილიყო ერთს ყურის მგლეჯელს ცივს ხმაზედ. ლიტერატურამ დაკარგა ცხოვრებაში თავისი მნიშვნელობა და ხალხის ცხოვრებიდგან განშორებულმა, მან ვერ შესძლო მისთვისვე გამოეკვლია გონიერი და საფუძვლიანი დასაწყისები, რომელზედაც მაგრად უნდა დაფუძნებულიყო მომავალი პოლიტიკური წყობილება. აქედან გამოვიდა ის რომ, როდესაც ხალხმა თავისუფლება მოითხოვა საზემწიფოში, როდესაც მან ძველი წყობილება, როგორც უვარგი შესცვალა ახალზედ, თითქმის მთელს ერთს საუკუნის განმავლობაში

განვლო შუადმ ალრეულობაში და ტანჯვაში, ბოლოს კი მაინც ჩაბარდა იმ გვარ ზოგად წყობილების ჯვანგებში, რომელიც ბეკრით არ გაერჩევა ბირველს. აი რა მავნებელია ლიტერატურა და პოეზია, რადესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას, ატარებს დროებას თუჯ დეკლამაციაში, რადესაც გადაღებაში. ნამეტურ ამ გვარ განათლების მხარეების, რაგორც პოეზია და ლიტერატურა, მისი გადმომღები ხელთ მძღვანელობს ერთ გარეგან ბრკიალა სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგანს აზრს, ურომლისოთაც თვით ელვარე თორმა თუჯია და მავნებელი. აი ის ქვა, რომელზედაც ყოველის ხალხის ისტორიულ ცხოვრებას, მიმბაძავ ბერიოდის დრას, თვეი წამოუკრავს და რომელზედაც ჩვენც ზედ გადამტვრევას გვიბირებს ჩვენი «ცისკარი», თუ კი რომ ქონდეს ის მაღური თვალი, რომლის გორვითაც შესძლებოდა შორს გაკვეტა-ცეთ.

1857 წელს ჩვენს ბნელს გორიზონტს ელირსა ბოლოს «ცისკრის» ამოსვლა. აბა მითხარით ვინ არ გაიხარებდა ამაზედ. რადგანაც ყველას გულში გქონდა, რომ მდაბიურად ყოველს ცისკრის ამოსულის შემდგომ, «ბნელით მოცულს» ბუნებას ელის გამცხოველებელი ტკბილი დილა. მაგრამ დაგელოცა ღმერთო სამართალი!.. ურიცხვთ სხვა ჯსხვა ქმნილებათა შორის ყოფილა ქვეყანაზედ იმგვარი «ცისკარიც», რომელიც არ გვანებია მდაბიურს ცისკარს. ამიტომ რომ ეს მეშვიდე წელი დადგა, ის იწყირება იმავ ალაგიდან, საიდანაც შვიდის წლის წინეთ დილის მოსვლა გვაუწყა, ოავადგი ჯერ თავის ალაგიდან არ დაძრულა, თუღა აწ დაიძვრის-ეს უფალმა იცის მრთელ შვიდის წლის განმავლობაში ნათობს ციალის შუქით და არა ეშველარა-ოდნა ვარსკვლავის სიბრკიალეც ჟელარ მიიღო, არამც თუ დილის გამცხოველებელი სინათლე. ჩვენი ბედგრული «ცისკარი» შვიდის წლის განმავლობაში სულ იმაზედ გვატარებინებს დროებას ან ღამე რაგორია, ან დღე რარიგის სინათლით მოიცვავს არე მარეს, თუ დილა კაცის გულში რა რიგს ტკბილს გრძნობაებს აღძრავს, ან თუ საღამო რა რიგის სიმშვენიე-

რით მორთავს ბუნებას და სხვა ამ გვარებით. არა გვეშველარა, ის აზრი კი ვერ გამოვიგვლიეთ მასში, რომელსაც პირობა დაედვა საქართველოს დიდის ამოსვლაზედ; თუ რომ ლამიდა შეტოპვას ცხოვრების მორევში, იმავ წამს ისხამდა თვრთებს აერში გასათვრენად ⁄ ჩაუვარდებოდა ენა. ნამდვილის ცხოვრების თვისების მაგვრად, თვანტაზიაში შედგენილ სურათებზედ გვაცქერინებდა; რასაკვირველია, რომ ყველას მაღე უნდა მოსწყენოდა ლარაბის თვანტაზიის სურათებით შემკულ ქვეყანაზედ მუდამ ყურება!—

ყურნალი იმ გვარის თვისების, როგორიც მიიღო მან ევროპიის ხალხში, უნდა ეთვალიეთ მხოლოდ ნამეოი ევროპიელი ხალხის ცხოვრებისა. მხოლოდ ევროპიაში, ზოგიერთის გარემომდებარეობის მიზეზების მადლობით, ადრე ჩავარდა კაცი თავის გონაში და მოითხოვა სასტიკ ზოგად-წყობილებისაგან დაკარგული უფლება. აშკარაა, რომ ალმოსავლეთში, სადაც ხალხის ცხოვრება იყო მოსრესილი მეფის დესპოტობისაგან, ამ გვარს ფაქტს არ ექნებოდა ადგილი. ეს ფაქტი გადმოვიდა ჩვენ ცხოვრებაში მიბაძვით, ამისთვის ყველაზედ პირველად უნდა შეგვეტეო მისი აზრი და არ გავეოლოდით მის გარეგან სახეს, ყველაზედ პირველად უნდა გაგეგო, თუ რისი მაქნისია, ან რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ყურნალს ჩვენს ცხოვრებაში, ვინემ ალვტაცებულვიყავით მის ყოველ ოვისა და ოვის თავზედ შვიდ შვიდის დაბეჭდილის ფურცლების გამოსვლით და «ცისკრის» სახელით. მაგრამ პირებს, რომლების ხელმძღვანელობის ქვეშაც ჩავარდნილა შემთხვევით ეს ფაქტი, ვერ შეჰძლებიათ ღრმად იმის აზრის გაგება და იმის გამო ამ მეტად გეთილ-მყარ თავის თავად ფაქტს ჩაუვლია აქამდინ სრულიად უსაყოფოდ საზოგადოებისთვის. «ცისკარი» ასე გაშორებულია ცხოვრების მოთხოვილებაზედ, როგორც ცა მიწაზედ. ის ვერ გრძნობს სრულებით მის გულმტკივნელობას ⁄ მის მოთხოვილებაზედ წინუდებს იმ გვარ საჭმელებს, როგორც «შვილი უმანკოებისა» ისიც სხვისა სა-

ძაგლად გადაგეთებული და თავისად უსირცხვილოდ მითვისეული (*), «ჩემი ანგელოზი», «თამარ ბატონის შვილი», «მამისგან შვილის დარიგება» და ვერ მოვითვლი რამდენს სხვა ამ გვარებს. რა გასაგვირველია, რომ საზოგადოებაში ვერ ეპოვა სიმხატიას. კიდევ ბედია ჯეშმარიტად, რომ აქამდინაც სრულებით არ დაეცა, მაერამ ზოგი მის მოლაყბესაც უნდა ჭეითხოს კაცმა. აი რა გვარ მიზეზებს აწერს ის «ცისკრის» დაცემას: — «ცისკრის» თავდა პირველად გამოცემა ყველას სასიხარულოდ მიგვაჩნდა»,-ამბობს მოლაყბე ოკტომბრის ნომერში 1862 წელს – «მაგრამ დამარხვაზედ კი ნურას უკვირად, ოდესმეორი დაიმარხება, თუ მტრად გადაგეკიდენით და ქვითა ვდიეთ ჩასაქოლავათ». ქვით ჩაქოლვა რა არის ?. . . განა თუ კაცს, რომელსაც არ მოსწონს ზოგიერთი აზრები, მისის თქვენ მავნებელი ცხოვრების კეთილ-წარმატებისთვის და დაიწყებს ლაპარაკს ამ გვარის აზრების წინააღმდეგ, ერქმის ქვით მქოლავი ?. . საზოგადოების ცხოვრებაში, როგორც სულთ დგმულთ მოქმედებაში, მუდამ იპოებიან სხვა და სხვა ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი ელემენტები: მაშა სადამე მათში ყოველთვის უნდა სუფევდეს მუდამი ბრძოლა, რადგანაც განსვენება სიკვდილის წესია. ცხოვრებაში იმყოფებიან სხვა და სხვა რწმუნებანები, ყოველ საგანზედ თავისებური სჯა, თავისებური აზრი და შეხედულობა, რომელსაც ჭეკანან თავთავის დამცველები. საზოგადოებაში, როგორც გონიერ არსებაში, შედის მუდამ ის

(*) ეს თხზულება გახლავთ რუსულად ნათარგმნი ნემენცურიდამ: უხეირო ნემენცის მწერალის კოცებუს დრამაა მაგავე წოდებით, მაგრამ უფ. ცისკრის რედაქტორმა გადააკეთა გვარები და სახელები ‌ ‌ თავისად გამოჭსცა. ცისკარს ბევრ ჯერ მოსვლია ამ გვარი სიკეკლუცე საზოგადოების წინაშე, მაგ. რჩეულოვის «შეშლილი». ეგ გახლავთ პატარა მოთხრობა ანგლიურიდამ რუსულად ნათარგმნი, რუსულს ენაზედ მაგ მოთხრობასა ჭქვიან: **Вновь Офелія.** უფ. რჩეულოვმა სახელი გამოუცვალა, სიტყვა სიტყვითი ჭსთარგმნა. მხოლოდ გიორგი კოროლი ანგლიისა, ვარანცოვად გადააკეთა, ლონდონის თეატრი ჩვენ თეატრად, აქაური გიჟების სახლი ბეთლემი, ჩვენ ნათლუხის გიჟების სახლად, იქაური აკტრისა, აქაურად ‌ ‌ ამ ყოფით იმ მოთხრობას დაარქვა შეშლილი ‌ ‌ თავისი გვარი მოაწერა,-მითამ და იმისია. აგრეთვე «იშვიათი ცხოვრება» გ. ბარათაშვილისა, «ანუკა ბატონი შვილი», იმავე რჩეულოვისა ‌ ‌ სხ.

რწმუნება, ის აზრი, რომელიც ყველაზედ გრცლად, ცხოველად და საფუძვლიანად დაიცვის, რომელიც ყველაზედ უფრო ჭეშმარიტია; თუ კი რომ «ცისკარში», წარმოითქმოდეს მისთანა აზრები, რომელშიაც საზოგადოება კეთილს და სასარგებლოს რამეს ჭვრეტდეს, რაგინდ ბევრი ქვა და ლოდი სცემონ, მაინც ვერვინ ვერას დაკლებს. ქვის სროლა «ცისკარს» კიდევაც უფრო გაამაგრებს, რადგანაც წინააღმდეგ აზრებში მისი სარგებლობა უფრო აშკარად დაინახება. როგორც სჩანს, იმ სალაუბო ფურცლის ლირსება მდგომარეობს ან სრულებით ფუჭ მეტყველობაში და ან თუ თერგ-დალეულის სტატიის განხილვას წადილობს, მხოლოდ იმ გვარ საგნებზედ აქვს ლაპარაკი, თუ თერგ-დალეულმა, რატომ თქვა «გაიარდა» და არ გაიგლიდა; მის შინაგანს აზრს კი ვერ ეხება, რადგანაც მართლის ბირში შეხედვას არწივის თვალები უნდა. ამის გამო ვის ექნება იმდენი დრო, რომ ნამეტურ აქ თავიდან ბოლომდისინ ის გაარკვიოს? მხოლოდ არ შეიძლება ზოგიერთ პუნქტებზედ არ გავჩერდეთ, რადგანაც იქ ზოგიერთს მალალ საგნებზედ მოდის ლაუბობა ჯ სწორეთ თუ მრუდეთ «ცისკრის» დაცემის მიზეზებს ეხება. თუნდ ავიღოთ ის, სადაც მოლაუბეს მოუდის ლაპარაკი მწერალის და მწერლობის მნიშვნელობაზედ:-«რა არის მწერალი და თვით მწერლობა»? — ჭკითხავს მოლაუბე თერგ-დალეულს. აქ რომ მართლა კითხვითი ნიშანი დასვა და შემდგომ სხვაზედ დაეწყო ლაპარაკი, უსათუოთ ვიფიქრებდით, რომ მისი მნიშვნელობა, თავის სიუურ-მახვილით, სადმე ამოანჯითხი მაინც ექნებოდა. ახლა კი მე მგონია მის ახსნით საზოგადოებაში მოიპოვა დიდი სახელი, რადგანაც მან უჩვენა სწავლულთ ქვეყანას პოეზიის და ლიტერატურის სფერაში იმ გვარი კანონები, რომლების მსგავსი არა წარმოთქმულა რა არც ლესსინგის «ლაოკოონში» და არც ლეგელის «ესთეტიკაში». მიეცი შვებას, ჩვენო საზოგადოებავ! დღეს შენ აჩუქე კატობრიეობას ერთი სწავლის მნათობი, რომლის გვალზედაც ან იწყებს წინ წასვლას ევროპიის განათლება, ის მნათობი გახლავთ მოლაუბე. ნეტავ ვიცოდე ვინ არის, ან რა სახე აქვს ამ მო-

ლაუბეს, რომ მისის კინკრიხის გახილვით კამცნა ახალი კანონები ფაკტებით ლარიბს ფრენელოლიის სწავლას. აი რას გვამცნებს მოლაუბესაგან წარმოთქმული პირველი კანონი: 1, «მწერალი არის მამა ხალხისა». მკითხველებო, გაიგონეთ ამ კანონის გარკვევა. მწერალი არის მამა ხალხისა, ესე იგი ხალხი მისი შვილები, გესმისთ კარგად?.. შვილებს უნდა მამისგან მუდამ ზნეობითი დარიგება. ყოველს, ჩვილს წლოვანებითს ყმაწვილის გულში თითოული მამის სიტყვა არის განუსაზღვრელი ჯეშმარიტება. აქედან: მოლაუბე არის მწერალი, ჩვენ მისი შვილები, მაშ ყოველი ნამცნევი, რაც რომ მის პირისაგან არ წარმოითქოს, უნდა გვეგონოს განუსაზღვრელ ჯეშმარიტებად. მხოლოდ ამ შემოხვევაში გველის მომავალს დროში ცხოვრების კეთილ-წარმატება, განათლებით ევროპიელ ხალხებზედ დაწინაურება და თუ, ვინიცობაა, არ გეთანხმეთ ზოგი ერთს მის აზრს, შეიქნებით დვთის პირისაგან წყეული, როგორც მამის ურჩი შვილები. ყოველ სულმდგმულს მართებს არამც თუ გონიერად, ინსტინკტურათაც თავის არსებობის დაცვა. არც მოლაუბეს ეძრახვის, რომ ამ გვარი სიტყვებით იმოქმედოს «ცისკრის» და თავის ინტერესის დასაცველად, მაგრამ დვთის პირისაგან შეჩვენებაც რომ მელოდეს, არ შემიძლიან ამ განმარტებაში წინალმდეგად არ გავუხდე, მწერალი, ჩემს ფიქრით, ყველაზედ პირველად იმ ქვეყნის შვილია, სადაც რომ შრომობს; არის დაბადებული იმ საზოგადოებაში, აღზრდილი იმ საზოგადოებაში, და მიმღები ყოველივე ზნეობიოის ჩვეულებაების,რომლებიც სუფევენ იმ საზოგადოებარი; მაშ მწერალი ვეფრო უნდა იყოს საზოგადოების შვილი, ვინემ მამა; მაგრამ სწორედ რომ გავსაგოთ, არც ეს არის: მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების მწყვრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანაგრძნობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინ?-აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევანებაების შესახებ, უჩვენოს იმ გვარი საშუალებაები, რომლებიც მისის ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულევანებაების მო-

სასურველად. შეიძლება მისი აზრები არ გარგოდეს, მაშინ ის ჭეშ-ებს მის მოძმებში წინააღმდეგობას. გამოჩნდება მესამე, მეოთხე, ერთის სიტყვით ყველა ვინც, რომ ჭეშებს იმდენ ძალას, რომ თა-ვისი აზრი გამოთქვას. შეიქნება ბასი და აი ამ ბასში და სხვა ჯ სხვა აზრებში ეუწყება საზოგადოებას ჭეშმარიტება, რომელიც გან-საზღვრავს მის გონებითს გაჩენას ჯ ცხოვრების გეთილ-წარმატება-საცა. რასაკვირველია, რომ ასე მოკლეო მწერლის მნიშვნელობის განმარტება არ არის საკმარ, მაგრამ არც სტატიის სიგრცე გვაძ-ლევს მეტს ნებას, ამისთვის სხვა შემდგომისთვის იყოს, აქ მხო-ლოდ ის არის ნაჩვენები, თუ რაოდენად უგუნური არის ის გან-მარტება, რომლითაც მწერლის მნიშვნელობას ადარებენ მამის მნიშ-ვნელობას. როგორც მოლაუბის სიტყვებიდან სჩანს, იმას საშძღვარ გარეთ უმგზავრნია. არ ვიცი, რომელ საღიტერატურო ორღანი დან ამოუკითხავს ესრეთი სჯა ამ გვარ საგნებზედ, თუ იქნება მარ-თლა «ტრედიაკოვებით», «სუმაროკოვებით», «ხემნიცერებით» თ ან «ლალარეშებითაც» და მათ თხზულებებით თავი ისე გაუტენია, რომ პატარა გონიერ სჯას თუნდ ამ გვარს მის თავში ადგილიც ადარ დარჩენია? ვთქვათ თუნდ ეს ასე იყოს, მაგრამ ამ ჩაირი კანონები საიდანლა გამოუღია? ხომ ერთ ზემოხსენებულს მწერლების თხზუ ლებებშიაც არ იპოვება ამ გვარი კანონები, როგორც მაგალითად: «რაც რომ ბევრს თუულს მიგსცემ მწერალს, იმდენად უფრო კარ გად დასწერსო»? (bis) გეთაყვა ერთი კიდევ გაიმეორე ეს კანონი, მო ლაყბეე! ამათ მსგავსი კანონები ნეტარსაც ალარ წამოუთქვამს ქვეყ სის აგებულების ასახსნელად. აი უტოდინარობა მწერალს როგორ უგუნურებაებს წარმოთქმევინებს. ერთი რომ ყურნალი თავის სი კეთით იძენს ბევრს თუულს, რადგანაც ამ შემთხვევაში ყველა წა დიდობს მის გამოწერას, და არა თუული შეიქს კარგს ყურნალს; მეორე—ეს მაინც რამ წარმოგათქმევინა, მოლაყბე! «ხუთი ათას ხელმომწერლების თუულით რა მწერალსაც მინდა დეკურს ბუქნას გათამაშებო»? განა მწერალი სუდიას გვარია, რომ ასი თუმნით დე-გვარი ბუქნა გამოარჩინო? — მაშ, მოლაყბე, იქნება შენ კარგი ნი-

ჭიერი მწერალიც იყო, მაგრამ სანამ ხუთას თუმნობით მუჭებს არ გაგიგსებენ, მანამ არ დაიძვრი, განა ?-დიახ და გეშაბის! შეიძლება შენ შენის უნიჭოების მისამალვათაც წარმოსთქვი ეს; მაგრამ რაც რომ ბევრი ეცადო, თუნდ ერთი მილიონიც მოგცენ, მაინც მაგაზედ უკეთესს ვერ დასწერ, რაც დაგიწერია. განა რაც ბუნებას შენთვის დაშურგებია, თვული იმას ჩაგინერგავს თავში? ესეც უნდა გსთქვათ, რომ მწერალი, რომელიც ასი თუმნით თამაშობს, მეტად ნიჭიერიც, რომ იყოს, მაინც თავის თვისებით კეთილზედ ბოროტს უფრო მეტს შესძენს საზოგადოებას, მაშა სადამე მაგ გვარი მწერალი, რომ კიდევაც გამოჩნდეს მაინც ებილით დასაგლეჯია. ნიჭიერი და მამულის მოყვარე მწერალი თვულში არ საჭიროებს. მის გულში, როგორც გაუქრობელი ლამპარი, ანთია მუდამ ერთი წმინდა წადილი, რომელიც სიკეთილამდინ ამხნევებს იმას ლვაწლისთვის. რასაკვირველია, თვული მრავალ თავისუფლებას მიჭსცემდა მწერალსა, იმიტომ რომ თუ საწყალია თითქმის უფრო მეტი თავისი დღენი მაგ ლონისძიების მოპოებაში ეკარგება და ამით მწერლობასა ჭსცდება, მაგრამ აქედამ ის არ გამოდის, რომ მწერალს თვული ჭქონიდეს. რატომ როდშილდი არა შეგსპირობს, ჩემო მოლაყბეო! მაგრამ იმას, ვისაც ოცდა ათის და მეტის წლის განმავლობაშია სულ ერთი მხრით უწყვნია, მეორე მხრით როგორლა გაასწევინებ, რაგინდ რომ აშკარად და საფუძვლიანადაც ელაპარაკო. ჩვენც, რასაკვირველია, აქ თავს მიგანებებდით, თუ რომ ერთი მეტად შემაქცევარი ადგილი არ გვეპოვა კიდევ მის სალაყბო თეურცელში, ეს-ის ადგილია,სადაც ის ემაწყილურის სიმარტივით ერწმუნება, ვითომც ჭ «ცისკარს» ზოგიერთის ხეირიანის სტატიებით მოეტანოს რაშე კეთილი საზოგადოებისთვის. აი ეს ადგილი: «აქებს თერგ დალეული ზოგიერთს მწერლებს, რომელთ შრომაები « ცისკარში » დაბეჭდილი იყვნენ: ჭონქაძეს, დიმიტრი ყიფიანს, გარდაქმნელს, ბერიძეს, დიმიტრი ბაქრაძეს, ლაგრენტი არდაზიანს და მე ულირს მონას და მოსამსახურეს, (ტყვილა პირს ნუ იწვამ, რა საქებიცა ხარ, შეგიტევეთ: იმას თუ იტყვი, რომ ზოგიერთი ჩვენის ცხოვრების

უმსგავსო თვალი, რომელიც თავის უმსგავსოებით ყველას თვალში ეჩხირებოდა, შეგიტანია სალაუბო ფურცელში, როგორც მექრონიკე—ეს კიდევ დიდი სიქადული არ არის ნამეტნავად როცა შევიტყეთ, რომ იმის შემტანიც შენ არა ყოფილხარ. «ქებისთვინ დიდი მადლობა!» (სულ ტყვილა! თუ მართლა თერგ დალეულმა გაქო, ძლიერ შემცდარა) «მაგრამ ერთი ესა ბრძანოს, აკი იძახდა ცისკარი ცუდიაო! მაშ ცუდი არ ყოფილა». დიახ, მართალია ზოგიერთი ისტორიული სტატიები «ცისკარში» არ იყვნენ ურიგონი. შეიძლება შემდგომისთვის, როგორც ისტორიის მასალა, შეიქნენ რითიმე გამოსადეგნი, ისიც ვინ იცის? მაგრამ ცხოვრებისთვის კი სრულიად გამოუდეგარნი იყვნენ, რადგანაც გვაჩვენებდნენ მხოლოდ წარსულის ისტორიის ფაქტებს და საზოგადოებაც არ იყო იმდენად გახსნილი, რომ საკუთარ მსჯელობით მათგან რომელიმე სასარგებლო წესი ცხოვრებისთვის გამოეკვლია. ესეც ხომ იყო: საზოგადოებას რომ კიდევაც შესძლებოდა ამ ფაქტების გახსნილვა, მე არ მგონია, იმ გვარად იყვნენ დაწერილნი ის სტატიები, რომ მათგან შეძლებულიყო რამე სასარგებლოს ალმოჩენა ცხოვრებისთვის. არც ის იყო შესაძლო ამ სტატიებისაგან, გვეცნო საფუძვლიანად რომელიმე მომენტი წარსულის ცხოვრებისა. მაშ «ცისკარს» როგორც ყურანდს, ამ გვარ სტატიებით ლირსება არ მიეცემოდა. რასაკვირველია «სურამის ციხე» მეტადრე «ოლოომონ ისაკიჩ მეჯლანუა შვილი და განსაკუთრებით «რომეო ჯ ჯულიეტა» დრამა შექსპირით სათარგმნი შორს მოიტოვებდნენ «შვილს უმანკოებისას», «თამარ ბატონის შვილს», მაგრამ ან ამითი რა გახდა? ევროპიული საჯმელები რომ მომიტანო, მათი ჯამაც ხომ უნდა მასწავლო, როგორ უნდა. შექსპირის დრამების გასაგებლად, საზოგადოებას იმდენად უნდა ქონდეს ესტეტიკური გრძნობა გახსნილი, რომ შეეძლოს მის დრამებში თითქო ღვთიურის ხელით ალმოხატულის ცხოვრების ჭვრეტა, კაცის გულის ისე ღრმად ჯ ვრცლად გაგება, როგორც ის არის ნაჩვენები მის დრამებში და კომედიებში. აბა ერთი მითხარით, რავდენ სტატიებში აუწყა საზოგადოებას «ცისკარმა» ან პოეზიის მნიშვნელობა, ან მისი ისტორიული ლირსება ჯ

ცვლილება, თუ როგორი შეხედულობა ქონიათ ელლინელთ ქვეყანაზედ, ან როგორის გრძნობით ეყრებოდნენ ბუნების ზედმოქმედებას, ან თუ რა არის ესთეტიკური გრძნობა, ურომლიოთაც ესთეტისგან არ შეიძლება რეალურ ცხოვრების მართლად წვრეტა. აბა სად გვიჩვენა ის ესთეტიკური გრძნობა, რომელიც გამოსწვერს თ. რაფაელ ერისთვის ზოგიერთ ლექსებში და ნამეტურ თ. გრიგოლ ორბელიანის, სწორედ ხალხურის ელემენტით სავსეს ესთეტურს გრძნობებში, სადაც ასე ალტაცებით არის გამოყვანილი, თუ რას შეხარის ქართველის გული? აბა თუ შეუნიშნავს გიდევაც «ცისკარს» ის რომანტიული (?) მიდრეკილება, რომელიც ისმის თითქმის ყოველ ავკაი წერეთლის ლექსებში «საყვარელო ალექსანდრა» დან «რუსეთუმეს» სურათებამდინ. «ცისკარი» არ იყო ილია ჭავჭავაძეს ქვის სრულით შეხვდა? სად გვიჩვენა მან ის ორი ხასიათი ქალისა და ვაჟისა, რომლებიც ასე ლრმად და საკვირველად არიან გამოსატული «სურამის ციხეში»? სად განიკვლია მან ის მიზეზები და გარემოება, რომელმაც შექნა ეს ხასიათები, ამისთანა ბოლოს ლირსნი, როგორიც ამ რომანშია ნაჩვენები?

სრულებით ამ გვარ რამეს 1857 წლიდან, რომ დავიწყოთ ჯ ამ თვის ნომრამდინ გადავშალოთ სულ ფურცელ ფურცლად, მაინც ვერათვერს მასში ვერ ვპოვებთ. ვერც იმას ვპოებთ, თუ სად განუხილავს ასე ვრცლად და მართლად გამოსატული სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუა შვილის ხასიათი, რომ როგორმე მკითხველის გულში აღეძრა ზიზღი ამ გვარ მიდრეკილებაზედ. როგორც ვეჭობ, «ცისკარს» სურამის ციხის აზრი სრულებითაც არ გაუგია, ამიტომ რომ როდესაც თერგ-დაღეულმა გაიხსენა იმაზედ, როგორც ერთ კარგ თხზულებათაგანზედ, რაც რომ მხოლოდ «ცისკარში» არ დაწერილა, მხოლოდ მის შემდგომ გამოვიდა მასზედ ფურცელაძის რეცენზია ჯ მერე როგორი! განა ამას რეცენზია ერქმის?... ახალ ადგმულ ენის უბედობაა ჯ ქართის მობერილი ჭსჯა. ამის შემდგომ თუნდ თვითონ შენ დაიდევ, მოლაუბევ, გულზედ ხელი და თქვი დვთის წინაშე, რამდენი კეთილი მოუტანია «ცისკარს» საზო-

გადოებისთვის ამ შვიდის წლის განმავლობაში? ვინ იქნება იმდენად უგუნური, რომ «ცისკარს» ამაში დაუწყოს გამტეუნება. ყოველი სვანი მხოლოდ მაშინ იმტეუნებს, როდესაც მასში იპოებს მისთანა საშუალობა, რომლითაც შეიძლებოდა რამე კეთილის მოტანა და არ მოუტანია. ცარიელი ტიკი რაგინდ რომ წურო, კარხურს ვერ ჩამოგისხამს, მაგრამ ის არის სამწუხარო, რომ, როდესაც ამტკიცებენ, რომ «ცისკარი» შვიდის წლის განმავლობაში არა კეთილის შემმენი არ ყოფილა საზოგადოებისთვისაო. აშკარა მართლის თქმაზედ გული გებძარვის კარგი რაც ითქვა, ითქვა: იმას ხომ ალარა გაეწყობა რა, მხოლოდ ერთი უნდა გითხრა, მოლაყბე! რადგანაც ცისკრის ადგოკატობა მიგიღია: შენ კარგად გექნება საცნობი თუ არ შენის გულთმხედველობით, ინსტინკტიურის გრძნობით მაინც, რომ ჩვენ საზოგადოებაში დაიძრა ცხოველი სული, იმას უნდა ცხოველი სიტყვა; მაშა სადამე «ცისკარს» თუ თავის სიკვდილი არ უნდა უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდინ მოდიოდა, გაგდოს მიშურა, გარეკანი სიბრკიალე და ჩაღრმავდეს სიცოცხლის მორევში მარგალიტების მოსაბოჭად. სიტყვით დატევება ცოტა არის, საქმით კი ჯერ ვერა ვხედავთ. გარიბალდის ცხოვრებით და სხვა ამ გვარებით თავს ვერ შეგვიხვევ ამიტომ, რომ მის გვერდში ვხედავთ იმ გვარ თხზულებაებს, როგორც «მამისგან შვილის დარიგება» ქერელი ბექას ბაქიობა და სხვ. ამ გვარად «ცისკრის» გზის გამოცვლა კიდევაც უფრო მაგნებელია, რადგანაც ამ გვარებით შეიძლება მკითხველის თვალისგან დაიფაროს შინაგანი ეშმაკობა. და ესეც არის: კაცი, რომელიც თან შეზრდია ერთგვარ სმენას და შეჩვეულობას ცხოვრებაზედ, რომელსაც გამოუშვია თავისებური სჯა ოითოულ საგანზედ და ფაქტებზედ, თუ კი იმას რამე აზრი აღუზრდია თავში, ერთობ ძნელად შეიძლება გადახდეს თავის გზას ნამეტურ ასე უცებ, როგორც «ცისკრის» რედაქტორმა ეს გვაუწყა ჯ თითქმის ყოველწელს გვაუწყებდა: ეხლა სხვა აზრზედ უნდა წავიდეო, სხვა კარგი მიმართულება ვიქონიებო და თუ მართლა ასეა, სანამ ყურ-

ნალის შინაგანი ნაკლულოვანება საქმით არ გაიწმინდება, სულ ტყუილია, რომ იძახონ თუნდ წლიდამ წლამდინ: ეხლა სხვა გზაზედ ვდგებიო. საქმე უნდა და არა სიტყვა. როგორც ტბაში, თუ ქვეწარმავალი არის, არ შეიძლება რომ ხან გამოშვებით მაინც თავი არ ამოყოს ხოლმე და იმ ტბის სიწმინდავე არ აამღვრიოს, სწორედ ისეც ყურსალშია ხოლმე.

გ.—თელი.

(მე 60-ათე წლიდგან მე 129 წლამდე:)

საფუძველი, რომელზედაც იყო დამყარებული დუარხიული მმართებლობა.-ამ პერიოდის ხელმწიფეები. მომხდარნი საქმენი —სომხებთან ბრძოლა.—დაპყრობანი ტრიანი იმპერატორისა და ურთიერთ შორისი ბრძოლა თვარსმან III-სა და მირდატისა. მოგზაურობა თვარმანისა რომში.

ამ პერიოდის ხელმწიფეებსა რა უფლება და მოვალეობა ჰქონიათ, როგორც ურთიერთ შორის მიქცევ მოქცევაში, ეგრეთვე ხალხის საზოგადო საქმეებში, ამაზედ არის ზოგიერთი ცნობა ქართულ მატიანეში. ამ ცნობათაგან შეიძლება გითვიქროთ, რომა ის უფლება და მოვალეობა იყვნეს დამყარებულნი შემდგომს საფუძველზედ: 1, ერთს ორ ხელმწიფეთაგანს უნდა ეცხოვრა მცხეთაში და სჯერდა მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე ქვეყნები, და აგრეთვერ იორისა და ჭოროხის აუზის მაზრები, მეორეს კი უნდა ჰქონოდა ბინა არმაზსში და ემთავრა მტკვრის მარჯვენა მხარიდგან დაწყობილი საქართველოს სამხრეთის სამძღვრამდინა; 2, თუ ვინიცობაა, იმათგანი მოკვდებოდა ვინმე, მაშინვე იმის მაგიერად უნდა დამდგარ იყო სამთავროში—მმართებლად უფროსი შვილი და აღესრულებინა მოვალეობა, რაც კისრად ედვა იმის მამასა; 3, ყოველს მათგანსა თავის სამფლობელოში დაუმოკიდებელი მეფის უფლება ჰქონდა. 4, მშვიდობიანობის დროში ხალხის საზოგადო საქმის გადასაწყვეტლად, რომელიც შეეხებოდა ორივე სამთავროსა, უნდა შეერიღიყვნენ ორივენი და გარდაეწყვიტათ საქ-

მე ერთად და 5, ლაშქრობის დროს ერთს მათგანს ებარა სამხედრო ადმინისტრაცია მთელის საქართველოსი და მეორეს სამოქალაქო, ამასთანაც პირველი უნდა ყოფილიყო წინა-მძღოლი ჯარისა და მეორეს კი ეზრუნა ჯარის სურსათისათვისა და იარაღისათვისა.—

პირნი, რომელნიც მეფობდენ ამ პერიოდში იყვნენ: ბარტომი და ქართამი, შვილები თარსმან პირველისა. ისინი შეეიდნენ თავის სამთავროს მფლობელობაში მე 60 წელიწადში. ქართამი სამს წელიწადს შემდგომ მოკვდა, მე 63 წ. ⁄ იმის მაგიერად გამეფდა იმისი შვილი თარსმან II. ბარტომმა იმეფა 72 წლამდინ და იმის სიკვდილის შემდგომ თარსმან II-ს გაუამხანაგდა კოსი, ბარტომის შვილი.-ესენი დაიხოცნენ 87 წელიწადში და იმათ მაგიერად შეეიდნენ სახელმწიფოს მფლობელობაში აზორქი და არმაზელი. ა. ზორქისა და არმაზელისა სიკვდილის დრო და იმითი შვილების დერეფქისა და ამზასპისაგან მართებლობის მიღება სამდვილად არ ვიცით, მხოლოდ 103 წელიწადში პირველნი მათგანნი ალარ იყვნენ ცოცხლები და მეფობდნენ იმათი შვილები. აგრეთვე არ ვიცით: პირველი, ამ ხელმწიფეების სიკვდილი და დასაწყისი იმათი მემკვიდრეების მირდატისა და თარსმან III-ს მმართებლობისა, რომელნიც 113 წელში კი მართავდნენ საქართველოსა, და მეორე: წელიწადი მირდატის საქართველოჯგან განდევნისა და ჩავარდნა სრულის სამეფო უფლებისა მარტო ერთის თარსმან III ხელში. ეს უცოდინარობა გვაიძულებს, რომ მაგიოთ დუარხიულის მმართებლობის საძეგრად, წელიწადი, როცა მიიცვალნენ თარსმანი და მირდატი ⁄ რომ ალამი საქართველოს ხელმწიფედ დაინიშნა,—და არა ის წელიწადი, რომა მირდატი გაიქცა.

ამ პერიოდის განმავლობაში ერთი გამოჩენილი საქმეთაგანი იყო ომი ქართველებისა სომხეთში. ეს ომი დაიწყო თარსმან III-მა იარვანდის მისაშველებლად სომხეთის მეფის შვილის არტაშანის წინააღმდეგად. იარვანდს ეჭირა სომხეთის მეფის ტახტი უკანონოდ; კანონიერი მემკვიდრე კი არტაშანი, თავის მტერე წლოვანობ-

ბაში ემალებოდა იმისს დევნასა სპარსეთში ერთს სომხეთის დიდი კაცის სემბათის მეუღლეობასა ქვეშე. 78 წელ, როდესაც ეს ხელმწიფეს შვილი დაგუკვალდა, მაშინ სემბათმა დაიყოლია სპარსეთის კარი, რომ არტაშასა მამეულის ტახტის დაბრუნებაში დახმარებოდა. მიიღო რა იმისაგან ჯარი, სემბათმა თან წაიყვანა არტაშანი და შეესია სომხეთსა. ირვანდმა, სპარსელების მოსვლით შეწუხებულმა, სთხოვა თვარსმანსა შემწეობა მტრის შესაოგებლად, ქართველები შეკიდნენ სომხეთში და მიემატნენ ირვანდის ჯარსა მაშინ, როდესაც თითქმის მთელი ის ქვეყანა მიემხრო კიდეცა არტაშანსა, ირვანდი მაღე დაამარცხა და მოჭკლა სემბათმა; იმისი ჯარი გაიქცა-გამოიქცა და თვარსმანიც დაბრუნდა საქართველოში.

არტაშანის მეოვედ დასმის შემდგომ სემბათმა მიჭყო ხელი მთელის სომხეთის დამორჩილებასა და წესიერობაზედ მოყვანასა, ჯ თანაც გულში ინახავდა თვარსმანის შურის ძიების განზრახვასა იმისთვის, რომ ირვანდსა შემწეობა მისცა. 87 წელ სემბათი ომის გამოუცხადებლად შემოადგა საქართველოს სამეკვარს და ჯარით გარს შემოერტყა არტანისსა და წუნდასა. რა კი ნახა რომ ამ ციხეების გუშაგნი გულ დაგულ ეწინააღმდეგებიან და ამასთან შიშიც მოეცა, რომ არ მოშველებოდნენ, იმან დაქრთამა გუშაგის უფროსები, მაგრამ როდესაც ამ ღონის-ძიებითაც იმათი დამორჩილება ვერ მოახერხა, მაშინ დაქრთამულების თანხმობით გაუგზავნეს გუშაგებსა კოსსისა და თვარსმანის ტყუილი წიგნები, რომ ჩაებარებინათ ციხეები სომხეთის შეფისათვის, რადგანაც ფიქრი გვაქვსო სომხებთან დამეგობრებისაო, ალბათ როდესაც ერთს ჩიკრიკს მიჭქონდა ის წიგნი მტრისაგან გარე მოცულს ციხეებში, მეორე ჩიკრიკი საქართველოს ხელმწიფეებთან საწამლავით გაგზავნილი იყო, ამისათვის რომა სწორეთ იმ დროსა, როდესაც მოტყუების გამო, ქართველი გუშაგები აბარებდნენ სომხებსა წუნდასა და არტანისსა, კოსი უცებ მოკვდა.

თვარსმანი მიეცა დიდს მწუხარებასა თავის ამხანაგის სიკვდილისა გამო, რომელზედაც სიბერის დროსა იმედი დამყარებული ჰქონ-

და, ამასთანავე ზედ დაერთვა მეორე მოულოდნელი სენდა, რომ შეიტყო რომ სომხებს ის ციხეები აუღიათ; მაშინვე დაიბარა აზორჭი და არმაზელი, მისცა იმათ თავისი და კოსის უფლება, გახდა ძრიელ ავად და მას შემდეგ მალე მოკვდა. საქართველოს ახალი მეფეები შურს ეძიებდნენ სომხებისასა, და მოიწვიეს რა ოსები და ყველა მთის ხალხი (24), რათა მიემატებინათ ქართველებისათვის

---

(24). როდესაც «ქართლის ცხოვრება» ამბობს ოსების დაშქრობაზე საამხრეთის ქვეყნებში და იმათს შესევაზედ სომხეთში, მოსე ხორენელი უწოდებს ამ დაშქრობასა ალანების შესევასა. ჩვენის აზრით ძველთაგან ძველის დროებიდგან ალბუზის ჩრდილოეთისა ტ ჩრდილოთ-აღმოსავლეთის კალთებზე სცხოვრებდნენ შემდგომი ტომნი: 1), სიგრცე ქვეყნებისა კავკაზის მთიდგან კასპის ზღვამდინ და ანდის მთიდგან საამურის წყლამდინ ეჭირა ხალხსა, რომელთაც უწინდელი დროების გეოგრაფები უწოდებდნენ ლეგებსა და ქართველები კი ლეკებსა: 2), სუნჟის წყლის სათავიდგან-მთელ ამ წყლის გაყოლებაზედ ანდის მთამდინ სცხოვრებდნენ მეჯეხები ანუ მესსეგები—ესენი არიან ეხლანდელი ჩაჩნები, რომელნიც ეხლაც იწოდებენ ამავე სახელსა, თვით ქვეყანას კი ერქვა: მეჯეხეთი ანუ მასსაგეთი; 3), სიგრცეზე სუნჯის წყალსა და თერგ შუა სცხოვრებდნენ ხალხი უწინდელი გეოგრაფების სახელწოდებით: გელები; ამ ქვეყანასა, სადაც ცხოვრებს ეხლა უფრო მომატებული ნაწილი სხვა ტომებისა. აქამდისაც ჰქვიან გელასტანი; მაგრამ ამ ქვეყნის მთებში ეხლა სცხოვრებს ნაშთი იმ ტომისა, რომელთაც ეწოდებათ გალაშელნი ანუ გალგაელნი, ჩაჩნურ ენაზედ მოლაპარაკენი; 4), თერგის სათავიდგან მარცხნივ ყუბანის წყლამდინ და ამ წყლის ბარჯვენა ნაპირიდგან დონის წყლამდინ სცხოვრებდა ხალხი ოსების სტომნი ი სხვა და სხვა სახელწოდებითა; 5) კავკაზის მთის, ყუბანის და შავი ზღვის შორის იყვნენ ადაგე ანუ ჩერქეზები, მრავალ სხვა და სხვა თემებად გაყოფილნი, რომელთაც სხვა და სხვა სახელწოდება ჰქონდათ და 6) შავის ზღვის ჩრდილოთ-აღმოსავლეთი ნაპირი ეჭირათ, როგორც ამ ყამათაც უჭირავთ, ავხაზებსა.

სომხეთის ასაკლებათ, თითქმის მე 88 წელში შეესიენ სომხეთის ჩრდილოდ მდებარე მხარესა, საშინლად გაცარცვეს და აოხრეს. როდესაც სრულებით დაძლნენ შურის-გებითა, ისინი დაბრუნდნენ ითრის ნაბრძანებსაკენ, და იქ დადგნენ. ხელი მიჭვეს თუ არა დაკლისა და ტყვეების გაწილვასა, მაშინ მოეწიათ იმათა მრავალ რიცხვი სომხეთის ჯარი, სემბათის წინა-მძღოლობითა, რომელიც რა დაბანაკდა მტკვრის მარჯვენა მხარეზე გაუგზავნა, რომ ტყვეები დაუბრუნონ.

როდესაც მიიღო ჯარი, სემბათი გავიდა მტკვარ გაღმა, შეება და ისე დაამარცხა ქართველები და იმისი მოსარჩლეები, რომა მოსარჩლებმა დასტოვეს დაკლა, ტყვეები და გაიქცნენ თავ თავის ქვეყნებშია, ქართველები კი გამაგრდნენ ციხეებში. სემბათი შეესია საქართველოს შიგნით მხარეებსა და გაიარა მთელი ეს ქვეყანა ქიზი-

---

ყველანი ეს ხალხნი მთელ თავის ცხოვრების განმავლობაში თითქმის ველურად დარჩენილნი იყვნენ, ამათ არა ჰქონდათ მწერლობა, გარდმონაცემები იმათი არიან არეულ დარეულნი და ბნელნი,-და ამის მიზეზით მათი ცხოვრება ისტორიულის ზედმიწევნებით ცნობილი არ არი; მაგრამ ვიცით, რომა ეს ტომები, ათვაზებსა და ლეკებს გარდა, სცხოვრებდნენ უბინაოთა და ხანდა ხან გადადიოდნენ სხვის, სკვით-სარმატების ხალხის მამულებში და ხანდახან თვითონ ამათვე განდევნიდნენ ხოლმე სხვა ხალხნი, რომელნიცა შეესეოდნენ ამათ საკუთარს მამულებსა და იმ მამულებზედ გადიოდნენ ზემო ამბიაში, როგორათაც მაგალითებრ: კიმმერიანენი, ხაზარები და ბალქარები ანუ ბასსიანტები, ე. ი. ბასსიანენი ანუ ბარსელიანენი. სასარმატოში და სკვითეთში დადიოდნენ რა უბინაოდ, ისინი შეხვდებოდნენ ხოლმე სხვა ტომებსა და ზოგჯერ ამათი ნაწილი ხალხი მიუდგებოდა ხოლმე სხვა ხალხსა და ზოგჯერ თვითონ ესენი მიიღებდნენ ხოლმე და შეირევდნენ სხვა უცხო ტომსა. აქედგან წარმოდგა ისა, რომა ამ ექვს ტომის მაგიერად კავკასიაში, ძველი და საშუალო საუკუნის მწერლები ანგარიშობენ უ-

ყიდგან სამესხეთოამდინ და აოხრა უმწეო სოფლები. მისთვის რომ დაემკვიდრება სომხეთის მეფლობელობა სამესხეთოში, იმან აშენა მესამე ციხე დემოთი, დაუყენა იქ ძლიერი გუშაგი და დაბრუნდა სომხეთში.

საქართველოს ხელმწიფეები გამოვიდნენ თავისი საფარველებიდგანა, მეორედ შეეკრიბეს მთის ხალხი სომხეთს სალომრად, მაგრამ არტაშანმა დაასწრო იმათ და თვითონ წამოვიდა საქართველოში; იმან აიღო მცხეთა, აოხრა და განადგურა ქართლი და იქამდინ მიეხწევინა, რომ მორჩილობის სიდიბლითა ასყიდვინა მშვიდობიანობა და შერიგება.

ამას შემდგომ ოზორქი და არმაზელი დიდხანს ვერა ბედავდნენ გამოეცხადებინათ არტაშანისადმი თავისი სიმძულვარე, რომელიცა ელგზნებოდათ ხოლმე, რაცა ნახავდნენ სათითოდ ყოველ ნა-

---

რიცხვს, ხალხსა სხვა და სხვა სახელწოდებითა.

ამავე მიზეზით ოსებსა სხვა და სხვა დროებში სხვა და სხვა ხალხი უწოდებდა სხვა და სხვა სახელებსა: ქართველები მწერლობის მექონენი და ყველაზე მახლობლად მეოთხენი ოსებზედა უწოდებდნენ ოსებად; ჩრდილოეთის ხალხი ასსებად; დასავლეთის ხალხი უწოდებდა იმათა ხან ასებს ან ოზებს ანუ ალარსებს, ხან სარმატებსა, ანუ მეოტებსა; თვითონ კი თავის თავს ეძახიან ირონებსა. ადრიანი, მოსე ხორენელი, იოანე კათალიკოზი და კონსტანტინე ბოროფირონსანი ოსებს ეძახიან ალანებად და ზოგი ერთი მწერლებიცა ალანებსა და ალბანელებს ურევენ ერთმანერთში; ბოლოს ალანეთი აქვს დანიშნული დაღესტნისა და ჩეჩნის ადგილას. კლაპროტი კი იმ აზრისა არის, რომ ოსები და ალანები ერთი ტ იგივე ხალხი-ირონნი არიან, მაგრამ ძნელი გადასაწყვეტი კი არის: ალანები იყვნენ ოსები თუ ევ ალანები სხვა ტომი იყო; ამ ჟამად კავკასიაში არაფერი არა მოგვაგონებს რა ალანების სახელსა, ერთს ხეობას გარდა, რომელსაც ალან ხევი ჰქვიან, მაგრამ ეს ადგილი მდებარეობს სალეკოშია.

ხარსა, რომელიც აგონებდათ ხალხის სახელის აღდგენის მიუცილებელ საჭიროებასა. დიდი ხნის მშვიდობიანობამ მისცა იმათ შეძლება, რომ საქართველო აოხრებული კვლავ აეშენათ, წესი და რიგი ისევ დაეწყოთ და ჩუმად საომრათაც მომზადებულიყვნენ.

ბოლოს როცა სომხებმა ასტეხეს ომი რომაელებთან და სპარსებთან (25), მარჯვე შემთხვევა მიეცათ აესრულებინათ დიდხნის წადილი. აზორქმა და არმაზელმა მაშინვე ისევ მთიულები დაიბარეს და წაიყვანეს ქალთველებთან ერთად სომხეთზედ. არტაშანმა მოაგროვა თავისთან დარჩომილი ჯარი, გაუძღოლა წინა თავისი შვილი ზარენი და გაგზავნა მტრის დასახვედრად. ქართველებმა დამარცხეს სომხეთის ჯარი და ხელმწიფის შვილი ზარენი ტყვედ დაიჭირეს და დარიალანში დაუპატიმრეს.

ამის შემდეგ სამი წელიწადი რომ გავიდა, არტაშანმა რაკი რომ მორჩა სპარსეთის ომსა, რაც კი სომხეთსა ჯარი ჰყვანდა სულ მოაგროვა ს საქართველოში გამოგზავნა, უფროსობა ჯარისა თავის სამს შვილს ჩაბარა. ისინი მოვიდნენ თრიალეთამდინ და დაუწყეს ქართველებსა შერიგებახედ ლაპარაკი. ეს ლაშქრობა დაბოლოვდა სისხლ დაუნთხეველად; სომხებს მისცეს ხელმწიფის შვილი ზარენი და საქართველოს დაუბრუნეს ციხეები და სამესხეთო, არტაშანის გამეფების პირველ წელიწადში სემბათისაგან მუხთლობით დაწერილი.

ამ სახით გვიამბობს ქართული მატიანე ამ ხან გრძელ ქართველებთა და სომხებთ შორის ლაშქრობის ამბავსა. ამ ფაქტის შესამოწმებლად, ჩვენ ძველი წერილი სახეში არა გვაქვს, მოსე ხორენელის გარდა, მაგრამ მაინც კი მიჰყოფს ხელსა იმათს შეფარდებასა, ის უნებლიეთ ქართულ მატიანეს დაამჯობინებს სომხებისასა,

---

(25) ქართლის ცხოვრებაში რომაელნი ბერძნებად სახელ წოდებულნი არიან, მაგრამ მაინც კიდევ უსათუოთ სომხებისა და იმპერატორი დომიციანის ჯარების ბრძოლაზედ უნდა ამბობდეს ქართლის ცხოვრება.

რომელიც არა ისტორიულ გადმოსცემებით არის შეშლილი.

ჩვენ კიდეც შევნიშნეთ, რომ, «ქართლის ცხოვრება» იხსენებს არტაშანისა და რომაელების ლაშქრობასა; ეს ლაშქრობა იყო, როგორაც სჩანს ლათინურისა და ბერძნული ისტორიკოსებთაგან, უკმაყოფილოებისა გამო, რომ არტაშანი მეფლობელობდა სომხეთში სპარსეთის შემწეობითა და არა რომაელების დანიშვნითა. ტრაიანე, რომელმაც მიიღო მართველობა იმპერიისა ყოველთვის აცხადებდა ამ უკმაყოფილებასა უფრო ნამეტნავად პართიანებზედ.

სურდა რა ამ ერთ დროს მძლავრს დინასტიაზედ გამარჯვებით სახელი დაეგდო, ტრაიანემ მოითხოვა განდევნა არტაშანისა. ადმოსავლეთზედ გალაშქრების მიზეზად ტრაიანესს ეს შეექმნა. სპარსების ხელმწიფე ხოზროი, რადგანაც ტრაიანესთან ომს ერიდებოდა, ძალა დაატანა არტაშანსა, რომ სომხეთიდგან გამოსულიყო. არტაშანი გამოვიდა და იმის მაგიერად პართიანელი თავადი, პართამაზირი დასვა, რომელიც თანახმა იყო რომის ვასსალობაზედ. მაგრამ ტრაიანემ განდევნა ისიც, ჯ სომხეთი იმპერიის მაზრად გახადა.

მარტო ერთმა სომხეთმა არ დაუმაყოფილა, ის წამოვიდა საქართველოსაკენ და, როგორც გვიჩვენებს ისტორია, ადვილად დაიმორჩილა იგი. მაგრამ როგორც შეუნიშნამს შლოსერსა, საქართველოს მეფლობელები ყოფილან მორჩილებაში იქამდისინ, ვიდრე რომის ჯარი ახლო მდგარა. (26).

მეორე საქმე იმოდენადვე შესანიშნავი, როგორც ლაშქრობა ქართველებისა და სომხებისა-იყო ფარსმან *III*-ის და მირდატის ურთი ერთ შორისი ბრძოლა.

ეს ორნი პირნი ხასიათში სრულიად არა ჰგვანან ერთმანერთსა. ფარსმანმა თავისი მშვენიერის შეხედულობითა, ვაჟკაცის გულითა და ლბილის ხასიათითა ქართველებში ყოველი ხარისხის ხალხს თავი შეაყვარა და სახელი გაითქვა, მაშინ როდესაც ულმობელმა ჯ

(26) Ф. Шлоссеръ Всем. Ис. т. ст. IV. 286.

უსამართლო მირდატმა შეაძულა თავი საზოგადოდ ყოველსა. მირდატს შეშურდა რომ თვარსმანი ესე უყვართ, და განიძრახა თვარსმანის სიკვდილი ნადირობაშია, რომელიცა განგებ მითამ შესაქცევრად მოიგონა.

სანადირო მოწვევის ამბავი მიუტანა თუ არა თვარსმანს მირდატის კაცმა, თანაც აცნობა საზიზღარი განზრახვა მირდატისა. თვარსმანმა ნადირობაზედ უარი ჰყო და გამოუცხადა სალხსა მირდატის განზრახვა. ქართველებმა, რომელთაც დიდი ხანია სურდათ ეპოვნათ შემთხვევა, რომ ამოეყარათ ჯავრი ბოროტ-მოქმედის მირდატისა, განდევნეს იგი თავის სამშობლო ქვეყნიდგან. მირდატი გაიქცა თავის სიმამრთან, სპარსეთის ხელმწიფესთან.

ორჯელ შემოესია მირდატი საქართველოსა სპარსელების შემწეობითა, და ორჯელვე ისე ხერხიანად ალტეს ქართველებმა, რომ ბოლოს თვარსმანმა თავისას დაუმატა რა სომხეთის ჯარი, თავისი სიმამრის სომხეთის მეფისაგან მოშველებული, თვითონ წავიდა საომრად სპარსეთშია. იმისმა გაბედვით შესვლამ და გამარჯვებამ ისე გააშფოთა სპარსეთის მეფე, რომ იმან რაკი სხვა ღონის ძიება ველარ იპოვა, რომ თავის სამეფო დაეხსნა ალხრებისგან, გაბედა და შეისყიდა თვარსმანის მზარეული თვარსმანის მოსწამლვად. თვარსმანი უცებ მოკვდა და ქართველები უკან დაბრუნდნენ, ამათ მდევრად დაედევნათ სპარსეთის მრავალ რიცხვი ჯარი. სპარსელებმა საქართველო აიღეს და მეფედ მირდატი დასვეს. მაგრამ შემდგომ თვარსმანის შვილი ადამი რომაელთა (27), სომხებთა და დასავლეთის მაზრების ქართველთა შემწეობით დაეცა სპარსელებს და ბრძოლაში რიხის სიახლოვეს ღიახვზე, გადასწყდა სვე მირდატისა—ამისი მოსარჩლეები სრულიად დამარცხდნენ და თვითონაც ომ-

(27) «ქართლის ცხოვრებაში» რომაელნი ისე, როგორათაც უწინაცა, ბერძნებად არიან სახელწოდებულნი, და ალბათ იმ მიზეზი იყო, რომ ალმოსავლეთის რომის ჯარში უმთავრესი ელემენტი ბერძნისა იყო.

ში მოკვდა. ამ გვარად გათავდა დუარხიელი მართებლობა. მე 129 წელიწადში დაჯდა საქართველოს მეფის ტახტზედ მარტო ერთი ადამი.

თვარსმან III ადრიან იმპერატორის დროს წავიდა სამგზავროდ რომში და, როგორცა სჩანს უცხო ქვეყნის მემატიანეებთაგან, იქ დიდის პატივის ცემით იყო მიღებული. ერთხელ როდესაც თვარსმანმა მიიტანა ზვარაკი ბელოანის ტაძარში, იმას აჩვენეს ღვთიურ კერპებთა შორის თავისი საკუთარი სახის გამოხატულობა, იმის მისვლის წინად რომის მთავრობისაგან იქ აღმართული. (28) ადვილად მისახვედრია, რომ ეს პატივის ცემა იმ უმაღლესის აზრის გამომთქმელია, რომელიც ჭქონდათ რომაელებსა იმ დროების საქართველოს შეძლებაზედ და იმ სარგებლობაზედ, რომელიც იმათ შეეძლოთ ჭქონოდათ ამ სამეფოსი და იმპერიის ერთმანეთში თანხმობისაგან. საანურია, რომ ეს აზრი რომის ისტორიის სხვა და სხვა ადგილსა ნაწყვეტ ნაწყვეტად არის მხოლოდ გამოხატული და არა ზედ მიყოლილ აღწერილებითა, რომლისაგანაც ჩვენ შეგვეძლო გამოგვეკვლია ვრცლად ის მნიშვნელობა, რომელიც ჭქონია საქართველოსა ამ ძველისა და მთელის ქვეყნის მპყრობელის იმპერიისათვისა.

თუმცა ეს ესეა, მაგრამ მაინც კიდევ ღირს, რომ ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტები კაცმა ყურადღებით წაიკითხოს, რათა რამოდენათ მე შეიტყოს თვისი ამა მცირე, მაგრამ მშვენიერის ქვეყანისა, რომელიც ბედს ქართველებისათვის მამულად დაუნიშნავს.

(28) Zonaras, tom. I. p. 590.

სხვა და სხვა ამბავი.

ამ ცოტა ხანში ბევრი ისეთი ამბავი მოხდა ქვეყანაზე, რო-გორც სხვაგანა, ისე ჩვენ მხარეშიაც, — რომელიც ჩვენ საზოგადო-ებასაც უნდა შეეხებოდეს და მაშასადამე მთელი ქართველობისა-თვისაც საინტერესო უნდა იყოს. იმათი მბობა ვისურვე შენთვისა, მკითხველო, მაგრამ ამ სურვილის აღსრულების შეუძლებლობა მა-შინვე წარმოიდგა თვალში და ძალიან შევწუხდი. მოგახსენო მი-ზეზი.

რაც საქვეყნოდ მოხდება ხოლმე, იმას, რასაკვირველია, ყველა მაინცა და მაინც შეიტყობს ხოლმე; მაშასადამე, თითქო იმისი მბობა საჭირო აღარ იყოს, რათგანაც შეტყობილი ამბების მბო-ბამა მეტის მეტად თავის მობეზრება იცის. და ეს ხომ კარგად იცი, მკითხველო, რომ შენი თავის მობეზრება ჩემი წინააღმდეგი კ მაგ-ნებელი საქმეა. — მაგრამა, შეიძლება, და ხან და ხან აუცილებელი სა-ჭიროც არის, რომ ერთსა და იმავე ამბავსა სხვა და სხვა გვარი მნიშვნელობა მიეცეს, და კიდეც ამბების ამ მნიშვნელობის მიცე-მაშია ჩვენი ამბების საგანი.

წასულ კვირებში ორი იმერელი კაცი ჩამოახჩეს. აბა, საქართ-ველოში, შიგ ქალაქს თფილისში ორი კაცი ჩამოახჩეს ქრისტიანი, ჩვენი იმერელი და როგორ უნდა იყოს შესაძლებელი, რომ ეს ამბავი ქვეყანას არ შეეტყოს!? რა ხშირად მოხდება ხოლმე ქვე-ყანაზე კაცის ჩამოხჩობა, რომ ესე შეუტყობრად ამ გვარი ამბავი დარ-ჩენილ იყო?! მაგრამა, ამბავის შეტყობაში ხომ არ არის საქმე,

საქმე ამბავის ჭეშმარიტი მნიშვნელობის გაგებაშია. აბა, ერთი მეზობლებში მოიკითხე, მკითხველო,— როგორი გულ გრილობით მიიღო ყველამ ეს ამბავი. რა აზრები წამოუდგათ? ან კითამ ამ ამბავმა კისმე საოიქრებელად აზრები გამოუღვიძა რამე? არა გგონია, განა, მკითხველო? სამართლიანობა მოიკითხა კინმე, დაეთანხმა, თუ არა? არა გგონია. ეს ხომ ვიცით, რომ ქვეყანაზე ბევრი რამ განუსაჯელად მოხდება ხოლმე, ან ხშირათაც-განსაჯვითა, მაგრამ მაინც კი უსამართლოთა? რა იცით. განა არ შეიძლება განსაჯა უსამართლესიც-იყოს? რწმუნება იქმნება და მაგისთანა?! ესეც ხომ არა გგონია. კარგია, რომ კიდევ მაგისთანა მართებლობა გვყავს, რომ, არა გგონია, განუსაჯველად არავინ არც დაახვრეტინოს, არც ჩამოახჩობინოს, არც კატორგაში გააგზავნინოს. ხომ არც ეს გგონია, მკითხველო?

კიდეც ეგ არის, რომ არა გგონია. ლიტერატურა კარგათა გრძნობს თავის ვალდებულობასა, რომ შენა, მკითხველო, ყოველმა ამბავმა თვიქრები და აზრები მოგივლინოს ხოლმე ისე როგორათაც კანონიერი ლირსება მოგთხოვს, და «გგონია»-ობის გათავებით არ გაგმაყოფილოს, მაგრამ . . . მაგრამ სად არის შეძლება ჩვენი სურვილის აღსრულებისა? ამასა მოუსვენარობაკ მიიღებენ და შეგვიმუსვრვენ ხოლმე ყოველს ამ გვარ სურვილსა და შენცა, მკითხველო, ამითი კანონიერი ლირსების აღმადგენელად, ბევრს აზრზე ან თვითონ თვიქრობა, ან თვიქრობაში ხეირიანისა რისამე მოთვიქრება მოგაკლდება ხოლმე.

მაგრამ, რა გაეწყობა, განა? ეჰ, ხომ მაინც არა გენაღვლებარა! რა კანონიერი ლირსება, რა თავა, რა ბზე?! განა!? სად არის მაგდენი ცნობის მოყვარეობა, ოხვრით იტყვიან დარბაისელნი, მცოდნენი, გამოცდილნი პირნი და რად გვინდა მაგდენი ცნობის მოყვარეობა, იტყვიან დანარჩენნი! ეჰ, რა გენაღვლებათ! თუნდაც რომ გენაღვლებოდეს კიდეცა, მაინც რომ არ შეიძლება . . . რათგანაც ჩემ კალამს იმოდენი ძალა როგორ უნდა მოეთხოვებოდეს, რომ იმოდენი ცნობის მოყვარეობა განგიღვიძოს, ქართვე-

ლობავ, რომ კეტობრივის ღირსებით განაღვლებინოს ვრცლად (ე. ი. ნაღვლობის დაკმაყოფილებამდინ) შენს კერძოობითს საქმეებზედაცა, საზოგადოობისებზედაც და მთელი კეტობრივობისებზედაცა! ან ეს რა გენაღვლება, ეჰ, ან ეს რა გენაღვლება!

ვითამ სამუდამოდ დამშვიდებულ ლეკებსა რაღაც უსიამოვნობა-რაღაც უკმაყოფილობა შეხვედროდათ და პატარა, იმ მხარეში ნა, წილობითი ალრეულობა გაებედნათ. ბევრი სხვა და სხვა გვარი ამბავი მოამხდარა იქა!

მაგრამ შენთვის ხომ სულ ერთია! რა გენაღვლება! სად არის მაგდენი ცნობის-მოყვარეობა, ოხვრით იტყვიან დარბაისელნი, მტოდნენი, გამოცდილნი პირნი და რათ გვინდა მაგდენი ცნობის-მოყვარეობა, იტყვიან დანარჩენნი! ეჰ, რა გენაღვლებათ! თუნდაც რომ გენაღვლებოდეს, მაინც რომ არ შეიძლება . . . . რათგანაც ჩემ კალამს იმოდენი ძალა როგორ უნდა მოეთხოვებოდეს, რომ იმოდენი ცნობის მოყვარება განგიღვიძოს, ქართველობავ, რომა კეტობრივის ღირსებით განაღვლებინოს ვრცლათა (ე. ი. ნაღვლობის დაკმაყოფილებამდინა) შენ კერძოობითს საქმეებზედაცა, საზოგადოობისებზედაცა და მთელი კეტობრივობისებზედაცა. ან ეს რა გენაღვლება!

ბევრჯერ ჯეშმარიტებით რისამე წარმოდგენა, რისამე მბობა საზოგადოებაში შეუძლებელია! ესეც თუნდ იმავე თქვენი ცნობის მოყვარების უქონლობის მიზეზითა. მარტო ამ აზრზე დარწმუნება გამოიყვანდა საზოგადოებაში ყოველ კაცსა, მაშასადამე თვით საზოგადოებასაცა, ჩვენ ქართველობასა იმ მიმზანტებელ გულგრილობიდამა, რომელიც მთელ ქართველობას საზოგადოდ უმოქმედობის, მძინარეობის ამოვნებაში ანთქნარებინებს . . . და ლეკებში სადმე, ან სხვაგანა რა მოხდა. რათ მოხდა, რა მიზეზით მოხდა, ანა ყოველისავე ამისა ჯეშმარიტებით წარმოდგენა შეუძლებელი რათ უნდა იყოს? ეჰ, ყოველივე ესა შენ რა გენაღვლება, მკითხველო!

ჩემო ტკბილო, ჩემო მშვიდობიანო ქართველობავ! შენს შინაურობაში მაინც მიიხედ მოიხედე! შენს სოფლიურ მდგომარეო-

ბას დააშტერდი მაინცა და იგრძნე იმისი ყოველად წყლული სიდარიბე-სიბილწემდინ ჩაობებული. გეტყოდი, ამასთან სხვა ხალხების სოფლიური მდგომარეობა მოიკითხე, როგორია მეთქი და რისაგან არის ესა, მიზეზები იცანი მეთქი, მაგრამ, რომ ვიცი, რომ არა გენაღვლება რა! აი, ცნობის მოყვარეობის მოკლება! სადამდინ მიგიყვანდა ცნობის მოყვარეობა, რომა გქონოდა?! მაგრამ, ეჰ, რა გენაღვლება!

ამ გვარი ამბავი, რომ მომხდარ იყოს: ვჰსთქვათ, ერთი ხალხი რომელიმე დიდს რომელსამე სახელმწიფოში აღუდგა მართებლობასა. ვჰსთქვათ, მთელ ხალხსა საზოგადო აღრეულობა განეძრახოს და მოეხდინოს კიდეცა. როგორ უნდა გაებედნა მთელ ხალხსა, მკითხველო, ხელმწიფის წინააღდგომა? ამ გვარი ბოროტობა (მთელი ხალხის აღრეულობა ბოროტობაა, მაშ რა არის?) გული რატომ არ აგელელვება?! თუ გაჰბედა, რა სამართალი ჰქონდა, რომელიც ხელმწიფის სამართლიანობას წინაღუდგებოდა... უმიზეზოთ ხომ ქვეყანაზე არა მოხდება რა! ამას რა მიზეზები უნდა ჰქონოდა? ეჰ, მაგრამ რა გენაღვლება? რათ გინდა მიზეზების მოკითხვა? რა გენაღვლება!

თუნდაც რომ გენაღვლებოდეს, მაინც რომ არ შეიძლება... რათგანაც ჩემ კალამს იმოდენი ძალა როგორ უნდა მოეთხოვებოდეს, რომ იმოდენი ცნობის მოყვარეობა განგიღვიძოს, ქართველობავ, რომა გაცობრივის ღირსებით განაღვლებინოს ვრცლად შენს გერძობით საქმეებზედაცა, საზოგადოებისებზედაცა და მთელი გაცობრივობისებზედაცა! ან ეს რა გენაღვლება!

თუ, ქართველობავ, თუნდ, სხვათა შორის, ზემოხსენებული ცნობის მოყვარეობის უქონოების გამო შენი აწმყო მდგომარეობისაგან ბევრს გეთიღს არას მოელი, შენი მყობად გეთიღ მიმართულობაზე მაინცა ჰფიქრობდე! დაჰხედო მაინც, ნეტავი, შენს შვილებსა, როგორ იზრდებიან, როგორ უნდა გაიზარდნენ, რა გზით არის შესაძლებელი იმათი გეთიღი წარმართული აღზრდა, გისი ვალდებულობაა ეს საქმე, რათ არი ესე უზრუნველათა ამ საქმის აუ-

სრულებლობა ესეთს ულირსობაში, მიზეზსა, მიზეზის მიზეზსა რა ტომ არმოიქებნი? მაგრამ, აბა, რა გენაღვლება! ყოველსა ამა ფიქრობა უნდა და ფიქრისათვის კი . . . რომ არ გენაღვლება! თუ გენაღვლება, რაში ეტყობა?!

თუნდაც რომ გენაღვლებოდეს კიდეცა, მაინც რომ არ შეიძლება . . . რათგანაც ჩემს კალამს იმოდენი ძალა როგორ უნდა მოეთხოვებოდეს, რომა შესაბამი ცნობის-მოყვარეობა განგიღვიძოს, ქართველობავ,—ესეც იმოდენათა, რომა კაცობრივი ლირსებით გაჩაღვლებინოს ვრცლათა შენს კერძობით საქმეებზედაცა, საზოგადოებისებზედაცა და მთელი კაცობრივობისებზედაცა! ეჰ, ან ეს რა გენაღვლება!

დედა-მიწის ზურგზე, ამ კაცების საცხოვრებელში, სადაც ხალხების განკვლევა კი არეულ გადარეულია და საჯელმწიფოები კი ღვთაით ჯერ გარეგანობით მაინც—რიგიანობაზე დგანან,-ჩვენ დროში ერთმა დიდმა ალრეულობამ იტალიისამ რაღაცა ნაციონალობის, ხალხობის აზრი წამოაყენა წინა, რომლის მოთხოვნილებასაცა, მკითხველო, ჯეშმარიტი თერგ-დალეულობა ეტყობა. ყოველს საზოგადო საჩაღო ალრეულობასა, საკვირველია, რომ უთუოდ ამ გვარი რამე მოსდევს ხოლმე თანა. საკვირველია, რა ეშმაკი და ქაჯი დაუენებს ხოლმე თითქო ამ გვარ ბოროტობასა (მთელი ხალხის ალრეულობა ბოროტობაა, მაშ რა არის?!) საძართლიანობაზე და თითქო დიდ განმაცოცხლებელ აზრებს რათ ურდა შემოიტანდეს ხოლმე კაცობრივობაში?! საკვირველია, ხან და ხან კაცობრივობა გაჭუვება ერთ ორ ჭირვეულ კაცებსა, დაიყენებს ხოლმე რასმე და მანამ თავის გასაოცარ უჯიათობას, თავის ჭირვეულ გულის წადილს არ ასრულებინებს ხოლმე, არ მოეშვება ხოლმე, არა და არა!.. ამისი განმარტება და დაწვლილებაში შესვლა ძალიანაცა მსურდა, მჯითხველო, მაგრამ . . . შენ რომ არც ეს გენაღვლება! აბა, რა გენაღვლება, განა?

თუნდაც რომ გენაღვლებოდეს კიდეცა, რომ არ შეიძლება!.. რათგანაც ჩემ კალამს იმოდენი ძალა როგორ უნდა მოეთხოვე-

ბოდეს, რომ შესაბამი ცნობის — მოუკვრელობა განგიდგეიძოს, ქართველობაც, — ესეც იმოდენათა, რომ კაცობრივი ღირსებით განაღვლებინოს ერცლათა შენს კერძოობით საქმეებზედაცა, საზოგადოებისებზედაცა, და მთელი კაცობრივობისებზედაცა! ეჰ, ან ეს რა გესაღვლება! . .

კარგათ, დაწვლილებით რომ ყოველის თვერში მიზეზებს მოიკითხამდე ხოლმე, იქნება, ბევრი იმაზე უფრო საანაღვლო იყოს: რაგორც კაცი რომ იხჩვებოდეს, ან შიმშილითა კვდებოდეს, რათგანაც ეს საანაღვლებელი საგანი შესაძლებელია კერძოობით შენ კეთილ მდგომარეობას შეეხებოდეს, ან საზოგადოობისას, ან კიდევ მთელი კაცობრივობისას. მაგრამ, ეჰ, აბა, ერთი მითხარი, რა გვანაღვლებს?!

ჩვენი საუკუნისათვის დიდი მნიშვნელობის ხალხმა, ჩვენგან ძალიან შორსა, ვიქით საღაც ამერიკაში მცხოვრებელმა, წასული საუკუნის დაღეკაში, ევროპიდამ გადავარდნილებისაგან შემდგარმა, თავისი საზოგადოების დაარსებაში თავისუფლების მოთხოვნილებაზე წესდებულება დაიმკვიდრა. იმ ხალხის ერთობის დარღვევა შეუძლებელად ირიცხებოდა. ესლა კი იმ ხალხსა რაღაცა განხეთქილება მოსვლია. აბა, რა გვანაღვლებს, მკითხველო?! მაგრამა, მოამითმინე, რომ უფრო გაკაპასებით ამოგათქმევინო ეგ შენი ყოველად ერცელი უნაღვლობა, რაც კი შენ, კერძოობით შენ, შენთვის ცხადად არ შეგეხება! იმ ხალხის მოამტკბულ ნაწილში თურმე თავისებური ბატონყმობა ე. ი. ბატონ მონება არის. მონებად არიან ძველადვე იქა მცხოვრებნი, რომელნიცა სულ სხვა თვერის კაცები არიან, თურმე გაშავებულნი და უთუოდ სისხლიც დაბალი ღირსებისა უნდა ჰქონდესთო. ამათა სხვები-ჩვენი მსგავსი კაცები ისე ეკიდებიან, რაგორც საქონელსა, ხარსა, კამბეჩსა და სხვა ამ გვარ ნივთეულობასა: გაჰყიდიან, იყიდიან, მოლტითა და ხან გეტებითაცა ჰსცემენ . . . ერთი სიტყვით საკუთრებათა ჩვენთ . . . ვის რა დავა აქვს თითქო...თავის საკუთრებას კაცი რასაც უნდა, იმას უზამს! განა, მკითხველო? ჰო, იმ ხალხის მეორე საწილსა არა ჩქონდა ამისთანა წეს-

დებულება; იმათში ერთ კაცსა მეორე კაცი, როგორი თვერისა და როგორი საეკვო სისხლისაც უნდა ყოფილიყო, მაინც არ შეეძლო მონად ყოლია. ამასა საზოგადოდ კაცის თავისუფლება მოითხოვსო. ამის მიხედვით კაცის მონება ჭსძაგდათ და ამბობდნენ, რომ ჩვენ ხალხს ეს წესდებულება ამდაბლებსო და უნდა გადავაგდოთო. მონების ბატონებსა ამაზე მეტი ალარა უნდოდათ რა, რომ ეს იმათი სიმდიდრის წყარო გადაეწყვიტათ, და თავისთვის უსამჯობინარეს სხვას ვერას მოიგონებდნენ, აიღეს და თვითონ განეშორნენ თავის ხალხსა და თვითონ ცალკე საზოგადოების შერდგენა მოინდომეს, თავისი ცალკე ყოველად დაუმოკიდებელი მართებლობითა. იმ ხალხის კანონიერმა მართებლობამ ეს უკანონო ქცევა ხალხის ერთი ნაწილისა მორჩილობაში ძალით მოქცევა ირჩია და ძალით, ე. ი. მთელი ხალხის მოთხოვნილებით უნდა აესრულებინა საზოგადოდ სახალხო სამართლისაგან ალმოსაშობი სურვილი. საშინელი განხეთქილება მოიტანა ამან იმ საზოგადოებაში და საშინელი შიგნეული ბრძოლა ახლა, მგითხველო, ეს საქმე რა მდგომარეობაშია, რა მნიშვნელობა აქვს ამ საქმესა, შენ რა გესმოდება ?! ამისი დაწვლილებითი მბობა რათ გინდა ?

საგ არის მაგალითი ცნობის მოუკარებლა, ოხვრით იტყვიან დარბაისელნი, მცოდნენი, გამოცდილნი პირნი და რათ გვინდა მაგალითი ცნობის მოყვარებლა, იტყვიან დასარჩენნი! ეჰ, რა გესმოდებათ! თუნდაც რომ გესმოდეს კიდეცა, მაინც რომ არ შეიძლება . . . რათგანაც ჩემ კაცამს იმოდენი ძალა როგორ უნდა მოეთხოვებოდეს, რომ იმოდენი ცნობის მოუკარეობა განგიდევიძოს, ქართველობავ, რომა კაცობრიების ლირსებით განმდგომებინოს კრცლად (ე. ი. სიდვლობის დაკმაყოფილებამდინ) შენ კერძობითს საქმეებზედაცა, საზოგადოებისებზედაცა და მთელი კაცობრიეობისებზედაცა! ან ეს რა გესმოდება! ეჰ, ან ამისი რა გესმოდება! ნუ რა გესმოდება რა, ნუ რა გესმოდება რა!!. . .

დ. ავ . . . ი.

სეგირიდონის და თადეოზის

ბასა.

(1861 წ. 15 თებერვალსა).

—ჩემს სეგირიდონს გაუმარჯოს! მადლობელი ვარ ჩემო სეგირიდონ, რომ ხანდახან მაინც მოგმხედავ ხოლმე. ეოჩალ, ეოჩალ! ჩემი ძმის კეთილი გული შენ გამოგეკვა; არა გევხარ ზოგიერთს ძმის-წულებსა. დაბძანდი ჩემო სეგირიდონ.

—როგორ მშვდობით ბრძანდებით, ბიძა ჩემო?

—კარგად, კარგად გახლავარ; თქვენ როგორღა გეგითხოთ?

—მე, ჩემო თადეოზ, მადლობა ღმერთსა, კარგადა ვარ; მაგრამ ამდენ საქმეში ვარ გაბმული, და ვერ ვიცლი, რომ უფრო მალე მალე გნახო ხოლმე,—სახლია, კარია, ყველას გაძღოლა უნდა, როგორც მოგეხსენება მარტო-ხელი კაცი ვარ, ვსცდილობ სუეოველიფერი ხერხიანად მოვიყვანო. ვსწუხვარ, ჯეშმარიტად, რომა ასე იშვიათად შემემთხვევა ხოლმე თქვენთან ბასი. თქვენ ხომა მაგ მუთაქასა და ტახტს არ მოშორდებით მოხუცებული კაცივითა და.

—მოხუცებული არა ვარ, ჩემო საყვარელო სეგირიდონ, მაშ რა ვარ? ალა-მალომედ-ხანის დროსა ბარე ორი წლისა ვეოფილვარ, როგორც იტეოდა ხოლმე დედა ჩემი; და ხუმრობა ხანია მას შემდგომა? მაგრამა ესეც კი უნდა მოგახსენო, კვეხნაში ნუკი ჩამამართმევ, რომა ზოგიერთს ახალ-გაზდებსა კიდევცა ვეჯობივარ ხალისითა და ეხნეობითა.

რასაკვირველია, გვემჯობინებით: ისე თავისუფლათა და უდარდელად გაგიტარებიათ თქვენი დრეობა. ეხლა ჩვენ ბევრი თეიქრი გვაწუხებს, მრავალი სხვა და სხვა საჭირეობა გვაქვს, მაშინ როდესაც თქვენა გმაყოფილი იყავით თქვენის შეძლებისა, ეხლა ჩვენთვის ის საგმაო აღარ არის; რითაც თქვენ უწინდელ დრეოში ნებიერობდით, ის ჩვენთვის ეხლა ნაკლებულობაა, ერთის სიტყვით დრეობა შეიცვალა. სურვილი ბევრი გვაქვს, მაგრამ შეძლება კი არა,-და ამისათვის ვცოდვილობთ, ჯავთასა ვსწევთ და როდესაც ვერათვერს გავხდებით ხოლმე, დავანებებთ თავსა, დაღონებულები, გულ მოწყვეტილები და შეუდგებით კიდევ მეორე თეიქრსა. ეს ჯავრი ჯ ეს თეიქრი უდრეოდ გვაუძლურებს: აქ ან შვილი წამოგეზრდება, ან ძმა და ახლა იმათ სწავლა უნდა, და ათასი ცოდვილობა რეოგორცა სთქვა ვილამაცა:

«ეს სოფელი სამყო ძნელი, მჩვენებელი ჯმუნვის ალთა,
გიშვებით მეისვე ვსტირით, ვით წინათ მგრძნი მოამავალთა
მოვიზრდებით, |წიგნის კითხვით, არ გაგვიშრობს მწრთვნელი
თვალთა;
ჟამი გვეტყვის, იგი გვიძახს, შეუდექით სიბრძნის კვალთა.

ასაკს შევალთ მაშინ ახლად ჭირი უფრეს გვემატების:
თვალი გულს ჭსცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას
ემსჭვალების,
სახე რამე საყვარელი დაგვატყვევებს თვისებრ ნების,
და ვლახ შეგვქმნის პატიმარად, მკვნესარად, მთქმელად ვაების.

ოდეს შევალთ ხანსა სრულსა მაშინ ვლავცა სხვა გვაქვს წუხვა,
არა ვემარობთ საგმაოთა, ნდომა ჩვენი უხმო უხვა,
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელი, განთქმა, ქუხვა,
რა ვერ ვპოებთ საწადელსა, შეგვექმნების შურით ჯმუხვა.

ოდეს წელთა ტვირთის ზიდვით ქედსა მშვილდებრ მოვიხრებით,

ფოკელთაკე მოკსძაგდებით, ზნე გვეცვლებს გრძნობის კლებით,
სიკვდილისა წინამძღვარად მოვლენ ზეცით, მახვილებით,
მათგან ერთი გვცემს და გვეტეკის: «ახით ნაშნო, მოკვდით
ვებით».

—ეჰ, ჩემო სოფირიდონ, მაგას რომ გამოვდგომოდი, ერიჭა, ა-ქამდისინ ხსენებაც ალარ იქნებოდა ჩემი. მაგრამ აი მხედამ ჩემის გულ-გრილობითა, ასე მოუარე ჩემს თავსა, რომა ეხლა ჯანზედაც კარგათა ვარ და ლონეზედაცა. არა, ხალისიც ძრიელა მაქვს, მაგრამ, ვაი ჩემს უბედურებასა, ცოტა ამ სიბერის დროსა თვალებმა მიღალატეს, სათვალეებსა ვხმარობ, მაგრამ ისე ცხადად ველარ ვარჩევ ასოსა წიგნში, როგორც ამ აი‍ის წლის წინათა. უწინ ისე ჩავკრიალებდი ხოლმე დავითნსა, დაუჯდომელსა, სახარებასა და სხვა სალმრთო წერილის წიგნებსა, რომა თვალს არ დავხამხამებდი, ეს რამდენიმე წელიწადია ძრიელ მიჭირდება. სიბერე ძნელი ყოფილა. აი, ეხლა, ცისკარი მამდის, მინდა ხოლმე ჩავიკითხო, გავიგო რამე ქვეყნიერებისა, მაგრამ ზოგიერთს ადგილასა ძრიელ ჭრელად მეჩვენება ხოლმე სტამბა, რაღაცა სხვა და სხვა ნაირად არის არეული; ზოგან კი, ვკითხულობ ძლივ-ძღიობითა ჩემი სათვალეების შემწეობით. კვეხნით არ მოგახსენებთ და უწინდელს დროში ჩვენა ხარის ბეჭზედ ბატის თვითა ასეთი გარკვევითა ვსწერდით ხოლმე, რომა ბრმაც წაიკითხამდა.

—სწორეთ მართალსა ბრძანებთ, მაგრამ როგორც იყოს მოვითმინოთ და ცისკრის რედაქტორი აგერ გვპირდება ახალი ასოები მოგვიკაო და მაშინ . . .

—დიაღ, დღეგრძელი ხარ,ჩემო სოფირიდონ, მე მინდა მოგახსენებია ეგა. მოუთმენლად ველი. კარგი სხვილი ასოებით, რო იყოს დაბეჭდილი, ხანდახან უშენოთაც წავიკითხამდი ხოლმე. ეხლა კი, ვიდრე მოგვიკიდოდეს, ჩემო სოფირიდონ, ნუ დამზარდები, გადმოარბინე ხოლმე ერთს წუთასა და განრკვევით შემატყობინე ხოლმე ქმაგ ცისკრის ამბავი. ზოგჯერ, როდესაც ასოებს ვარჩევ, ამბავს ველარ მიგხვდარვარ; ამისათვის, რომა როგორღაც ჩვენებურად ალარა

სწერენ. ჩვენ უწინდელ დროში თითო სიტყვასა ოროლ მწერტილს დაუსვამდით ხოლმე და ეხლაკი სიტყვები ერთი ერთმანერთზედ არის მობმული და რომ ველარასოვერს ვიგებ. რასაკვირველია ამითი ბევრს გაწუხებ, მაგრამ, რა ვქმნა, უმაწვილი კაცი ხარ, რა გახდება რო ბერიკაცი ბიძისათვის შესწუხდე. და ამისათვის უთვრო გიბედამ ამ თხოვნასა, რომა შენც როგორლაც გიყვარს ახლანდელი ამ ყურნალის კითხვა და ეს მწერლობა.

—მაგაზედ არ დაგზარდებით, მაგრამ მე მიკვირს, აგრე გეხალისებათ წიგნის კითხვა თქვენა! მგონია უწინდელ ხალხსა არა გყვარებიათ აგრე რიგათა, რასაკვირველია, საძლრთო წერილ გარდა?

—ეგ ტყუილად გაგიგონია. ყოველთვის ვკითხულობდით ხოლმე წიგნებსა, როცაკი გვეცალა: ვეფხვის-ტყაოსანსა, ბეჟანიანსა, ყარამანიანსა, ვისრამიანსა, მოურავიანსა და სხვებსაცა, განა ცოტა გვქონდა ხელთ-ნაწერები? ეხლა კი სხვა და სხვა სწავლა შამოვიდა, სხვა და სხვა ნაირი მწერლობა. რო ალარა კადრულობს ახლანდელი ხალხი ამ წიგნებსა, რომელსაც ჩვენ დროში ისე მომჯინედ სწავლობდნენ ზეპირათა, მეტადრე ქალები. მაგრამ უნდა მოგახსენო, რომა ყოველისთვერს თავისი შემოდგომა და გაზაფხული ‖ქონია, თავისი დრო და ჟამი, და ყოველ დროებსს თავისი შესაფერი სწავლა და ყოფა-ქცევა. კარგა მოზრდილი ვიყავი, როცა შკოლაში მიმაბარეს, შენც გაგეგონება, რასაკვირველია, და დამაწყობინეს რუსული კითხვა, ქართული წიგნი და წერა კი შინ ვისწავლე, შემდგომ სამსახურში ვიყავი ცოტას-ხანსა, როგორლაც ვერ შევეჩვიე ჯარში სიარულსა და მასუკან სახლ-კარობას შეუდექი. კარგად კი ვსცხოვრებ, რაც შეეფერება ჩემს ხარისხსა, მაგრამ ძნელი ეს არის, რომა სიუმაწვილით სწავლას არა დავდიე რა, რადგანაც შინაურს საქმეში ვიყავი გართული, და როდესაც მოვბერდი და ჩანჩალი ალარ შემიძლიან, ეხლა კი რალას მოვეწევი; და ასე ჩამოვრჩით, მეცა და ჩემი ამხანაგებიცა მრავალნი, სწავლასაცა და წუთისოფელსაცა და დავრჩით ტოროლა ჩიტივითა მინდორში. ყველა წინ მი-

დის, ყველა სწავლაშია, ერთი ბეწვა ბავშვები კვერცხში გამოწვიანნ, აქეთ გაზეთებსა კითხულობენ, იქით წიგნებსა. ჩვენცა ხან ალარა ვკადრულობთ, რომა იმათში გავერიოთ და ხანდახან თუ ვკითხამთ რასმე ემაწვილ კაცებსა, რასაც გვეტყვიან, მეტი რალა ღონია უნდა დაკიჯეროთ; ჩვენი განმსჯელობა ახლანდელს სწავლაში დამდგარია. აი, ეხლა ამ ციხეის ყურნალში ბევრს წავაწყდები ხოლმე ისეთს სიტყვებსა, რომა არ მესმის, ჩვენი უწინდებური რუსული ალარა სჯრის, და საშინლათაც მეწყინება ხოლმე, რომა რათ უნდათ იმ დალოცვილ მწერლებსა ამდენი რუსული სიტყვები, რო ლაპარაკში და წერაში ხმარობენ? ალარც ჩვენებურ ქართულ ენაზედა სწერენ, რალაცა ანლრეკაში არის ხალხი, მეტადრე ამ წვრილ თვეხობამ გააჯირა საქმე, ამ ემაწვილმა ხალხმა, ნურას უკაცრავად კი თქვენთანა, ჩემო სოკრატეს, ნახამთ ვინც მოესწრობით სადამდისინ მიგა ეს ენის არეულობა, ბაბილონიის გოდოლის აშენება იქნება სწორეთ.

—რა ვქმნათ, ბიძა ჩემო, უნდა ყოველითვერი გავიგოთ, თორემა თქვენ რო ბრძანეთ, ჩვენც ისე ჩამოვრჩებით დროებასა. დრო გვითხრობს ისწავლეთო, და ჩვენცა ვსწავლობთ. ამ სწავლაში, ჩემო თადეოზ, სხვა და სხვა აზრები გვესმის, სხვა და სხვა ქვეყნების ენაზედა, შემდგომ გვსურს ის აზრი ქართულათა ვსთქვათ, ე. ი. გადმოვიტანოთ იმ ხალხში, რომელსაც ჯერ თავის სამშობლო ენაზე ნათქვამი ის აზრი არ გაუგონია, და ამასობაში, ალნაქვსი ქართული ენისა იცვლება ჯ ამას და გარდა უცხო ქვეყნის სიტყვები შამოდის ხმარებაშია; უამისობა არ შეიძლება, ერთს მხარეს უნდა დაიკლო, რომა მეორე მხარეს შეიმატო.

—ახირებულია,თქვენმა მზემა! განა არ შეიძლება ენის გამოუცვლელად, ქართულად, ჩვენებურად ვსწერთ კიდეცა ჯ ვისწავლოთ კიდეცა? თუ დაკვირდებით სიტყვები ამდენი არის, რომა ამიერ უკუნისამდე გეყოთვათ. მაშ რას აკეთებდნენ ჩვენი წინაპარნი თუ სიტყვებსაც ვერ მოიგონებდნენ? აი ჩუბინოვის ლექსიკონი იხმარეთ, იქიდგან ამოარ-

ჩიეთ სიტყვები და ეოველისფერი ხერხიანად მოვა, თუ არა და მოდი გამოფრანცუზე ეხლა, რალადროს ჩემი გაფრანცუზებია?

—სიტყვა მრავალი გახლავსთ, ჩემო თადეოზ. ძრიელ ბევრი, მაგრამ, რა ვქნათ, რომა იმ სიტყვებსა დაუმატებლად ბევრჯელ არ შეუძლიათ ზოგიერთი აზრის გამოთქმა? მე რასაკვირველია იმ აზრის გამოთქმაზედ არ მოგახსენებ, რომელიცა ჩვენი ხალხის გონებაში დაბადებულა როდესმე, როცა დაიბადებოდა ის აზრი, უეჭველია მაშინვე იმ აზრის გამომხატავი სიტყვაც მაშინვე ალმოჩნდებოდა, და იმ გვარი სიტყვა და აზრი ჩვენ, ქართველებმა, უნდა უთუოთ ვიცოდეთ; მაგრამ როგორ მოვაგვაროთ საქმე მაშინა, როდესაც სხვა უცხო ენაზედ შევიტყეთ რომელიმე აზრი და გვინდა ის აზრი ქართულის ენით ვსთქვათ, და სხვასაც შევატყობინოთ. და თუ ამ შემთხვევაში არ ვიხმარებთ იმ აზრების გამამხატველ სიტყვებსა, უნდა დავანებოთ თავი და დავრჩეთ გაუგებელი და უმეცარი. მსწავლული არავინ დაბადებულა, ყველანი ერთი ერთმანერთისაგანა სწავლობენ, ერთი ხალხი მეორე ხალხისაგანა სწავლობს. ესრედ საბერძნეთი როდესაც აიკლეს ოსმალებმა, ბერძნები მრავალი რიცხვი გაიფანტნენ და გავიდნენ დასავლეთ ევროპაში, და გაიტანეს სწავლა; როდესაც სწავლა გაძლიერდა იქა, იქიდგან შეიძინეს დანარჩენმა ევროპის ხალხმა. რასაკვირველია საბერძნეთიდგან გატანილმა სიტყვამ შემოიარა ევროპა და თითო თითოთ გადმოდის აზიაშიაცა. და რა იქმნებოდა მაშინა, რომ იმ ხალხს, დასავლეთის ევროპისას, ეთქვნა: აი ეს პოეზია არ არის ჩვენს ენაზედაო, ეს პროზაო, ეს ტრაგედიაო, კომედიაო—და სხვანი და გაჩერებულიყვნენ ამაზე გულ-ხელ დაკრეფილები; ან შეგონმოდნენ იმათ თარგმნასა ან ახალი სიტყვების მოგონებასა, უეჭველია ამიერ უკუნისამდე იმას მოუნდებოდნენ და დარჩებოდნენ უსწავლელნი. ან კი რა წახდა რუსულ ლიტერატურაში იმითი, რომ ხმარობენ მრავლისაგან უმრავლესს ლათინურსა და სხვა დასავლეთი ევროპის ხალხის სიტყვებსა აზრის გამოსათქმელად? მაგრამ შორს რათ მიგდიგართ, თვითონ ჩვენ კი ცოტასა ვხმარობთ

აქამომდისინაცა თათრულს სიტყვებსა, და არა გძრახვინთ ერთმანერთსა, და არც სასაცილოდ მიგვაჩნია იმათი ხმარება. რამდენჯერ იტყვით ყოველ ცისმარე დღე: უზბაში, მინ-ბაში, სარდალი; ჩიხირთმა, ბოზართმა, ყაურმა, ტოლმა და სხვაც მრავლისაგან უმრავლესი, რა საჭირეა ჩამოთვლა. ამას და გარდა რამდენ რუსულს სიტყვასა ვხმარობთ ეხლა, რომელნიცა სრულიად ალარ გვეჩოთირება, და ვხმარობთ ისრე როგორც ჩვენს საკუთარს ქართულს სიტყვასა: «სტოლი, სამოვარი, სალთეთქი; კანცელიარია, სუდი, პალატა, კანტორა, სენატი, სინოდი; ჩინი, ჩინოვნიკი, ათიცერი, პოლკოვნიკი, გენერალი და სხვანი. ყოველ ქვეყანაში ასრე იქმნებოდა, ჩემო თადეოზ, ვიდრე არ შეეჩვეოდნენ უცხო სიტყვასა, უეჭველია, იმითვისაც საჩოთირო იქმნებოდა. ამის დასამტკიცებლად წამოგიდგენ ბელინსკის სიტყვასა, თუ რუსულ ენაზე არ წაიკითხამ ორიოდე აზრს გადმოგითარგმნით ქართულათა და თვითონ თქვენ გაშინჯეთ, რა წინააღმდეგები ყოფილან რუსეთის მწერლები უცხო ქვეყნის სიტყვების ხმარებისა: თუ ჭკუაში დაგიჯდესთ დამეთანხმენით; და მე კი ჩემის მხრით სრულიად არა ვარ ამის წინააღმდეგი.

«. . . . . ილაჯი იყო გაწყვეტილი რუსულში ახალი სიტყვებისა, — მომატებულად უცხო ქვეყნის სიტყვებისა და ლაპარაკის კილოების შემოტანისაგან; მაგრამ რომელი ახალი ცვლილება შამხდარა ილაჯ გაუწყვეტელად, და სასაცილო არ არის, რომა არ დაიწყო კეთილი საქმე უბრალო ლაპარაკის შიშითა? რალა საჭირონი იქმნებიან ექიმები, თუ ავად-მყოფებს არ უწამლებენ, იმისი შიშითა, რომა წამლებით უფრო ცუდად არ შეიქმნენ ავად-მყოფები? საქმეში რო მხოლოდ შენიშნო რამე შეცდომილება ეს ჯერეთ იმის დამტკიცებას არა ჭნიშნავს, რომა მთელი საქმე არის ტყუილი და არა მართალი. მოქმედებს ხალხი, მაგრამ დროება კი ასრულებს ყოველის თვერსა. რასაკვირველია ეხლა სასაცილონი არიან ეს სიტყვები: «ვიკტორია, სენსაცია, ინდივიდუალ (ალალება), და სხვანიცა ამათი მსგავსნი. სასაცილო იქმნება რომ დაიწეროს: «ალლო-

ყენიის» მაგივრად «ადდიცია»; «ვიჩიტანიის» მაგივრად «სუსტრაქცია»; «უმნოყენიის მაგივრად «მულტიპლიკაცია»;«დელენიის» მაგივრად «დივიზია»; ამ ზემო ხსენებული სიტყვების ხმარება და შემდგომი სიტყვების ხმარება დაიწყეს ერთს დროში, — «გენიი, ენტუზიაზმი, ფანატიზმი, ფანტაზია, ოდა, ლირიკა, ეპოპეია, ფიგურა, ფრაზა, კაპიტელ, ფრონტონ, ლინია, პუნკტ, მონოტონია, მელანხოლია» ⁄ სხვანიც მრავლისაგან უმრავლესი უცხო ქვეყნის სიტყვები, მაგრამ აქამომდისინაც დიად ჩინებულად იხმარებიან რუსულ ენაში და ამისთვისაც ალარ არიან სასაცილონი, გასაოცარნი და შეუგნებელნი. ხალხი განურჩეველად ხმარობდა ახალ სიტყვებსა, მაგრამ დროებამ გარდაწყვიტა—რომელი სიტყვა უნდა დარჩენილიყო ენაში ⁄ ხმარებულიყო და რომელი უნდა გადავარდნილიყო ხმარებიდგანა; მაგრამა ამ ახალი სიტყვების შემომტანებლებმა არ იცოდნენ ⁄ არც შეეძლოთ სცოდნოდათ ესა. შიშკოვს (*) არ ესმოდა, რომა კიოლოსა და სამარადისო კანონებს გარდა, ენას აქვს კიდევა ზოგი ერთი უხიაკობა, (ხასიათი), რომელის წინააღმდეგობაცა სასაცილო არის; იმას არ ესმოდა, რომა სიტყვის ხმარებასა აქვს უფლება სრულიად გრამმატიკის თანა-სწორი, და ხანდახან გრამმატიკასაც აჯობებს ხოლმე, თუმცა საქმე აშკარად აჩვენებს, რომა გრამმატიკის წინააღმდეგი არის. ჩვენა გვაქვს სიტყვა, ტ ო რ გ ო ვ ლ ი ა (ვაჭრობა), რომელიცა სრულად ამბობს თავისს აზრსა; მაგრამ იპოვნეთ ერთი ვაჭარი კაცი, რომელსაც არ ესმოდეს და რომელიც არა ხმარობდეს სიტყვასა, კომერციასა, თუმცა ეს სიტყვა ყოველის სიმართლით სრულიად მეტი არის. ამის და გვარად იპოვება მრავალი ნაშდვილი რუსული სიტყვები, რომელნიც არიან სრულიად დავიწყებულნი და უხერხულნი სახმარებლად . . . . . »

« . . . . . პირველი მიზეზი, ახალი სიტყვების ლაპარაკში შემოტანისა, გამოგრებილისა თავისის ან სხვის �idgan, ა-

(*) ეს მწერალი საშინელი წინააღმდეგი და მტერი ყოფილა უცხო ქვეყნის სიტყვებისა, და არც უხმარია თავის დღეში ერთის სიტყვის მეტი «პოპუგაი (თუთიყუში), რომელსაც დაარქვა თავისებურად «პეტრეკლიტკა».

ბის გაცნობა ახალი აზრისა (ან საგანისა); და უეჭველია თუ საგანი არ არის, არც სიტყვა იქმნება იმის გამოსახატავად; თუ აღმოჩნდა საგანი—საჭიროა არის სიტყვაცა, რომელის შემწეობითაც ის უნდა გამოითქვას. ჩვენ გვეტყვიან, რომა აზრი, საგანი ჯ სიტყვა ერთად უნდა დაიბადნოანო, ამისათვის რომა სიტყვა უაზროდ და აზრი უსიტყვოდ ვერ დაიბადებიან. ეს სრულიად მცრთალი არის: მაშ რა უნდა ჰქმნას, თუ მწერალმა აზრი ანუ საგანი იცნო სხვა უკვე ქვეყნის სიტყვითა?—უნდა იზოგნოს სიტყვა თავის ენაზე, ან შეარდგინოს ახალი სიტყვა, იმისი შესაფერი?-ამას ბევრნი სცდილობდნენ, მაგრამ, ბევრნი მათგანნი ვერას გახდნენ . . . .

. . . . . »

«. . . . . რუსის გლეხი კაცებისათვისა «კუჩერი» ნამდვილი რუსული სიტყვა არის; და «ვაზნიცა» ისეთი უცხო, ქვეყნის სიტყვად მიაჩნიათ, როგორათაც «ავტომედონი». ამ სიტყვების სათქმელად: «სოლდათი», «კვარტირა» და კვიტანცია» ასე გაშინჯე გლეხიკაცებსა არა აქვსთ ამაზედ კარგად გასაგონარი და ამაზედ უკეთესი რუსული სიტყვა, როგორც სოლდათი, კვარტირა ჯ კვიტანცია. რა უნდა უყოთ ამასა? და შესაწუხრად კი ლირს ესა? რაგორი სიტყვაც უნდა იყვეს ჩვენი თუ სხვისა, ოღონდ კი შეეძლოს გამოთქმა იმ აზრისა, რომელისათვისაც არის გამოსახული,— . და თუ სხვის სიტყვა უკეთესად იტყვის აღნიშნულს აზრსა, გაიგრე ჩვენი, გვიბოძეთ სხვის სიტყვა და ჩვენი წაიღეთ საკუჭნაოში სხვა და სხვა ძველ-ძველებთან შესანახავად . . . . . »

თანახმა ხართ ამაზე, თავდაზ, თუ არა?

— რა ვიცი, რა მოგახსენო, იმდენი ოლაპარაკე, რომა კინაღამ დაშეძინა; ყურის-გდება მიყვარს, მაგრამა არც აგრე გაჭიანურებული გარგა. მაგრამა წელანგე მოგახსენე მე ძრიელ ჩამოგრჩი მეთქი დროებასა, რასაკვირველია შენს სიტყვას დროება გაამართლებს.

—ბელინსკის თქმისა არ იყვეს, ეხლა რო შეუდგეთ იმის თქმასა, რომა «სტოლი» სხვა ქვეყნის სიტყვა არისო და დაუწყოთ ლექსიკონებში ძებნა, რა ჰქვიან და ან უწიან რა რქმევია, ძალიან

შორს მოგვივა. აი თუ გინდა სამაგალითოდ გადმოგშალოთ ეს ჩუბინოვის ლექსიკონი და ვნახამთ მე 1043 გვერდზედა: «ст лъ» რთ ულად არის: ტაბლა, მაგიდა, ტრაპეზი, სტოლი, სუფრა, საქნოვაგე და სხვანი. აბა რომელი ერთი მიუდგება ამ სიტყვასა? ხალხში რომ ვსთქვათ: სტოლი და მაგიდა, რომელს უფრო მალე გიგონებენ? მე მგონია სტოლი უფრო მალე გაიგონონ რაც არის, ვიდრე მაგიდა. მაშასადამე უნდა დაუმახოთ ისრეკ სტოლი ან კი რა წუნი აქვს? ისიც შეიძლება ვითქროთ, რომ მაგიდასა იქნება ისეთი გარეგანი ფიგურა არა ჰქონდა, როგორიც აქვს ახლანდელ სტოლსა, თორემ რომ ყოფილიყო იმისი მსგავსი მაშინვე. როგორც ბირველად დაინახამდნენ ქართველები სტოლსა, მაშინვე მაგიდას დაუმახებდნენ; ალბათ განსხვავება იყო რამე სტოლსა და მაგიდას შორის. აი, თუ გსურსთ ავიღოთ კიდევ მაგალითად «სამოვარი». ლექსიკონი ამაზედ სრულიად არაფერს არ გვეუბნება, ვსთქვათ, ჩვენ ბირველათა ვნახეთ; აბა რა დავარქვით, თავდაზ, სამოვარსა? ქვაბსა და ქოთანს არა ჰგავს, არც ქილასა, არც თუნგსა და არც ალთაფასა. მაგრამ ჩვენ გვითხრეს რომ სამოვარი ჰქვიანო; რა უჭირს სამოვარი ერქვას ისევა. და თუ გინდ მოვიგონოთ ან დავარქვათ სხვა სახელი, ვის უნდა დავასწავლოთ, რადესაც ყველამ იციან იმისი სახელი. უნდა დავსწერეთ ქალაქდზედა და დარჩება ისე უხმარებელი, როგორათაც შიშკოვის «ბერეკლიტკა», ამის მიზეზითა, რომ დიდმა და ბატარამ იცის იმისი სახელი, კარგად იციან რა არის იმისი ტრუბა და კრანტი.

—ეგ ვსთქვათ, ჩემო სიყვარულნ, რაც არიან მაგათ რალა გაეწყობა, მაგრამ ახლა მაინც სულარ მოგვიმატებენ, ძალიან ძნელია, ზოგჯერ ისეთი სიტყვა შემხვდება ხოლმე, რომ ასოების ჩათვლითაც ვერ გამამითქვამს. და მეტადრე ჩვენებურად ბრუნვაში ან კანკელობაში ვერ მიიხრეს—მოიხრებიან ხოლმე და უშნოთ არიან წამაშსხდარნი თხზულებაში. ეს წინაალმდეგია ენისა.

—დამერწმუნეთ, ჩემო თავდაზ, ისინიც რაც ახლა მოგვემატებიან უარესად საჭიროანი იქმნებიან. რით არიან უშნოანი არაბუ-

ლი სიტყვები ვეფხვის-ტყაოსანში; თქვენ როგორცა ჰფიქრობთ მაშ რუსთაველის თხზულება დამცირებული იქმნება? მაშ რუსთა-ველი ძრიელ დამნაშავე იქმნება არაბულისა და თათრული სიტყვე-ბის ხმარებისათვის. და თუ მაინცა და მაინც არ დამეთანხმებით, მაშინ ერთი ლონის-ძიება დაგვრჩება,—ერის ხუმრობას მოგახსე-ნებთ: უნდა მოვიშორეთ თავიდგანა ყველა სხვა ქვეყნის სიტყვები, ავიღოთ ცოცხი მივაგრეგოთ, მოვაგრეგოთ ჩალა-ბუღასავითა; ბო-ლოსა წინ გავიგდოთ, ბრეზა უკან მივაყოლოთ, ყურნალიცა, ტრა-გედია, კომედია, და ჩავიტანოთ ფოთში, ჩავყარეთ გემში და გა-ვისტუმრეთ: ზოგი საბერძნეთში, ზოგი იტალიაში, ზოგი რუსე-თში, ერთის სიტყვით საიდგანაც მოსულან და დავაყენოთ ყარაუ-ლები, რომა მეორეთ ალარ შემოგვეპარონ; მაშინ მოვრჩებით და მოვისვენებთ, ალარც ბასსი მოგვინდება და ალარც კრიტიკა. მაგ-რამ ეს უნდა გახსოვდეთ, რომ ვინიცობაა გავრეკოთ ჩვენი ქვეყ-ნიდგან ყველა სიტყვები, რომელნიც აქ დაბინავებულან და რომე-ლნიც კიდევაც აპირობენ დაბინავებასა, მაშინ ის უნდა წარმოვიდ-გინოთ თავალ-წინა, რომ ქართული ენა ეგვანება კალიისაგან მოჭ-მულ ყანასა.

—ეგ სასაცილო ხუმრობა არის, ჩემო სოფირიდონ.

—მაშ როგორ იქმნება, ან ერთზე უნდა დათანხმდე ან მეორე-ზედ. მე კი ამას მოგახსენებ, რომ ყოველის სიმართლითა სჯობს, რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭირო არის უნდა ვიხმაროთ, კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი, ყო-ველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედა, დავაკვირ-დეთ, გავშინჯოთ, შეუფარდოთ ჩვენს ამბავსა და ჩვენს აზრსა ჯ ამ შეფარდებით გავიგოთ რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუ-დი.—რასაკვირველია, მეც საშინელი წინააღმდეგი ვარ «ოსტროგე-ბისა», «ლინიებისა» და «ოზერობების» ხმარებისა; ეს მეტის-მეტი ახირებაა, რადგანაც ჩვენ ჩვენს საშობლო ენაზედაც კარგათ ვიტ-ყვით და გავიგონებთ კიდეცა კუნძულსა, ხაზსა ჯ ტბასა. მაგრამ ეს

სალაპარაკოდ არა ღირს, რადგანაც უმეტრებით მოსულია ამის დამწერსა, ვეჭრობ შემდგომ ალარ გაიმეორებს.

— არა, სთვირიდან, მე ხომ მაგას არ ვამბობ, მე სხვისაგანაც გამიგონია და ქართული ისტორიაც ამბობს, რომ ბევრს სხვა და სხვა ხალხს გაუვლია საქართველოში და დაუტოვებიათ ანბანებიცა და სიტყვებიცა, მაგრამ თვითონ ჩვენსავე საკუთარ ქართულ სიტყვებსა სცვლიან და გრეხენ რაღაც საირათა: ზოგი იძახის ასოები ალარ გვინდა, ზოგი იძახის ანბანი უნდა გამოიცვალოსო; ეს არ მოგვწონსო, ის მეტად გვიჩანსო, რაღაებსაც ამბობენ. ახა ღმერთო ჩემო! მაგრამ სამართლიანად დაუწერეს კრიტიკა ილია ჭავჭავაძესა, ისე ურჩევნია.

—ეგ არაფერი, ყველა თავისებურად სჯის. ყველას ნება აქვს კრიტიკისა, ყველამ უნდა სახალხოთა სთქვას თავისი აზრი, როგორა თქვიქრობს ამა და ამ საგანზედა; მათგანსა ზოგს გაანტყუნებენ, ზოგზედ დაეთანხმებიან, და ამასობაში სტატია გაიწმინდება და დადგება ისე როგორც უნდა ნამდვილად ყოფილიყო. და თუ ხმა არავინ ამოიღებს, მაშინ ყურის მგდებელმა რა ქმნას? და ეგ ასოები . . .

— ეგ მართალია, მაგრამ კრიტიკებით კი აამსეს ეს ყურნალი: გადაანბრუნებ კრიტიკა დაგხვდება. გადმოანბრუნებ მაინც კრიტიკა; ან რაზედა ცილობენ ეს დალოცვილები, განა ჩვენ არა ვიცით რა, განა ჩვენ არ ვიცინ, მაგრამ ჩუმათა ვართ, არც ქვეყანასა ვაწუხებთ და არც ვისმე ვაწყენინებთ. აი, ეხლა, რა ნაირად შეებნენ ერთმანერთსა: ჭავჭავაძე, ერისთავი, ნინეანა ჯორჯაძისა და ბარათაშვილი; რა ნაირად ებრძვიან ერთმანერთსა.

—ეგ არის კიდეც ძნელი, ჩემო თავდეზ, რომ ყველანი ერთმანერთის შეცდომასა გულ-გრილად უყურებთ; კიდეც ეგ არის ცუდი, რომ ყურს უკან კი ვლაპარაკობთ ერთი ერთმანერთის ცუდზედა და კარგს მოქმედებაზე. პირში თქმა კი ვერიდებით. აი, ეხლა, შორს ნუ წავალთ, ჩვენ ერთმანერთში ვსთქვათ, თქვენ რომ ხედავდეთ რასმე ჩემს ცუდს, შეცდომილს მოქმედებასა, არა გმარ-

თებთ, მოკალეთ არა ბრძანდებით, რომა მე თქვენ ძმის-წულსა, მიჩვენოთ ჩემი შეცდომა, და მითხრათ: ამას შენ ცუდათა სჯი, ამას ცუდათ სხადიხარ, აგრე არ უნდა მოიქცე, თორემა სხვა ბევრს უმცარსა კეთილი ეგონება ეგ შენი მოქმედება და მოგბაძებს შენნა და ამ გვარად, შენის მიზეზით, შენ შეცდომაშია და რომელიც კეთილი ჭკონია, უმეცრებითა, ბოროტად დაუბოლოდებ? არა, მოკალეთ გაქვსთ როგორც ჩემს მოუკვსსა, ძმასა და ნათესავსა, რომ როდესაც დაინახოთ ჩემში ბოროტება, უნდა სცდილობდეთ მომოეხრა ჩემში ის ბოროტება, თქვენის კეთილის დარიგებითა, რჩევითა და ტკბილის სიტყვითა. და თუ თქვენ გულ-გრილად დაუწყებთ ყურებასა, ჩემს შეცდომასა, მე, რადგანაც უმეცარი ვარ, ის თქვენი დაჩუმება თან-ხმობის ნიშნად მეჩვენება და სწორე გზაზედ სიარულის საცვლად, მე ბრუნდ გზაწვრილზედ ვადგევარ და ვინ იცის ის გზაწვრილი რა საშინელს ფლატეზე გადამაგდებს, და ვინ იცის, რამდენი სხვა ჩემისთანა უმეცარი კაცი მამდევს უკანა, თუ თავისი შეცდომით, ეს მეცნიერ კაცად მცნობენ ისინა. შეგშვენისთ თქვენა გაჩუმება მაშინ, როდესაც ცხადად ხედამთ ჩემს შეცდომასა? რატომ არ მამკიდებთ ხელსა და არ მეტუვით: ეგ გზა ცუდს ადგილს გაგიყვანს, ნუ მიხვალ აგრე, აი კაი გზა, რომელზედაც უნდა გაიარონ ყოველმა კეთილ-გონიერმა კაცმა. იქნება მე არც კი დაგიჯერო, მაგრამა, შესაძლო არის, რომ ჩემი მომდევართაგანი ოცში ერთი იყოს დამჯერო და გულის-ხმიერი და იმან დაგიჯერონ; მაშინ იმ ერთი კაცის კარგს გზაზე დაყენებისათვისაც თქვენ უნდა ხარობდეთ და კმა-ყოფილი იყვნეთ თქვენის თავისა.

- ვინ მოგახსენებთ, ბატონო, მაგასა? მე ეგ არ მამიხსენებია: რასაკვირველია, ყველანი ვალ-დებულნი ვართ, მოყვასს ხელი მივწოდოთ და ჯეერლმულიდგან ამოვიყვანოთ, მაგრამა ეს კრიტიკა და ლანძღვა, რა საკადრისია? ჯერა შინ, ჩემს სახლში, რომ უპატიურად მომექცეს ვინმე, ისიც მეწყინება, არამც თუ საქვეყნოთ კრიტიკა დამიწყოს.

— ჯერ ერთი შეცდომა ეგ არის, რომა კრიტიკა და ლანძღვა ძა-

ლიან შორის შორ არიან ერთმანერთზედ თავისი მნიშვნელობითა. ლანძღვა არ შეშვენის კაცსა არას დროს, არც პირად თქმითა ს არც ქალაქზედ გამოცხადებითა. კრიტიკა ნურას დროს ნუ გგონიათ ლანძღვა: ნურცა გგონიათ დაცინება; ის არის დარიგება, შეცდომილების ცხადად ჩვენება, ბუნდიანი საქმისა გამორკვევით ს ნათლად ჩვენება. აი, ვსთქვათ ეხლა წავიკითხეთ, რამე თხზულება, ან გავიგონეთ რამე ამბავი, რომელიც მამხდარა რომელსამე ადგილასა, მაგრამ ის კი ველარ გამოგვიგია ცხადათა, რომ ვსთქვათ ჩვენი აზრი იმ საქმეზედ, კარგია ის თხზულება ან ის ამბავი, თუ ცუდი. და ამ თვისების ბოვნა არ არის ადვილი. კარგისა და ავის განრჩევა, დამერწმუნეთ, თადეოზ, რომა არ არის ადვილი. მეტადრე იმ შემთხვევაში, როდესაც თხზულებისა ან მოქმედების ცუდი ან კარგი მხარე ძალიან ცხადად არა სჩანს. მაგრამ კაცი დაუოვნებლივ და განუწყვეტლათა სჯის ისრე, როგორც ესმის. ყველა ბეტყვის დაუყოვნებლათა თავის აზრსა, იმ საგანზე, რომელიც კი გაუგონია. აბა, ეხლა ჩვენთხე ვისაც ვინდა ქართველ კაცსა, რომელიც კი ცოტადესადაც მაინც თავის თავს წიგნის მცოდნეებში აგდებს, რომ რა ღირსებისა არის «ვეფხვის ტყაოსანი»? მე თქვენ დაგარწმუნებთ, თადეოზ, რომა მათგანი არც ერთი არ დათვიქრდება ამის პასუხის გებაზე: «დიად ჩინებული, მშვენიერი რამ გაჩლაგთ, თქვენ მა მზემ, იმისთანა არცა რა დაწერილა და არც დაიწერება». მაგრამ რომ მიუბრუნდე და მეორეთა ჩვენთხო: რა არის ვეფხვის ტყაოსანში კარგიო? მე მგონია ყველამ ვერ მოგცეს ამაზედ პასუხი; ამისათვისა რომა იქნება არც კი წაეკითხოს თავის დღეში ვეფხვის ტყაოსანი, და გაეგონოს კია ვისგანმე ქება და სხვის სიტყვით აქებდეს. ან თუ ვინდ წაეკითხოს, განა ყველას შეუძლიან ნათლად გამოარკვიოს რა არის კარგი ვეფხვის ტყაოსანში, და ცხადად და ნათლად ჩაგაბარონ ანგარიში, როცა ჩვენთხამთ. მარად ჭეშმარიტია ქართული ანდაზა: «კარგს მთქმელსა კარგი გამგონე უნდა». კარგის გასაგონებლად კაცი მომზადებული უნდა იყვეს, გონება უნდ ჩქონდეს გახსნილი, განათლებული, თორემა ბნელის გონებით, ბნე-

ლაში კაცი რას დაინახავს. გონება გახსნილი კაცი წაიკითხავს თხზულებასა და იტყვის: ეს ცუდია, ეს კარგია, ეს არც ძრიელ ავია ჯ არც ძრიელ კარგი; ცხადად იტყვის რის მიზეზით არის ან კარგი, ან ავი, ან საშუალო; ცხადის სათუმცელით, საბუთით დაამტკიცებს თავისს ნათქვამსა. კრიტიკოსი არის გამრჩევი თხზულებისა, კრიტიკოსი არის ცხადად მაჩვენებელი ავისა და კარგისა თხზულებაში ან ოდესმიერ მოქმედებაში ის არის დამრიგებელი და მსაჯული. რა გამოვა, ჩემო თადეოზ, იმ ბავშვისაგანა. რომელსაც არა ჰყავს კარგი დამრიგებელი, ან სრულიად არა ჰყავს დამრიგებელი? რა გამოვა იმ ყურსალიდგანა, რომელსაც არა ჰყავს კარგი დამრიგებელი, კარგი კრიტიკოსი? ვერც ერთი ყურსალი უკრიტიკოდ ვერ იცოცხლებს, კრიტიკა არის იმისი გზის მაჩვენებელი, იმისი წინა-მძღოლი, იმისი სინათლე და დამრიგებელი. იმან უნდა გამოარჩიოს ავი და კარგი ყოველის სიმართლით და დაანახოს ყველა ყურსალის წამკითხველსა. ყოველი წამკითხველისათვის, მგონია, სასიამოვნო უნდა იყოს ყოველთვის კრიტიკული სტატია, რადგანაც შეუძლიან თავისი აზრი შეამოწმოს იმ კრიტიკით; ნახოს სხვა როგორა თქვრობს იმ საგანზედა. მაგრამ სამწუხარო ეს არის, რომ როგორც თქვენა ბრძანებთ, ჩემო თადეოზ, საწყენათ მიგაჩნიათ კრიტიკა. მაგისი მიზეზი იქნება ის იყოს, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი თავის განრჩევაში ხმარობს ცხოველ სიტყვასა, ან ამაყად და ცხარეთ სჯის და უნდა, რომ ერთის ცხოველის სიტყვით ჩაშალოს შეცდომით ნათქვამი ვისიმე აზრი; და ცოტა მგვახეთ გამოდის ლაპარაკი და მოუხეშავად. ან იქნება პირ-თვერობას იყვეთ დაჩვეულენი. და გწყინდეთ პირში—თქმა?

—არა თქვენმა მზემ, ეგ როგორ შეიძლება. განა არ იცი ქართული ანდაზა: «პირში მაქებელი ეშმაკის მოციქულია»?

—დიაღ, იმას მოგახსენებდი, ზოგიერთი კრიტიკოსი, თავ-მოწონებით ლაპარაკობს. იმ ლაპარაკში ძრიელ ცხადად სჩანს, რომ ხალხი უნდა გააცინოს და იმისთვის გეჩვენებათ საწყენად; მაშასადამე განსჯაში და დარიგებაში ლაპარაკის კილოსა დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს; შეიძლება კაცმა გითხრას ტკბილი სიტყვა, მაგრამ იმ დროს ისე გაიღიმოს, რომ იმ ღიმილმა ის ტკბილი სიტყვა გაანწყვიტოს; შეიძლება უკმეხი სიტყვა ისეთს კილოზე გითხრას, რომ საწყენად არ მიიღო, მაშასადამე ლაპარაკში შნო უნდა ჰქონდეს კაცსა. დარიგებაში დაცინებას ხელი არა აქვს. ან რაღა დროს სიცილია, მაშინა როდესაც ვველა საქმის გაგეთებასა სცდილობს. ამაზედ ვიტყობ თანახმა იქმნებით, ჩემო თავდეოზ, რომ სიცილსა და კასკასსა, დარბაისლური ლაპარაკი სჯობია? მეტადრე უადგილო სიცილსა სრულიად არა აქს ლაზათი. — ზემოთ მოგახსენეთ, კრიტიკოსი არის მეთქი მსაჯული, მაშასადამე იმან არ უნდა დათვრეს არა რამე სიმართლე მთხზველისა და შეცდომილება, და მაშასადამე უსამართლოდ არ უნდა მიუდგეს მტყუანისა და მართალი დასჩაგრეს. მაგრამ რა კრიტიკოსი უნდა იყვეს ისა, რომელიცა სწავლით, განათლებით, განმსჯელობით კარგა დაბალი ლირსებისა არის იმაზედ, რომელსაც აძლევს დარიგებასა? კრიტიკოსი ნიჭით და სწავლით უნდა უთუოდ უმაღლესი იყვეს ავტორზე, თორემა რა დარიგება შეუძლიან.

— თქვენგან არ მიგვირს, სეიერიდან, მაგასა ამბობთ, რასაკვირველია თუ არ შეუძლიან ხმასაც არ ამოიღებს. ალბათ გრძნობს თავის შეძლებასა და იმისთვისა სჯის, შეუდგება საგანის სჯასა; მაგრამ მე კიდევ იმას მოგახსენებ, რომ ეგ კრიტიკეები მე არ მაამწონს, და რა ვიცი.

— არა, თავდეოზ, ბევრჯელ გარემოება ისეთს შემთხვევას მიაყენებს კაცსა, რომ სებით თუ უნებლიეთ კალამს მოაკიდებინებს ხელსა. ავმა კაცმა რომ ბრძოლა დაგიწყოთ, ხელს არ გამოიღებთ?

— ბა რასაკვირველია.

(შემდეგი იქნება.)

სეერიდან ჩიტოურელიძე.

ამ საქმის მოგონით, თითქმის სამ წელიწადში, თითონაც გამდიდრდა ⸗ ხალხიც გაამდიდრა. ქალაქში იმ კაცს არავინ არ იცნობდა, სადაური იყო? ვინ იყო, ან როგორ დაიწყო ის საქმე?

მარტო ამას ამბობდნენ, რომ როცა იმ ქალაქში მისულა, ცოტადე ფული ჭქონია, სულ რავდენიმე ასი თერანგი. იმ ცოტა ფულებით რიგიანათ დაიწყო თავის აზრის აღსრულება და ცოტას ხანში თითონაც შემძლებელი გახდა და მთელი ის შხარე გაამდიდრა.

ქალაქ მ-ში მისვლის დროს ტანთ ისე სცმია, ისეთი იერი ჭქონია და ლაპარაკი, როგორც უბრალო ხელოსანს.

მგონია იმ დღეს, როცა ეს უცხო კაცი ზურგზე პარკ აკიდებული, ხელში ვეებს კომბალით, ერთ დეკემბრის დღეს სალამოზე შევიდა იმ ქალაქში, თურმე იმ სახლში, საცა სასამართლოები იყო, ცეცხლი გაჩნდა და იწოდა. ამ უცხო კაცმა თავის თავი არ დაზოგა, ჩავარდა იმ ცეცხლში და იქიდან ორი პატარა ქალი სიკვდილს გადარჩინა ⸗ გამოიყვანა; ის ქალები თურმე ჯანდარმების უფროსის ქალები იყვნენ; ამ საქმის გამო ამ კაცს ბაშოორთი არავინ არ მოჭკითხა ⸗ არცარავის მოჭგონებია. ამის შემდეგ უცხო კაცის სახელი შეიტყეს. იმას ერქვა: «ბიძია მადლენი».

ეს კაცი ორმოცდა ათის წლისა იყო, კეთილი და დაფიქრებული სახისა. ამის მეტი ვერა ითქმოდა რა იმაზე.

მადლენის მოგონებით და იმის წარმატებით ქალაქი მ-ი შავშუშეულის ვაჭრობით პირველი ქალაქი გახდა და ლონდონს და ბერლინს არ უვარდებოდა. თავის ქარხანების შუშეულით ისპინასთან კარგ ვაჭრობაში შევიდა და ისპანიას დიდი ძალი გაჭქონდა ქალაქ მ-დან. ბიძია მადლენის მოგება ისეთი იყო, რომ მეორე წელიწადზედ შეეძლო დიდი ქარხანის აშენება, საცა ორი ფვართო სახელოსნო იყო, ერთი კაცებისათვის და მეორე დედა-კაცებისათვის. ყველა ვინც კი მშიერი იყო, შეეძლო იქ გაბედვით მისულიყო და დარწმუნებით ეშოვნა სამუშაო და ლუკმა პურიც. ბიძია მადლენი

თავის ქარხანის მუშაკებს მარტო გამშვრალობას და ჯავთასა სთხოვდა ლ დედა-კაცებს ნამუსიანობას, ყველას კი ერთად,—პატიოსნობას და ხელ-მართლობას. კაცების და ქალების ოთახები იმიტომ გაჭყო, რომ ისინი ერთათ არა ყოფილიყვნენ და დედა-კაცებს თავი რიგზედ სჭეროდათ; ამ ჭაზრზედ ქალიან მაგრა იდგა და ასრულებას ყველას ერთ-ნაირათ სთხოვდა. მეტადრე ამ მიზეზით, რომ ქალაქ. მ-ში ჯარი იდგა და გარეკნილობა და დაცემა იქ იშვიათი საქმე არ იყო. რაც ეს ბიძია მადლენი იმ მხარეს გაჩნდა, ხალხი თავის ჯავეით კარგა საკმაოდ სცხოვრობდა. უსაქმოთ, უფულოთ და ლარიბად არავინ არ იყო. ისეთ ლარიბ ოჯახს კერა ნახავდით, რომ ცოტაოდე სიხარული მაინც არა ჭქონოდა.

ბიძია მადლენი ყველას აძლევდა საშუშაოს. იმის თხოვნა მარტო ეს იყო: «პატიოსანი და ნამუსიანი კაცები იყავითო! ნამუსიანი ლ პატიოსანი ქალები გამოდითო!»

მადლენში, როგორც მოვაწრე კაცში გასაოცარი ეს იყო, რომ მარტო თავის ვაჭრობაზე და ჭირნახულზე არა ფიქრობდა. როგორც ეტყობოდა, ეს სხვებისთვის უფრო მეტად ზრუნავდა ვინემ თავის თავისთვის. ყველამ იცოდა, რომ წელსა 1820-ში მადლენს თავის სახელობაზედ ლაფვიტთან ექვს ას ოცდა ათი ათასი ფრანკი ჭქონდა გაცემული; ამ ფულის შეურამდის, იმას ერთი მილლიონი მეტი ჭქონდა დანახარჯი ქალაქზე და საწყლებზედ.

ლაზარეთისთვის ცოტა ფული იყო დანიშნული და ბევრ ავათ-მყოფებს არ იყვანდნენ; მადლენმა საშუალმოთ ფული გადასდვა ავათ-მყოფებისთვის და ლაზარეთს ათი საწოლი მიუმატა. ქალაქ მ-ში მარტო ერთად ერთი შკოლა იყო გამართული, ისიც ერთ ძველ დანგრეულ ქოხში; მადლენმა ორი შკოლა ააშენა, ერთი ვაჟებისთვის და მეორე ქალებისთვის. იმ შკოლების ორ მასწავლებლებს, რაც საახელმწიფოდ ცოტა ჯამაგირი ეძლეოდათ, ამან თავის ჯიბიდამ ორი იმოდენა მოსამატი დაუნიშნა და აძლევდა. ერთ-ხელ ვილამაც ეს შეიტყო და იმ მასწავლებლების მოსამატ ჯამაგირზე თურმე გაიოცა; მადლენმა იმ კაცს უთხრა: «საახელმწიფოში

მარტო ორი ძალიან საჭირო თანამდებობა არისო—ერთი ძიძისა და მეორე მასწავლებელისაო. გარდა ამისა გამართა შესაწევარი კასსა მოხუცებულ და უძლურ ხელოსნებისთვის და მუშებისთვის. იმის ქარხანა შუაგული გახდა, გარშემო სულ სახლები აშენდა, ქუჩები გაიღო ⁄ მრავალი საწყალი სახლობაები ახლო დასახლდნენ; მადლენმა იმათთვის ათეთიაქი გამართა, საიდამაც წამლები საწყლებს მუქთათ მიჰქონდათ.

თავ და პირველათ, როცა ეს თავის საქმეს იწყობდა, ზოგიერთი კეთილი და მადლიანი სულები ამბობდნენ: «ამ კაცს გამდიდრება სურსო». და როცა დაინახეს, რომ თავის თავის გამდიდრებამდის ჯერ მთელი ხალხი გაამდიდრა, მაშინ ისევ ის კეთილი სულები ამბობდნენ: «ეს კაცი სახელისათვის სჩადის სიკეთესაო, თავ-მოყვარეაო». ამას ამიტომ უფრო ამბობდნენ, რომ ბიძია მადლენი სულიერი და მლოცავი კაცი იყო. ნიადაგ ყოველ კვირა დილაზე წირვას არ მოაკლდებოდა ხოლმე.

ამასობაში, წელს 1819-ში ერთ დილას ქალაქში ხმა გავარდა: უფ. პრეფექტს, იმ ბევრ სიკეთისათვის რაც მადლენს ხალხისთვის უქნია, წარუდგენიაო ქალაქ მ-ის მერათაო და კორონდი ამ თანამდებობაში უთუოთ დაამტკიცებსო. ის ადამიანები, რომლებიც ამ კაცზე ამბობდნენ: «ეს თავ-მოყვარე კაცია და სიკეთეს თავის სახელისათვის სჩადისო,» როცა ეს ამბავი შეიტყეს, იმ წამსვე სთქვეს: «აბა, განა ტყუილს ვამბობდითო!» მთელი ქალაქი მ-ნი ამაზედ ლაპარაკობდა. ეს ხმა გამართლდა: რავდენიმე დღის შემდეგ «მონიტერ»-ში იყო დაბეჭდილი მადლენის დანიშვნა მერათ. მეორე დღესვე ბიძია მადლენმა იმ თანამდებობიდამ უარი ჰყო და არ მიიღო.

იმავ წელიწადსვე 1819-ში, მადლენის ქარხანის ნივთები ეწყო გამოფენაზე და რადგანაც კარგი ხელოვნებისა იყო, ბიძია მადლენმა კორონდისაგან პატიოსანი ლეგიონის კავალერი მიიღო. ხალხში ახალი ჭორები გამოვიდა: «ჰო! ჯვარის მიღება ზდომებია და ხა-

რისხებისაო!» მაგრამ მადლენმა ამაზედაც უარი ჰყო და არ ინდომა.

რალა თქმა უნდა რომ ამისთანა კაცი ძნელი გამოსაცნობი იქნებოდა.

როცა ეს გამდიდრდა, შემძლებელნი ამას «უფ. მადლენს» უწოდებდნენ, მაგრამ გლეხები, ხელოსნები და ემაწვილები ისევ ბიძია მადლენს ეძახოდნენ.

1820 წელსა, ხუთის წლის უკან ქალაქ მ-ში მოსვლის შემდეგ, იმას იმდენი ღვაწლი და ამაგი ჰქონდა ხალხზედ და მთელ მხარეზედ, რომ კორონლმა ხელ-მეორეთ დანიშნა ქალაქის მერათ. მართალია მადლენმა მაინც კიდევ უარი ჰყო, მაგრამ პრეფექტმა ამისი უარის თქმა არ შეიწყნარა და ამისა გარდა მთელ ქალაქის თავად აზნაურობამ და ხალხმა გულიანათა სთხოვა იმ თანამდებობის მიღება; ეხლა კი მადლენი თანახმა გახდა და იკისრა; მეტადრე უფრო ამ მიზეზით, როგორც შეაცნიეს, რომ ხალხში ერთმა მოხუცმა დედა-კაცმა, რომელიც თურმე თავის სახლის კარების ღრუბლში იდგა, გაჯავრებით დაიძახა: «კარგი მერი საჭიროა ქალაქისათვისაო. განა კაცი სიკეთის ქნას უნდა გადუდგეს ან მოერიდოსო? მეტადრე მაშინ როცა იმის აღსრულების შეძლება აქვსო?»

ბიძია მადლენი გახდა უფ. მადლენად, უფ. მადლენი გახდა უფ. მერად.

IV.

ლაფიტთან მიბარებული ფულები.

თუმცა მადლენმა ქალაქის მერობა მიიღო, მაგრამ ისევ ისრე თავ-მდაბალი იყო როგორც უწინ. ამას თეთრი ჭაღარა თმები ჰქონდა, პირისახე მზე მოკიდებული, როგორც ხელოსანს და დაფიქრებული, როგორც ფილოსოფოსს. ამას თავზედ ეხურა დაბალი და განიერი შლიაპა და ტანთ ეცვა გძელი, მსხვილი მაუდის

სერთუკი, სულ ლიღებ შეკრული. ეს აღსრულებდა მერის თანამდებობას, და სამსახურს გარეთ ისე სცხოვრებდა როგორც უწინ. ძალიან ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. სხვა ადამიანებთაგან მართებულ და ზრდილ ქცევას და პატივს ერიდებოდა, თავს მუდამ გვერდზედ უკრავდა ხოლმე და მალე მიდიოდა, რომ ლაპარაკს ასცდენოდა; გაულიმავდა ხოლმე, რომ ლაპარაკი იმასთან მალე გაეთავებინათ და ზოგჯერ, რომ სხვათა ლიმილს გადარჩენოდა, თუულებს აძლევდა. დედა-კაცები მადლენზე ამბობდნენ: «რა კეთილი დათუნაა!» ამის პირველი სიამოვნება, ქალაქ გარეთ ქვეითი სიარული იყო.

სადილს მუდამ მარტო სჯამდა, წინ წიგნი გაშლილი ჰქონდა და კითხულობდა. პატარა ბიბლიოტეკა ჰქონდა გამართული, მაგრამ კარგი წიგნებისაგან იყო შემდგარი. წიგნები ძალიან უყვარდა. წიგნები-ცივი მეგობრები არიანო, მაგრამ კი ერთგულნიო. რაც ქალაქ მ-ში დასახლდა აცნევდნენ, რომ ენა გაუსწორდა და თან და თან ზრდილათ და სიტყვაპასუხიანათ ლაპარაკობდა.

როცა სასეიროთ მიდიოდა, ბევრჯელ თოფიც თან მიჰქონ'და; თუმცა ათასში ერთხელ სცლიდა, მაგრამ ნიშანში საშინლათ სწორეთ და მარდათ ესროდა. უწყინარ პირუტყვს არას დროს არა ხოცდა. თავის დღეში ჯერ არც ერთი პატარა ჩიტი არ მოეკლა. ახალგაზდა არ იყო და ამბობდნენ კი, რომ ძალიან ლონიერიაო. გაჭირებულს ყველას შველოდა ვისთვისაც კი იმის მოხმარება საჭირო იყო: დაცემულ ცხენს ასწევდა ხოლმე, ტალახიდამ ურმის თვალს გამოათრევდა, გაგიჟებულ კამბეჩს რქებში სტაცებდა და შეაყენებდა ხოლმე. როცა შინიდან გამოვიდოდა, ჯიბეები თულით სავსე ჰქონდა, და როცა შინ ბრუნდებოდა,-ცარიელი. სოფელში რომ გაივლიდა დაგლეჯილ-დაფლეთილი პატარა ბიჭები სიხარულით უკან მისდევდნენ და გარს ისე ეხვეოდნენ, როგორც კოლოების გუნდი.

სუყველანი აცნევდნენ, რომ ეს კაცი ადრე გლეხი უნდა ყოფილიყო, უფრო ამითი,— რომ იქაურ გლეხებს ბევრ კარგ საქმეებლო დარიგებას აძლევდა ნაჭირნახულევის მოსავლელად.

ერთხელ მადლუნმა ნახა, რომ იქაური გლეხ-კაცები ჭინჭარს გლეჯდნენ და ისე უბრალოთ აგდებდნენ; შეხედა დაგრეულებულ ძირიანათ დაგლეჯილ ჭინჭარს, თითქმის გამხმარს და სთქვა: «ეს ხომ სულ წახდა; კარგი იქნება თუ ამის მოხმარება იცოდეთ. როცა ჭინჭარი ჯერ ქორწვაა, ფოთლები საჭმელში იხმარება,-როცა დაბერდება, შიგ ღერში ძაფები აქვს ისეთი, როგორც კანაფსა და სელსა; ჭინჭრის ძაფის ქსოვილი თითქმის ტილოსთან არ ირჩევა. დაკეთილი ჭინჭარი ძალიან მარგებელი საზრდოა შინაური მფრინველებისათვის ს ბ დაცხვეული, ძალიან კარგია საქონლისათვის. ჭინჭრის ძირი მარილში ერთათ არეული და გალესილი მშვენიერი ყვითელი საღებავი წამალია. ჭინჭარი ზაფხულში ორჯელ მოითიბება ხოლმე და კარგი თივაა. ახლა ესა ვსთქვათ: ჭინჭრისათვის რა არის საჭირო ? ცოტადა მიწა და მოვლა კი სრულებით არათერი არ უნდა; მარტო იმის თესლი ძნელი მოსაგროებელია, იმიტომ, რომ მოიწევა თუ არა, იმ წამსვე დედამიწაზედ სცვივა. ცოტადა ზრუნვა და ჯაფა რომ გასწიოთ, ჭინჭარი ძალიან გაძოსაყენი იქნება. ისა სძულთ, ეჯავრებათ, ისიც მავნებელი ხდება სუსხავს და მაშინ ჭინჭარსა ხოცენ. რავდენი ადამიანია ჭინჭრის მსგავსი ! ცოტას ხანს დაჩუმდა და მერე ისევ სთქვა: «ჩემო მეგობრებო, ეს კარგად და— იხსომეთ, ქვეყანაზედ არ ცუდი ბალახია და არც ცუდი ადამიანებია. მარტო ურიგო და ავი ალმზრდელი ბ მასწავლებლები არიან.»

თუ საყდრისაკენ გაივლიდა ხოლმე და მიცვალებელს ნახავდა, ის იმწამსვე შეკიდოდა და ბატივსა სცემდა. ქვრივ-ოხრობა ბ უბედურობა ამას იზიდავდა; ეს მიცვალებულის მგლოვიარებთან მივიდოდა, იმათთან შეერთდებოდა ხოლმე და თვალები ცაში ამართული სამწუხარო მღვდლების გალობას ყურს უგდებდა.

მადლენი მრავალ კეთილ საქმეს სჩადიოდა, ცდილობდა რომ არ გამოჩენილ იყო და თან ისე იმალებოდა, როგორც ავი საქმის მქნელი. საღამოობით ჩუმჩუმათ სახლებში შეიპარებოდა და უჩუმრად კიბეზედ ავიდოდა ხოლმე. ღარიბი ვინმე ადამიანი თავის ქოხში რომ დაბრუნდებოდა, ოთახის კარები ღია დახვდებოდა ხოლ-

მე ზოგჯერ გატეხილიცა და საწყალი დაიკივლებდა: «ვაიმე აქ ვიღაც ქურდი ყოფილაო»! და რაცა ოთახში შეკიდოდა პირველი ნივთი, რომელსაც დაინახავდა, აქრიან მანეთი იქნებოდა, დანებებული სადმე სტოლზედ. ქურდი და ავი კაცი იმ ოთახში შემსვლელი ბიძია მადლენი იყო.

მადლენი იყო ალერსიანი და თან დალონებული. ხალხი ამბობდა: «აი მდიდარი კაციო, რომელიც სრულებით ამპარტავანი არ არისო. აი ბედნიერი კაცი რომელიც თითქო უმადურიაო.» მადლენის ოთახზე, ხალხი ამბობდა, რომ მეუდაბნოელის სოდგომიაო, მორთული ადამიანების ძვლებითა და მკვდრის თავებითაო. ამაზე ასე ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ ერთხელ ზოგიერთი ახალგაზდა კეკლუცი ქალები მივიდნენ მადლენთან და იმის ოთახის გაშინჯვა სთხოვეს. იმან ნება მისცა, ქალები ოთახში შეკიდნენ და ნახეს სამუდამო ოთახი, მორთული წითელი ხის მებელითა და უბრალოთ მოწყობილი; ბუხარზე ორი ძვლებური კერცხლის დიდი შანდანები იდგა და მეტი არაფერი. ქალები ასე იყვნენ დასჯილნი.

ხალხში ამასთანავე ჩურჩულებდნენ: ამას ლაფიტთან უთუოდ ფულები აქვსო მიბარებული, ამ პირობითა, რომ რაცა კი მადლენი მოითხოვს თავის ფულსა, იმავ წამსვე მიიღებსო; მეეზოერეები თან ამასაც უმატებდნენ: «უფ. მადლენს შეუძლიან მივიდეს ლაფიტთანაო, ბარათი მისცესო და ათ მინუტში წამოიყოს თავისი ორი თუ სამი მილიონი ფულიო. ის კი არა თუ ამ «სამ ან ორ მილიონის» მაგიერად, როგორც ადრეკე ვსთქვით, მარტო ექვს ას ოცდა ათი ათასი თუ ორმოცი ათასი ფრანკი ჭქონდა მიბარებული.

V.

უფ. მადლენი შაგებში.

1821 წლის დასაწყისში, ყურნალებში ეწერა უფ. მირელის ხაკვდილი, ქ. ჯ-ის ეპისკოპოსისა, რომელსაც მოსინიორ ბენვე-

ნიოს უწოდებდნენ და ოთხმოცდა სამის წლისა გარდაცვლილიყო.

აქ დაწვრილებით ამბავსაც მოგითხრობთ, რომელიც ყურნალებში არ ეწერა. ქალაქ დ-ის ეპისკოპოსს თავის გარდაცვალების რავდენიმე წლის წინათ თვალის სინათლე მოჭკლებოდა და ამ უსინათლობის დროსაც მაინც თავის ბედისაგან თურმე მადრიელი იყო; თავისი და მუდამ თან ფეხ მოუცვლელი ჰყავდა და არ შორდებოდა.

მირელის გარდაცვალება გადიბეჭდა ქალაქ მ-ის ყურნალში. მეორე დღეს უფ. მადლენს მძიმე შავები ეცვა და შლაპაზედაც შავი ლენტი ეხვია.

ხალხმა რომ მადლენი შავებში ნახა, დაიწყო კიდევ თავისა ჭორები. იმისი მგლოვიარობით ვითომც მიხვდნენ საიდამაც იყო მადლენი ჩამომავლობით და აქედამ ეს გამოსჭორეს, რომ პატივსაცესი და განსვენებული ეპისკოპოსი უთუოდ ამის ნათესავი იყოო. ეს ხმა ქალაქში გავარდა და ასე ამბობდნენ: მადლენი ქალაქ დ ის ეპისკოპოსზედ არის მგლოვიარეთაო. ამ ხმამ მადლენი ძალიან აამღლა და მ-ის კეთილ-შობილ საზოგადოებაში პატივი მიეცა. თავის ამაღლებაში და პატივის ცემაში მადლენი მაშინ უფრო დარწმუნდა, როცა ნათლათ დაინახა, რომ მოხუცებული დედა-კაცები უწინდელზე თავს უფრო დაბლად და ხშირად უკრავდნენ და ახალ გაზდა ქალები კი მეტის მეტად პირში უცინოდნენ. ერთ საღამოს ერთმა ბებერმა დედა-კაცმა, რომელსაც ძალიან გულითა სურდა შეტყობა, გაბედა და ჰკითხა:

—უფ. მერო, თქვენ უთუოდ განსვენებულ ქალაქ დ-ის ეპისკოპოსის ძმის წული ბძანდებით, განა?

— არა ჩემო დედავ, მადლენმა უთხრა.

—მაშ თქვენ იმაზედ არგაცვიათ შავები? დედა-კაცმა ჰკითხა.

—მე მგლოვიარეთ იმიტომა ვარ, მადლენმა უთხრა, რომ ჩემ სიახლოვაზედში მე იმათ ოჯახში მოსამსახურეთ ვიყავი.

ხალხი ამასაც აცნევდა, რომ თუ ქალაქში ბუხრების გამწმენდი

ახალ გაზდა ვინმე, სავოიელი გაჩნდებოდა, უთვალი მერი თავის თან დაუქახებდა, სახელს გამოჭვითხავდა და თუულებს აჩუქებდა ხოლმე. როცა ეპტარა სავოიელები ერთი ერთმანერთს ჭხედავდნენ ამ ამბავს ეუბნებოდნენ და ამ მიზეზითაც იმ ქალაქში უთ. მერთან ძალიან ბევრნი მიდიოდნენ.

VI.

შორეული ელვა ქუსილი.

დრეის და გვარათ მადლენზე ხალხის ლაპარაკი, ძრახვა და ჭორებიც თან და თან სცხრებოდა; იმის სახელს ყველანი ლირსებით და ეპტიკვით ახსენებდნენ და ერთ დრეს, წელსა 1821 სიტყვა «უთ. მერი» ქალაქ მ-ში ისე იხსენებოდა, იმ სახით და იმ ეპტიკვისცემით, როგორც ქალაქ დ«ში, წ. 1815-ში, სიტყვა «მოხსიოხიორი ეპისკოპოსი». ზოგჯერ შორ ქალაქებიდამ ჯ სოფლებიდამ ათ ლიოზე მოდიოდნენ უთ. მადლენის სანახავად და დასვითხავათ იმ ფიქრით, რომ იმასთან რჩევა ჭქონოდათ. ის დაგებსა სწუგეტდა, მოდაგეებს შეარიგებდა ხოლმე და დავის დაწყობას არავის არ ურჩევდა ჯ მუდამ უშლიდა. იმის განსჯას და სიტყვას ყველა ენდობოდა ჯ თავის საქმეებში შუაკაცათ ბევრი იმას იჩჩევდა და რჩევასა ჭკითხავდა ხოლმე. ხუთ ექვს თვეში მთელმა მხარემ ეს კაცი ასე შეითვისა და შეიყვარა.

ქალაქში და იმის არემარეში მარტოდ ერთათ ერთი კაცი რაღაცა ბუნებითი გრძნობით სრულიად ერიდებოდა მადლენს და იმას რაც უნდა სიკეთე ექნა, ის კაცი მაინც მტრათ უყურებდა.

ხშირად, როცა უთვალი მადლენი წუნარი და მშვიდობიანი ქუჩაში გაივლიდა ხოლმე და ყველა გამვლელ გამომვლელი ეპტიკვსა სცემდა იმას და კურთხევას უთვლიდა, ერთი ვილაცა მალალ-მალალი კაცი ჭუჭყის ფერ სერთუკში, რომელსაც ხელში სხვილი კეტი ეჭირა და შლაპა თვალებში ჩამოწეული ჭქონდა, როცა მადლენს დაინახავდა, საჩქაროთ იმისკენ მიბრუნდებოდა ხოლმე და თვალ

დაკვირვებით და თითქმის ბღვერით იქნობასმდის უეურებდა მანამ თვალიდამ დეეკარგებოდა მერე გულ ხელს დაიკრეფდა, მძიმეთ თავს გაიქნევდა და ტუჩებს თითქმის ცხვირამდის აიბრუწავდა ხოლმე. ეს ტუჩების გრეხა მგონი ამასა ნიშნავდა: «რაკქნა ეს კაცი მე სადღაც მინახავსო! ვინ უნდა იყოსო, ან სად მინახავსო? მაგრამ ვინც უნდა იყოს მე ეს ვერ მომატყუებს და ხელიდამ ვერ წამივალ!»

ეს ადამიანი ამაყი სახისა იყო, თითქო ემუქრებაო. იმ კაცის სახე ადამიანს ბირველ ნახვაზედვე დაუთვიქრებდა.

ამას სახელათ ერქვა ყაკერი და მსახურებდა პოლიციაში.

ყაკერს ქალაქ მ-ში ზედამხედველის თანამდებობა ეჭირა, თანამდებობა მძიმე და ძნელი აღსასრულებელი. როცა მადლენი იმ ქალაქში დასახლდა ის იქ არ იყო. ყოველი მაშინ გაჩნდა, როცა ქარხანა გამართული იყო და მადლენს უფ. მადლენათ ეძახდნენ.

ზოგი ერთ პოლიციის ათიცრებს სხვა ნაირი თვერი და შეხედულობა აქვსთ, სახეზე დამცირებაც ეცნეგათ და ბრძანებლობაცა ორივე ერთათ არეული. ყოველი ამ გვარი სახისა იყო, მაგრამ დამცირება და სიმდაბლე არა ჩქონდა.

ყაკერი საბუღალტერიოში დაბადებულიყო ერთ მეითხავ დედა-კაცისაგან, რომლის ქმარიც კატორღაში იყო გადაკარგული; როცა მოიზარდა და ხანში შეკიდა, ითვიქრა და ნახა, რომ საზოგადოებიდამ ის მოკლებული იყო, გაშორებული და სრულიად იმედი აღარა ჩქონდა, რომ კიდევ საზოგადოებაში შესულიყო. ესეც შეატნია, რომ საზოგადოება თავისთან ორ გვარ ადამიანებს არ ითვისებს: იმათ, რომლებიც იმას ზრახვენ, ავნებენ და, — რომელნიც იმაიცავენ და უსარჩლდებიან. ამას სხვა გზა და კვალი აღარა ჩქონდა და ამ ორ გვარ ადამიანების შუა ადგილი უნდა ამოერჩია; ამასთანავე ეს თავის გულის სიღრმეში გრძნობდა, რალაც ნაირ სისასტიკეს, სიმართლეს, პატიოსნობას, სიმძულვარესაც და ეჯავრებოდა ამ გვარი უბინაო ხალხი, რომლიდამაც თითონ იყო ჩამოშავლობით. ყაკერი გამწესდა პოლიციაში. ბედით სამსახურში თან და თან წინ

ჩავიდა და ორმოცი წლისას ზედამხედველობის თანამდებობა ეჭირა.

ყაკვერის სახეს გაგაცნობთ.

ამ სახისა იყო: პაწწა ცხვირი ჭქონდა, დიდრონი ნესტოებითა, ორივ ლოყები გამსილი ჭქონდა სქელ ბალნითა, ისე რომ იმის ყბა-წვერი ტყე გეგონებოდათ და ნესტოები გამოქვაბულებად. როცა გაიცინებდა ხოლმე, თუმცა ძალიან ძვირათ იცინოდა,—საშინელი სანახავი იყო, წმინდა ტუჩებს იკბიმავდა და მაშინ არამც თუ კბილები, ლრძილებიც კი უჩანდა ხოლმე და ცხვირი ისე ელმიჯებოდა, როგორც გარეულ ნადირის დინგი. ქაჯა ძალიან პატარა ჭქონდა, დიდრონი ყბები, შუბლი თმებით მოდებული, ასე, რომ თმები თვალებში ჩამოსდიოდა: ტუჩები მოკუმული, მთელი სახე შეკუმუხმული, დალეგრეძილი, საშინელათ მრისხანე და ბძანებლობითი.

ამ კაცის ხასიათი ორ უბრალო გრძნობისაგან იყო შემდგარი: პირველი, მოსავრობის პატივის ცემისაგან და მეორე სიმძულვარისაგან ხალხის არეულობაზე და აშფოთებაზე; ყაკვერის თვიქრით ქურდობა, კაცის მკვლელობა და სხვა ყოველ ნაირი სიავკაცე და დანაშაული ხალხის სხვა და სხვა გვარ ურჩობის და არეულობის ნიშნები იყო. ეს ძალიან ბრმა ყრუთა სცემდა პატივს და დიდი ნდობა ჭქონდა სახელმწიფოში ყოველნაირ თანამდებობაზე, მისისტრიდამ მოკიდებული უკანასკნელ მსახურ სალდათამდის. ყაკვერს ყველა სძულდა და ეზიზღებოდა ვინც კი ერთხელ კანონს გარეთ გადასულიყო და არ აესრულებინა. არავის დანდობა და გარჩევა არ იცოდა. ერთის მხრით ასე ამბობდა: «სამსახურის კაცი თავის დღეში არ შესცდებაო, მტყუანი არ იქნებაო»; და მეორეთ: «ვინც ერთხელ კანონს გადუდგაო, ის საუკუნოთ დაკარგული და დალუპულიაო; იმათგან სახეირო არათერი არა გამოვა რაო». ყაკვერი გაქვავებული გულის პატრონი იყო, ცივი და საზარელი მსხვილ შეხედულობისა. იმის მთელი სიცოცხლე ამ ორ სიტყვაზე იყო დათუმნებული: სიმხნევე და თვალის დადევნება. თავის თანამდებობა დიდათ მიაჩნდა და რომ ის სასარგებლო კაცი იყო, ამაში თითონაც ეჭვი არა ჭქონდა; მთავრობასთან ამბის მიტან-მოტანას, მაბეზღრობას

იმ თვიქრით და ისე ადასრულებდა, როგორც მოძღვრები თავიანთ თანამდებობას ასრულებდნენ. ვაი იმას ვინც იმის ხელში ჩავარდებოდა! ყვავის მამა რომ კატორღიდამ გამოქცეულიყო, ის, შვილი დიჭერდა და ვინიცობაა, რომ თავის დედა საფურობილიდამ გამოპარულიყო, არ დაინდობდა, მთავრობას მოახსენებდა და იმას ისე დარწმუნებით ასრულებდა გულში, ვითომც სიკეთეს სჩადიოდა. ამასთანვე უნდა გსთქვათ, რომ ყვავი კარგათ არა სცხოვრებდა, ქველასგან გაცალკევებული იყო და მოკლებული ყოველ სიამოვნებისაგან.

ყვავს სახეზე ეცნეოდა, რომ დამზვერავი, დამთვალიერებელი და თან დამშალავი და ქვეშ-ქვეშა კაცი უნდა ყოფილიყო. ყვავს შლიაპის ქვეშ შუბლი არ უჩნდა, არც თვალები უჩნდა წარბებ ქვეშ, არც ნიკაბი, რომელიც ელასხვეგში ჭქონდა ჩამალული, არც ხელები სერთუკის მაჯებ ქვეშ და არც ჯოხი, რომელიც კალთის ქვეშ ჭქონდა დამალული. მაგრამ შემთხვევის დროს, როცა საჭირო იყო სუფველა ეცრადა გამოუჩნდებოდა ხოლმე, ის პატარა შუბლიც, ის საზარელი შეხედულობაც, ის დამმუქარებელი ნიკაპიც, ვეება ხელებიც და საშინელი კეტიც.

როცა უსაქმო იყო და თავის უფალი დრო ჭქონდა,—ეს კი ძვირათ შეემთხვეოდა,—თუმცა იმას წიგნები სრულიად ეჯავრებოდა, მაგრამ გითხულობდა და ამის მიზეზითაც არც ისე ძალიან უსწავლელი იყო. ეს უფრო იმის მალად ფრაზიან და ლრმა ლაპარაკზე ეცნეოდა.

ამას წუნი არაფერი ჭქონდა. როცა თავისგნით მადრიელი იყო, თავის ცხვირს ერთ მოსაწევ ბურნუთს უთავაზებდა ხოლმე. მარტო ამ ნაკლებულებით და წუნით ადამიანებში ერია. ამისთვისაც გასაკვირვებელი არ არი თუ ყვავი ხალხისათვის საზარელი ჯ საშინელი იყო, ჯერ მარტო ერთ იმის სახელის ხსენებაზე გარბოდნენ და თუ ყვავს სადმე დაინახავდნენ, ხალხი თრთოდა, კანკალობდა და ისე ეშინოდათ როგორც შეხისაგან. ასეთი საზარელი იყო ეს კაცი.

ყაკერი უფ. მადლენს მუდამ საეჭოდ, აკის თვალით უყურებდა, და არ აშორებდა. მადლენმა ბოლო დროს ეს შეამცნია, მაგრამ, არა რომ თავს არ შეიდვა და კითომც არ ატყობდა. მადლენი იმას არას ეუბნებოდა, არც თავს არიდებდა, არც მალ-მალ იმასთან შეხვედრას ცდილობდა; ყაკერის ზვერას და იმის მახვილ ყურებას მოთმინებით უძღებდა და თვითონ ყაკერს ისე ექცეოდა, როგორც სხვებს, სიწყნარით, ალერსიანათ და მართებულად.

ზოგიერთ უეცრად წამოროშილ სიტყვებზე, ყაკერს ეცნეოდა, რომ ის ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა და ცდილობდა, რომ დაწვრილებით შეეტყო ბიძია მადლენის უწინდელი ვინაობა ⁄ ცხოვრება, სადადამ იყო და ვინ იყო? თითქო ესენი იცოდა და ზოგჯერ ლაპარაკში ეცნეოდა, რომ კითომც ვილასაც სხვა მხარეში, ერთ ამოწყვეტილ სახლობაზე რაღაცა გაეგოს. ერთხელ ყაკერი თავის თავს ელაპარაკებოდა და ეს სიტყვები წამოსცდა: «მე მგონია ეგ ეხლა ჩემ ხელშია!» ამ სიტყვების შემდეგ მთელი სამი დღე ჩაფიქრებული დადიოდა და ხმა არ ამოუღია, მგონია, რომ ის თოკის წვერი, რომელიც თავის ეჯვის შესატყობად იპოვა და ხელში ჭქონდა, ის გაუწყდა.

მაგრამ ესეც უნდა გსთქვათ: კაცში სრულიად შეუმცდარი არა თვერი არ არი და ინსტინკტს (გულის თქმას) ისეთი ზნე სჭირს' რომ აირევა ხოლმე და სწორე გზას გადავა. თუ ასე არ ყოფილ იყო, უამისოთ ინსტინკტი, გონებას ემჯობინებოდა და მაშინ პირუტყვები უფრო ჭკვიანი და გონიერნი იქნებოდნენ, ვინემც ადამიანები.

ყაკერი უფ. მადლენის თავის უფლებაზე და სიწყნარეზე თითქო ირეოდა.

ერთ დღეს ყაკერის გასაოცარმა ქცევამ მადლენს გულში რაღაცა ჩაუნერგა. აი ამ შემთხვევითა.

ფოშლევანი.

უფ. მადლენი ერთ დღეს დილაზე მიდიოდა ქალაქ მ-ის ერთ მოუკირწყლავ ქუჩაში და ხმაურობა შემოესმა. შორი ახლოს დაინახა ხალხი, მიეიდა და ნახა რომ მოხუცებულს, სახელად ფოშლევანს ცხენი წაჭქცეოდა და თითონ პოკოსკის ქვეშ მოჭყოლოდა.

ეს ფოშლევანიც მადლენის მტრებში ერია, რომლებიც იმ დროს იმაზედ გადაკიდებული იყვნენ. როცა მადლენი იმ ქალაქში დაბინავდა, ფოშლევანი, საზოგადოდ ქალაღდების გადამწერი ს ძველი გლეხი, თითქმის გარათლებული კაცი, ვაჭრობდა; მაგრამ იმის ალებმიცემა თან და თან ცუდათ მიდიოდა. ფოშლევანი ჭხედავდა რომ მადლენი, უბრალო ხელოსანი მდიდრდებოდა და თითონ კი ძველი ვაჭარი უფრო და უფრო ღარიბდებოდა. ამ მიზეზით გულში შური ჩაუარდა და ყოველ შემთხვევაში რა ლონის ძიებითაც კი შეეძლო სცდილობდა მადლენისათვის ევნო და სიავე ექნა. ბოლოს ფოშლევანი გაკოტრდა და სიბერის დროს, როცა ალარათერი ალარა ჭქონდა, ერთი პოკოსკის და ცხენის მეტი, მეპოსკობა დაიწყო, რომ ამ ხელობით თავის თავი დაერჩინა. უცოლ-შვილო მარტო ხელი კაცი იყო.

დაცემაში ცხენმა უეცრად ორივე უკანა ფეხი მოიტეხა და ადგომა ვეღარ შეეძლო. მოხუცებული თვალებ ქვეშ მოჭყვა. ისე ცუდად დეცა, რომ პოკოსკა მთელის სიმძიმით იმას გულზე დაუწყვა. პოკოსკას კარგა მძიმედ ედო. ფოშლევანი სცოდავათ გაჭკიოდა. ხალხი იქიდამ იმის გამოთრევას სცდილობდა, მაგრამ ვერა მოეხერხებინათ რა და ვერ უშველეს. ცოტა უხერხოთ რომ მოქცეულიყვნენ, პოკოსკა რომ ერთი ბეწო ისე რიგზედ არ მიეწიათ, ის უბედური იქვე გათავდებოდა და დაიღუპებოდა. სხვა ფერიც შველა არ შეიძლებოდა და ამის მეტი ღონე არ იყო, რომ პოკოსკა ძირიდამ უნდა აეწიათ. ყველამ, რომელიც იმ დროს იქ გაჩნდა, კაცები პოკოსკის ასაწევათ ბერკეტის მოსატანათ გაგზავნა.

მადლენი მიეიდა თუ არა, ხალხი პატივის ცემით ჩამოეცალა.

—მიშველეთ! გაჰკივოდა მოხუცებული ფოშლევანი. ვინ იქნება ისეთი მადლიანი ქრისტიანი ადამიანი, რომ ბერი კაცი დაიხსნას?

უფალი მადლენი იქ მყოფ კაცებს მიუბრუნდა და ჰკითხა:

—ბერკეტი არავის არ გეგულებათ?

—მოსტანათ გავგზავნეთ, ერთმა გლეხმა უპასუხა.

—მალე მოიტანენ?

—აქ ახლო მჯედლთან გავგზავნეთ ფლაშოს ქუჩაში. მაგრამ სულ ერთია, მინამ მოიტანენ, სულ ცოტა კიდევ ხუთმეტი მინუტი გასწევს.

—ხუთმეტი მინუტი! მადლენმა დაიძახა.

იმ დღის წინათ აკადრი ყოფილიყო და წვიმა მოსულიყო, დედა-მიწა გაჟინთულიყო; პოკოსკა ყოველ წამს თან და თან მიწაში იფლეობოდა და ბებერ მეპოკოსკეს უფრო და უფრო გულზე აწვებოდა. ნათლად სჩნდა, რომ პატარა ხანს უკან ორივე გვერდი და ნეკნები იმ უბედურს ჩაედრიკებოდა და დაემსხვრეოდა.

—ხუთმეტი მინუტს მოცდა არ შეიძლება, მადლენმა სთქვა და გლეხებს შეხედა.

—მა რავქნათ? უნდა მოვიცადოთ.

—მაშინ შველა გვიანლა იქნება! განა თქვენ ვერ ატყობთ, რომ პოკოსკა თან და თან იფლება და ძირს იწევა?

—რალა თქმა უნდა!

—გამიგონეთ, მადლენმა დაიწყო: პოკოსკის ქვეშ იმოდენა ადგილი კიდევ არის, რომ შეიძლება ერთი კაცი ქვეშ შეძვრეს და ზურგით ასწიოს. ეს ხომ ერთი წუთი საქმეა, მადლს მოიგებთ და სიცოდავსაც დაიხსნით. აქ თქვენში არავინ არ გამოვა ისეთი მარდი, რომელსაც ლონეცა ჰქონდეს და გულადიც იყოს? გასამრჯელოს ხუთ ლუიდორს მივცემ!

ხალხში არავინ არ გაინძრა.

—ათ ლუიდორს მივცემ მადლენმა სთქვა. ხალხი დალვრემილი იდგა. იმათში ერთმა წაიდუდუნა:

—ამის ასაწევათ კაცს ეშმაკის ძალა უნდა ჰქონდეს,—მერე იქნება მშველელიც თითონ შიგ მოჰყვეს.

—გამიგონეთ, ხმა მაღლივ სთქვა მადლენმა: — ოცლუიდორს უხდი, ვინც ამ საქმეს იკისრებს.

ხმა მაინც კიდევ არავინ არ ამოიღო.

—ამ საქმის აღსრულება სრულებით ნებაყოფლობაზედ და ნდობაზედ არ არის დამოკიდებული, ვილაცამ სთქვა

უფ. მადლენმა მიიხედა და ყაკერი იცნა. იმის იქ ყოფნა მადლენმა კერ არ იცოდა იმ დროამდის.

ყაკერმა დაიწყო ლაპარაკი:

—ამათ იმოდენი ლონე ვინ მისცათ? ან საიდან აქვსთ? ამ სიმძიმის ზურგით ამწეი კაცი, საშინელი დიდი ლონის პატრონი უნდა იყოს.

მერე ყაკერმა ლრმათ და თვალ დაკვირვებით დაუწყო ყურება და მძიმეთ ეს სიტყვები უთხრა:

—უფ. მადლენო, ჩემს სიცოცხლეში მე მარტო ერთ კაცს ვიცნობდი, რომელიც შეიძლებდა ამ საქმის ასრულებას, რისაც,—თქვენ ეხლა გინდათ.

მადლენი კანკალმა აიტანა.

ყაკერი მაინც იმას თვალს არ აშორებდა და გულ გრილათ უთხრა:

—ის კაცი კატორღელი იყო, ტუსალი.

—ჰო! მადლენმა გაოცებით სთქვა.

– ტულონის გალერიდამ.

მადლენი სულ გაყვითლდა და მკვდრის ფერი დაედო.

ამ ლაპარაკის დროს ბოგოსკა თან და თან მიწაში იფლეობოდა. მოხუცი ფოშლევანი ხრიწიანის ხმით კვნესოდა და საცოდავის ხმით იძახოდა:

—სული მიგუბდება! . . ნეკნები დამელეწა! . . როგორც იყოს! . . მიშველეთ! . . ვაი! . .

მადლენმა გარშემო ხალხს შეხედა.

ეურნალი «საქართველოს მოამბეა» ოვე ჯ ოვე გამოვა სივრცით შვიდ თაბახიდამ ათამდე, ანუ 112 გვ.—160 გვერდამდე თუ შეგვეძლება ამაზედ მეტიც.

ფასი მთელის წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელად—ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში კომენდანტის ქუჩაზედ, კნ. საყარსამიძის სახლებში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უმოკრძალესად ვსთხოვთ ამ რუსული ფურცლისა გამოგზავნოთ:

Въ редакцію грузинскаго журнала «Грузинскій Вѣстникъ.»